

ენერგეტიკული სიღარიბე & მოწყვლადი მომხმარებლები საქართველოში

მსოფლიო გამოცდილება
საქართველოსთვის
2018



ენერგეტიკული სიღარიბე და მონყვლადი მომხმარებლები საქართველოში

თუთანა კვარაცხელია
მურმან მარგველაშვილი
ნატალია შათირიშვილი

რედაქტირება:

მურმან მარგველაშვილი
თუთანა კვარაცხელია

კონსულტანტები:

გოგიტა თოდრაძე
თამარ მარგველაშვილი
გიორგი მუხიგულიშვილი

რეცენზენტი:

სალომე ჯანელიძე

კვლევა განხორციელდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის WEG-ს და შესაძლებელია, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	5
შესავალი.....	11
კვლევის მიზანი და მეთოდები.....	12
რა არის ენერგეტიკული სიღარიბე.....	12
ენერგეტიკული სიღარიბის გენდერული ასპექტები.....	14
ენერგეტიკული სიღარიბე – ევროპული კანონმდებლობა და ქვეყნების გამოცდილება.....	15
საქართველოში არსებული ვითარება.....	19
ენერჯის ხელმისაწვდომობა და მოხმარების თავისებურებები.....	19
ფინანსური ასპექტები – ენერჯიაზე დახარჯული თანხა შინამეურნეობებში.....	22
სიღარიბის მაჩვენებლები.....	27
შენობების ენერგოეფექტურობა.....	29
ტარიფები და ენერგეტიკული სუბსიდიები საქართველოში.....	30
ენერგეტიკული სიღარიბის გენდერული ასპექტები საქართველოში.....	33
რეფორმა ენერგეტიკის სექტორში.....	35
ენერგეტიკული სიღარიბის შეფასების ლოგიკური ჩარჩო საქართველოსთვის.....	36
ფოკუს ჯგუფების ანალიზი.....	36
ენერგეტიკული სიღარიბის კვლევის ინდიკატორები.....	45
სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო და რეკომენდაციები.....	51
დასკვნა.....	54
ბიბლიოგრაფია.....	56

შემაჯავებელი მიმოხილვა

საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს. რეფორმა, რომლის საბოლოო მიზანაც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება და მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაა, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციას, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და სხვა ბევრ ფაქტორს მოიცავს. რეფორმის პირობებში ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია ენერგეტიკული სიღარიბისა და მოწყვლადი მომხმარებლების საკითხი, რომელიც, საქართველოში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოქალაქეების დიდი ნაწილს ეხება.

ენერგეტიკული სიღარიბე ეწოდება მდგომარეობას, როდესაც ადამიანებს, ან ოჯახებს არა აქვთ შესაძლებლობა, სათანადო გაათბონ სახლი ან მიიღონ სხვა საჭირო ენერგეტიკული მომსახურება ხელმისაწვდომ ფასად. ენერგეტიკული სიღარიბე ვლინდება როგორც ენერგიაზე ტექნიკური ხელმისაწვდომობის, ასევე – მოხმარების ფინანსური შესაძლებლობის არარსებობაში. მაგალითად, ენერგეტიკული სიღარიბე მაღალია განვითარებად ქვეყნებში, სადაც მოსახლეობას არ აქვს წვდომა თანამედროვე ენერგორესურსებზე – ელექტროენერგიასა და გაზზე, თუმცა ენერგეტიკული სიღარიბე არსებობს ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე წვდომა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მოსახლეობას ენერგეტიკული სერვისების მისაღებად დიდი თანხის გადახდა უწევს. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ენერგეტიკული დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს ოჯახის შემოსავლის 10% – ს, თუმცა დანახარჯების ძალიან დაბალი მაჩვენებელიც შეიძლება ფარული ენერგეტიკული სიღარიბის მაჩვენებელი იყოს და მიაჩნებოდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ოჯახები ვერ მოიხმარენ საჭირო რაოდენობის ენერგეტიკულ რესურსებს და ამით ზიანს აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობას.

ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა ენერგეტიკული სიღარიბის ერთერთი მთავარი ფაქტორია. თანამედროვე ენერჯის წყაროებთან და ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის არარსებობა აიძულებს ოჯახებს გამოიყენონ შეშა და ღია ცეცხლი საჭმლის მოსამზადებლად თუ გასათბობად, რაც იწვევს სახლში ჰაერის დაბინძურებას, აზიანებს სასუნთქ გზებს და კავშირშია თვალისა და გულ – სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებასთან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 1.3 მილიონი ადამიანი დაიღუპა ამ მიზეზით, დაღუპულთა უმრავლესობას ქალები და ბავშვები წარმოადგენენ.¹

მიჩნეულია, რომ ქალები ენერგეტიკული სიღარიბის გავლენას უფრო მწვავედ და ხშირად განიცდიან და ეს ხდება არა იმიტომ, რომ კაცებისგან განსხვავებული ენერგეტიკული საჭიროებები აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, ენერგიაზე ხელმისაწვდომობის და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის განსხვავებული ხარისხი აქვთ. განვითარებად ქვეყნებში ოჯახებში სახლის მოვლისა და საკვების მომზადების ფუნქცია უმეტესად ქალებს აკისრიათ. იმის გამო, რომ საკვების მომზადება, ამ შემთხვევაში, უმეტესად გულისხმობს შეშის გამოყენებას და არაეფექტურ ღუმელებში, ან ღია ცეცხლზე წვას, ქალების ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად უარესდება. შეშის წვისას წარმოქმნილი კვამლი აზიანებს როგორც სასუნთქ სისტემას – ისე, მხედველობას. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიხედვით, ცუდი ვენტილაციის მქონე ღუმელებს ისეთივე დამაზიანებელი ეფექტი აქვთ ჯანმრთელობაზე, როგორც დღეში ორი კოლოფი სიგარეტის მოწევა.²

განვითარებულ ქვეყნებშიც, ენერგეტიკული სიღარიბისადმი ქალების მოწყვლადობას განაპირობებს, კაცებთან შედარებით, არათანაბარი შემოსავლები, რის გამოც ენერგეტიკული დანახარჯების წილი მთლიან შემოსავლებში მაღალია (ეს ეხება განსაკუთრებით მარტოხელა დედებს და მარტო მცხოვრებ ქალებს, რომელთა რიცხვი კაცებისაზე მაღალია).

ენერგეტიკულ სიღარიბეზე სამი ძირითადი კომპონენტი მოქმედებს. ესენია:

- დაბალი შემოსავლები
- მაღალი ენერგეტიკული ტარიფები
- შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა.

ამ სამ კომპონენტზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქვეყნებში ენერგეტიკული ბაზრების მოწყობა, სოციალურ-პოლიტიკური სისტემები, სამშენებლო სექტორში არსებული ვითარება, კლიმატი, მაკროეკონომიკური მდგომარეობა,

¹ Stefan Bouzarovski “Energy Poverty” 2018

² UNDP, 10 April 2002 press release

შემოსავლები და არსებული პოლიტიკის ჩარჩო, ამიტომ ენერგეტიკული სიღარიბე კომპლექსური საკითხია და მისი დაძლევა სისტემურ მიდგომას და ბევრი სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებას მოთხოვს.

ევროკავშირის ენერგეტიკული სიღარიბის საკითხი მე-3 ენერგეტიკულ პაკეტში შემოაქვს (2009 წ.) და ავალდებულებს წევრ ქვეყნებს იზრუნონ მის აღმოფხვრაზე, ამისათვის კი, პირველ რიგში, შეიმუშაონ შესაბამისი გეგმები, და განსაზღვრონ ენერგეტიკული ბაზრების მოწყვლადი მომხმარებლები ენერგეტიკული სიღარიბის კონტექსტში.³ ენერგეტიკული სიღარიბე ასევე ნახსენებია დირექტივებში შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (EPBD) და ენერგოეფექტურობის შესახებ (EED).

აღსანიშნავია, რომ ევროპული დირექტივები ადგენს ზოგად ჩარჩოს, რაც, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, ქვეყნებმა თვითონ უნდა დაარეგულირონ. საქართველომ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით აიღო ვალდებულება, განახორციელოს რეფორმა ენერგეტიკის სექტორში და მოახდინოს დირექტივების მოთხოვნების გადმოტანა ადგილობრივ კანონმდებლობაში.

მოწყვლადი მომხმარებლების საკითხი მხოლოდ ელექტროენერჯის და გაზის ბაზრების რეგულირებული ნაწილისთვის არის რელევანტური და განსხვავდება ენერგეტიკული სიღარიბისგან. მოწყვლადობა ძირითადად ასახავს ენერჯის მოხმარების ფინანსურ ასპექტს და ქვეყნების უმეტესობაში აერთიანებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ნაწილს. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ **მოწყვლადი მომხმარებლების დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმები არის მოკლევადიანი სოციალური მექანიზმები, ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებული საკითხები კი მოითხოვს გრძელვადიან ხედვას და კომპლექსურ ენერგეტიკულ პოლიტიკას და სტრატეგიებს, რაც ფოკუსირებულია: საბინაო სექტორის ენერგოეფექტურობაზე, ენერგეტიკული ბაზრების მოწყობაზე, ენერჯის ტექნიკურ და ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე და ა.შ.**

საქართველოში არსებული ვითარება

საქართველოსთვის ენერგეტიკული სიღარიბე შედარებით ახალი ცნებაა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა ან კვლევები დამკვიდრებული არ არის. წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შექმნას პირველადი ჩარჩო და რეკომენდაციები ამ საკითხის შემდგომი კვლევისა და პოლიტიკის შემუშავებისათვის.

უპირველესად, მიმოვიხილავთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას, რომელსაც გავლენა აქვს ენერგეტიკულ სიღარიბეზე. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 99% - ს აქვს წვდომა ელექტროენერჯიაზე, ხოლო 68% - ს - ბუნებრივ გაზზე.⁴ მოსახლეობა გათბობის, ცხელ - წყალმომარაგებისა თუ საჭმლის მოსამზადებლად ძირითადად იყენებს ბუნებრივ აირს, შეშას და ელექტროენერჯიას. ოჯახების მიერ მთლიან მოხმარებულ ენერჯიაში ბუნებრივი გაზის წილი შეადგენს 51.8% - ს, შეშა - 29.9% - ს ხოლო ელექტროენერჯია - 16.4%. შეშის მოხმარების წილი მაღალია სოფლებში და შეადგენს მოხმარებული შეშის 82% - ს.⁵

ენერჯის მოხმარების თავისებურებები შინამეურნეობებში შემდეგია:

- საქართველოში გათბობისათვის გამოიყენება ინდივიდუალური ცენტრალური გათბობის სისტემა ან სხვა ინდივიდუალური საშუალებები. არ მოქმედებს უბნის ან შენობის ცენტრალური საქვაბები. ინდივიდუალური ცენტრალური სისტემისათვის მოხმარება ბუნებრივი აირი, სხვა სისტემისათვის კი ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია, შეშა, სასოფლოსამეურნეო ნარჩენები და მყარი ან თხევადი საწვავი.
- მოსახლეობა ცივ ამინდში საცხოვრებლის საერთო ფართის მხოლოდ მცირე ნაწილს ათბობს. უმეტესად თბება მხოლოდ 20 მ² ან ნაკლები. გათბობისათვის მოსახლეობის 44,5% იყენებს ბუნებრივ გაზს, 45,8% - შეშას და სასოფლო - სამეურნეო ნარჩენებს, ხოლო 6,4% - ელექტროენერჯიას.
- საჭმლის მომზადება შეიძლება დაიყოს საჭმლის ღუმელზე მომზადებად და ქურაზე მომზადებად, ორივე შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება ბუნებრივი გაზი და შეშა.

ენერჯის მოხმარების მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, რომ შეშის წილი გათბობასა და საჭმლის მომზადებაში არის მაღალი და ოჯახების თითქმის ნახევარი დამოკიდებულია შეშაზე, შეშის წვა არაეფექტურ ღუმელებში ენერგეტიკული სიღარიბის მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, როგორც წესი, სუფთა ენერჯის წყაროების ნაკლები ხელმისაწვდომობის შედეგია.

³ 2009/73/EC, (50) 2009/72/EC (53)

⁴ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი, 2018 წ. 27 მარტის მდგომარეობით

⁵ საქსტატი, შინამეურნეობაში ენერგეტიკული რესურსების მოხმარების კვლევა, 2017

შემოსავლები და ენერგეტიკული დანახარჯების წილი

საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე 272.7 ლარს შეადგენდა, ხოლო შინამეურნეობაზე – 954.8 ლარს. კომუნალური დანახარჯები⁶ მთლიანი დანახარჯების 12% – ს შეადგენს და აღემატება ტანსაცმელზე (4%) ტრანსპორტსა (10%) თუ განათლებაზე (4%) გაწეულ ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სეზონების მიხედვით. ზამთრის თვეებში ენერგეტიკული დანახარჯები ორჯერ და მეტჯერ აღემატება ზაფხულის თვეებში დანახარჯებს. მაგალითად, 2015 წლის მონაცემებით, თბილისში ზაფხულის თვეებში ბუნებრივი აირის გადასახდელი არის საშუალოდ 20 ლარი, ხოლო ზამთარში 95 ლარი. ელექტროენერგია კი ზაფხულში – 28 ლარი, ხოლო ზამთარში – 48 ლარი. ამასთან, გათბობა ხშირ შემთხვევაში 24 საათს განმავლობაში ჩართული არ არის. იგივე თანაფარდობაა სოფლებშიც, იმ განსხვავებით, რომ გათბობისთვის ზამთარში უმეტესად შეშა გამოიყენება.⁷

არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, ზამთრის თვეებში ენერგეტიკული გადასახდელები მოსახლეობის დიდ ნაწილს მნიშვნელოვან ტვირთად აწევა. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 22% – ს შემოსავალი 270 ლარზე ნაკლები აქვს, ხოლო 8% – ს 108 ლარზე ნაკლები. მოსახლეობის თითქმის 40% კომუნალური გადასახდელების გადასახდელად ფულს სესხულობს (8% – ყოველთვიურად, 6% – ყოველი მეორე თვე, 24% – ნაკლებად ხშირად).⁸

აღსანიშნავია, რომ ეს დანახარჯები არსებობს იმ ენერგეტიკული სუბსიდირების სქემების და შეღავათიანი ტარიფების მიუხედავად, რომელიც ყოველწლიურად მოქმედებს საქართველოში. 2017 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან და თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სხვადასხვა კატეგორიის 189,000 – ზე მეტი აბონენტის დასახმარებლად 29 მილიონი ლარის ენერგეტიკული სუბსიდია გაიცა.⁹ გარდა ამისა, ბუნებრივი აირი სრულიად უფასოდ მიეწოდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობას. ხოლო მესტიაში მოსახლეობა გამანაწილებელ კომპანიას მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფს არ უხდის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის ფასი საყოფაცხოვრებო სექტორისათვის არის საბაზრო ფასზე იაფი და შეადგენს 120 დოლარს 1000 მ³-ზე.¹⁰

შენობების ენერგოეფექტურობა

შენობების თბური მახასიათებლები ენერგეტიკული სიღარიბის განმაპირობებელი ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოში საცხოვრისების უდიდესი ნაწილი (76,7%) აშენებულია 1951 – 1990 წლებში. შენობებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ენერგოეფექტურობის დაბალი დონეა. 1960 იანი წლებიდან ქვეყანაში დაიწყო 5 – სართულიანი მრავალბინიანი კორპუსების ე.წ. “ხრუშჩოვკების” ინტენსიური მშენებლობა. მათი საინჟინრო და სამშენებლო კრიტერიუმები იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკიდან გამომდინარეობდა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცხოვრების პირობების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აღნიშნულ პერიოდში აგებული შენობების თერმული წინააღობა დაბალია, რადგან კომფორტისა და სანიტარულ – ჰიგიენური კრიტერიუმები მინიმალური იყო.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდის ბოლოს და 90 – იან 2000 – იან წლებში აშენებული შენობების ენერგომომხმარება კიდევ უფრო მაღალია გარე კედლების ცუდი თერმული თვისებების და შენობების გარსში ფანჯრების მაღალი წილის გამო. შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა ზრდის მოხმარებული ენერგიის რაოდენობას და შესაბამის დანახარჯებს.

ფოკუს ჯგუფები

გარდა ზემოთ მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, ენერგეტიკული სიღარიბის ხარისხობრივი შეფასებისათვის საინტერესოა WEG-ის მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზი.

ფოკუს ჯგუფები, რომელიც ჩატარდა თბილისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და კახეთის რეგიონში მცხოვ-

⁶ მოიცავს დანახარჯებს საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზსა და სხვა სათბობზე

⁷ Winrok International Georgia “Knowledge, Attitude and Behavior Baseline Survey”, 2015

⁸ CRRC - კავკასიის ბარომეტრი, 2017

⁹ სავარაუდოდ, აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გაცემული დახმარებების და სუბსიდების გათვალისწინებით, რომლის იდენტიფიცირებაც კვლევის ფარგლებში არ მომხდარა

¹⁰ <http://factcheck.ge/wp-content/uploads/2016/01/PDF1.pdf>

რები საშუალო შემოსავლიანი მოსახლეობის მონაწილეობით, ავლენს, რომ:

- როგორც სოციალურად დაუცველი რესპონდენტების, ისევე რეგიონში მცხოვრები რესპონდენტებისათვის ენერგეტიკული დანახარჯების წილი არ აღემატება 10% - ს ზაფხულის თვეებში, ხოლო ზამთარში შემოსავლის 20 - 25% - ს შეადგენს. თუმცა ენერჯის დაზოგვა, ხშირ შემთხვევაში, პირადი კომფორტისა და კეთილდღეობის ხარჯზე ხდება. გარდა ამისა, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა მიუთითებს ზაფხულში ტემპერატურის მატებასა და კონდიციონერების საჭიროებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ენერგეტიკულ დანახარჯებს ზაფხულში.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ენერჯის მოხმარების თავისებურებებისა და ენერგოეფექტურობის შესახებ დაბალია. მაგალითად, ისინი ნაკლებად ერკვევიან ენერგოეფექტური ნათურების მახასიათებლებში და ჯანმრთელობისათვის საზიანოდ მიჩნიათ, ასევე არ აქვთ ინფორმაცია, რომ ენერგოეფექტური ნათურების ფასი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და ნათებაც საკმარისი აქვთ. ამასთან, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შორის შეშა ყველაზე სუფთა და უსაფრთხო საწვავად მიიჩნევა.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სისტემა ნაკლებეფექტურია, რადგან მოიცავს მხოლოდ ელექტროენერჯის ვაუჩერს და არ ეხება ბუნებრივ გაზს. ამან შეიძლება წაახალისოს ელექტროენერჯის არაეფექტური მოხმარება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ვაუჩერთი განსაზღვრული თანხის გადანაწილებას ბუნებრივ გაზზე.
- რეგიონის მოსახლეობა, თბილისის მოსახლეობისგან განსხვავებით, აღნიშნავს ელექტროენერჯით მომარაგების უსაფრთხოების მნიშვნელობას. მიუთითებენ, რომ უამინდობისას ხშირია ელექტროენერჯის წყვეტები, და ძაბვის ცვალებადობა, რის გამოც ხშირად უფუჭდებათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ცდილობენ ასეთ ამინდებში წინასწარ იზრუნონ და გამოტონ დანადგარები. ამბობენ ასევე, რომ გაუმართავი ინფრასტრუქტურა, სადენები და ბოძები ხშირად საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს.

ენერგეტიკული სიღარიბის კვლევა

ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრის პოლიტიკის შემუშავებას წინ უნდა უძღოდეს ენერგეტიკული სიღარიბის განსაზღვრება და მისი რაოდენობრივი კვლევა. დღესდღეობით ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (რომელთა შორის საქართველოც არის) ენერგეტიკული სიღარიბის გასაზომად შემდეგი ინდიკატორების ჯგუფები გამოიყენება:

- **ხარჯებზე დაფუძნებული შეფასება** – შინამეურნეობების მიერ ენერჯიაზე გაწეული დანახარჯების შეფასება და წინასწარ განსაზღვრულ ზღვართან შედარება.
- **კონსენსუსზე დაფუძნებული მიდგომა** – გამოკითხვა, რომლის შედეგად ხდება იმ შინამეურნეობების იდენტიფიცირება, რომლებსაც უჭირთ საბაზისო ენერგომომთხოვნების დაკმაყოფილება. გამოიყენება როგორც დამატებითი ხარისხობრივი შეფასება სხვა ინდიკატორებთან ერთად.
- **პირდაპირი გაზომვა** – შეფასება, თუ რამდენად მიიღწევა ადეკვატური ენერგოსერვისები შინამეურნეობებში. მაგალითად, რამდენად შეესაბამება გათბობის პერიოდში ოთახების შიდა ტემპერატურა არსებულ სტანდარტებს. აღნიშნული მეთოდი, ტექნიკური სირთულეების გათვალისწინებით, იშვიათად გამოიყენება და თითქმის არასდროს – ევროკავშირის ქვეყნებში.
- **შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა** – ფასდება ენერგეტიკული სიღარიბის შედეგად გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა. მაგალითად, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი. აღნიშნული მეთოდიც იშვიათად გამოიყენება ტექნიკური შეზღუდვების გამო.

ჩამოთვლილი მეთოდებიდან, ყველაზე ხშირად გამოიყენება ხარჯებსა და კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდების კომბინაცია.¹¹ მიიჩნევა, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო ზუსტად ხდება ენერგეტიკული სიღარიბის მიმართ მოწვევადი ჯგუფების იდენტიფიცირება. საქართველოს შემთხვევაში, საწყის ეტაპზე, შესაძლებელია კვლევის არსებულ ინსტრუმენტებში ენერგეტიკული სიღარიბის საკითხების ინტეგრაცია, რომლებსაც აქვთ სისტემატიური ხასიათი და დინამიკაში ანალიზის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა გამოკითხვასთან ერთად მნიშვნელოვანია, შემუშავებული იქნას მთელი რიგი პარამეტრები, მათ შორის:

- დადგინდეს ზღვარი, რომლის ზემოთაც ენერგეტიკული დანახარჯების ქონა მთლიან შემოსავალში ენერგეტიკული სიღარიბის მაჩვენებლად ჩაითვლება. ამასთან:

¹¹ Trinomics “Selecting Indicators for Measuring Energy Poverty”, May 2016

- განისაზღვროს რა იგულისხმება შემოსავალში – მთლიანი განკარგვადი შემოსავალი თუ განკარგვადი შემოსავალი საბინაო ხარჯების გარეშე.
- განისაზღვროს რას გულისხმობს ენერგეტიკული დანახარჯები – რეალური დანახარჯები თუ „საჭირო“ დანახარჯები (რა დანახარჯებიც ექნებოდა ოჯახს საჭირო რაოდენობით ენერგიას რომ მოიხმარდეს და არ ზოგავდეს მას ჯანმრთელობის დაზიანების ხარჯზე).

რეკომენდაციები

ენერგეტიკული სიღარიბისა და მოწყვლადი მომხმარებლების საკითხის დარეგულირება განსხვავებული მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს. მოწყვლადი მომხმარებლები ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ენერგეტიკული სიღარიბე არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მიზნობრივი კატეგორიით.

მოწყვლადი მომხმარებლების დახმარების საკითხი, რომელიც ხაზგასმულია ევროპულ დირექტივებში და აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის შესახებ საქართველოს ახალი კანონის სამუშაო ვერსიაში, ეხება მხოლოდ ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრებს და შეიძლება შეფასდეს, როგორც სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოსახლეობის დახმარების მოკლევადიანი მექანიზმი.

ენერგეტიკული სიღარიბე ენერგეტიკული პოლიტიკის საგანია, მაშინ როდესაც სოციალურად მოწყვლადი მომხმარებლების დახმარება სოციალურ პოლიტიკის ამოცანაა. სოციალურად მოწყვლადი მომხმარებლების ენერგეტიკული დახმარება შეიძლება განხილული იყოს როგორც ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესში მომხმარებლების დროებითი დახმარების ღონისძიება. რეფორმისა და ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ მოწყვლადი მომხმარებლების ენერგეტიკული დახმარება უნდა გადაიხედოს. გრძელვადიან პერსპექტივაში, სასურველია ენერგეტიკის და სოციალური საკითხები ერთმანეთისგან გაიყოს და მოსახლეობას მიეცეს საშუალება სოციალური დახმარების თანხები თავისი პრიორიტეტების მიხედვით გამოიყენოს.

აღნიშნულისგან განსხვავებით, ენერგეტიკული სიღარიბე დაკავშირებულია გეოგრაფიულ – ტერიტორიულ არეალთან (კლიმატური ზონები, სუფთა ენერჯის ხელმისაწვდომობა), გამანაწილებელი ქსელის მდგომარეობასთან (უსაფრთხოება, მიწოდების ხარისხი), საცხოვრებლის ტიპთან (არაეფექტური შენობები), მთლიან შემოსავლებში ენერგეტიკული გადასახდელების წილთან და სხვა ფაქტორებთან, რაც მოითხოვს კომპლექსურ მოდგომას. იმ შემთხვევაში, თუ ენერგეტიკული ხარჯები მოსახლეობის შემოსავლებთან შედარებით შეუსაბამოდ მაღალი ხდება, ეს შეიძლება იყოს ენერგეტიკული და სოციალურ – ეკონომიკური ან ფისკალური პოლიტიკის პრობლემა.

ენერგეტიკული სიღარიბის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ:

- ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრა განისაზღვროს როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანი. ამისთვის, სახელმწიფომ ოფიციალურ დონეზე უნდა წამოწიოს ენერგეტიკული სიღარიბის ცნება და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია „ენერგეტიკის შესახებ“ კანონის პროექტში გაჩნდეს ჩანაწერი ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად, კანონპროექტის მე – 7 მუხლის მე – 2 პუნქტს (ენერგეტიკული პოლიტიკა) დაემატოს წინადადება, რომ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ **შეიმუშაოს ენერგეტიკული სიღარიბის განმარტება და დასახოს მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის სტრატეგია საქართველოში.**
- ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის უზრუნველყოს ენერჯის უსაფრთხო, საიმედო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული მომსახურება, შესაბამისად, ენერგეტიკული სიღარიბის განმარტებისათვის შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი დეფინიცია: **„ენერგეტიკული სიღარიბე განიმარტება როგორც მდგომარეობა, როდესაც მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ელექტროენერჯია ან დაიკმაყოფილოს ძირეული ენერგეტიკული საჭიროებები უწყვეტად, უსაფრთხოდ, ხარისხიანად და ხელმისაწვდომ ფასად“.**
- ენერგეტიკული სიღარიბის ზოგადი განმარტების მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია ჩატარდეს ემპირიული კვლევა. კვლევისათვის რეკომენდებულია დანახარჯებზე და კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდების კომბინაცია. დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა დადგინდეს კონკრეტული პარამეტრები, რაც გულისხმობს:
 - დადგინდეს კრიტერიუმები, რის მიხედვითაც განისაზღვრება ენერგეტიკული გადასახდელების ფინანსური ასპექტი. საუკეთესო პრაქტიკა არის ენერგეტიკული დანახარჯების ზღვარის დადგენა მთლიან შემოსავლებში (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ზღვარი ქვეყნების უმეტესობაში არის 10% და იგი შეიძლება იცვლებოდეს) თუმცა,

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი არის არაფორმალური და არ არსებობს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, შეიძლება გამოყენებული იქნას განსხვავებული მიდგომა.

– განისაზღვროს რას გულისხმობს ენერგეტიკული დანახარჯები – რეალური დანახარჯები თუ „საჭირო“ დანახარჯები (რა დანახარჯებიც ექნებოდა ოჯახს საჭირო რაოდენობით ენერგიას რომ მოიხმარდეს და არ ზოგადდეს მას ჯანმრთელობის დაზიანების ხარჯზე).

– განისაზღვროს საორიენტაციო მაჩვენებლები – რამდენი უნდა მოიხმაროს ოჯახმა (ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას WHO სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მისაღებია 18 გრადუსი ტემპერატურა საძინებელში, 21 გრადუსი კი საერთო ოთახში)

– განისაზღვროს მოსახლეობის ჯგუფებიც, ვის მიმართაც მოხდება კვლევა – შეეხება მთლიან მოსახლეობას, თუ მხოლოდ მის ნაწილს, მაგალითად, დაბალშემოსავლიან მოსახლეობას, რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას და ა.შ.

- ენერგეტიკული სიღარიბის კვლევის შემდეგ უნდა შემუშავდეს მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის გრძელვადიანი პროგრამა. გრძელვადიან პროგრამაში დახმარების ღონისძიებები დაკავშირებული უნდა იყოს ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებთან. მაგალითად, თუკი დადგინდება, რომ ენერგეტიკული სიღარიბე გამოწვეულია გადახდის ფინანსური შესაძლებლობის არქონით, შეიძლება შეთავაზებული იქნას ვაუჩერები, მაგრამ თუკი ენერგეტიკული სიღარიბის ძირითადი მიზეზია შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა და ენერჯის ფლანგვა, ამ შემთხვევაში ვაუჩერების გაცემა არ იქნება ეფექტური ღონისძიება.
- უნდა გადაიხედოს დღეს არსებული სუბსიდირების სქემები და შეფასდეს მათი ეფექტიანობა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ზამთრის თვეებში ელექტროენერჯიაზე გამოყოფილი ვაუჩერი რეკომენდებულია, რომ გადანაწილდეს ბუნებრივი აირის მოხმარებაზეც.
- საინფორმაციო კამპანია და ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ თანაბრად უნდა გაეწიოს სოციალურად მოწყვლად მომხმარებლებსა და სავარაუდო ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფ მოსახლეობას, რაც ძირითადად რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობაა. რეგიონებში მცხოვრები მომხმარებლებისათვის განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს არაეფექტური შეშის ღუმელების ჯანმრთელობისთვის საზიანო მახასიათებლების შესახებ და განიმარტოს, რომ შეშის მოხმარება არ არის ყველა შემთხვევაში უსაფრთხო.
- საინფორმაციო კამპანიაში მნიშვნელოვანია ქალების მიზნობრივი ჯგუფის გამორჩევა, რომლებიც არიან საკვების მომზადებისა და ოჯახის მოვლის საქმიანობის ძირითადი წარმმართველები და მათზე შეშის მოხმარება განსაკუთრებულად მძიმედ აისახება. შეშის არასწორი მოხმარების შესაძლო უარყოფითი გავლენის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმა, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში მიმდინარეობს, ახალი მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შექმნას ითვალისწინებს, რომლითაც, საბოლოო ჯამში ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და მომხმარებლების კეთილდღეობა უნდა იყოს დაცული.

ევროპული კანონმდებლობა ერთერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილავს ენერგეტიკული სიღარიბის ცნებას, რომელიც თანამედროვე, სუფთა ენერჯის წყაროების ტექნიკურ და ფინანსურ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. საქართველოში, როგორც განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისთვის არის დამახასიათებელი, ჯერ კიდევ პრობლემაა სუფთა ენერჯის ხელმისაწვდომობა, როგორც ტექნიკური ისე ფინანსური კუთხით.

ენერგეტიკული სიღარიბე მზარდი პრობლემაა ევროკავშირშიც, სადაც ენერჯიაზე ტექნიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა ნაკლებია, მაგრამ ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის გარდამავალ პროცესში ენერჯიაზე ფასების მატება მოსახლეობას მნიშვნელოვან ტვირთად აწევს.

ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრების ლიბერალიზაცია, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეულია ევროკავშირში მიმდინარეობს, გულისხმობს ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნას და ენერჯის რამდენიმე მიმწოდებლის გაჩენას იმისათვის, რომ მომხმარებლებს შეეძლოთ გააკეთონ არჩევანი და ამით ხელი შეუწყონ კონკურენციას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ბაზრების ლიბერალიზაცია ასევე ემსახურება მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესებას, რადგან მიიჩნევა, რომ თანამედროვე სამყაროში, სადაც ენერჯიაზე მოთხოვნა განუწყვეტელივ იზრდება, მუდმივი და ხელმისაწვდომი ენერჯის ქონა უბრალო მოცემულობად არ უნდა იყოს აღქმული.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის წახალისება ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის მთავარი წინაპირობაა, ევროკავშირი ასევე ითვალისწინებს დამატებით არაეკონომიკურ ფაქტორებს და ასახავს მას საჯარო მომსახურების ვალდებულებაში (PSO). PSO ისეთი ვალდებულებაა, რომელსაც განხორციელებითაც ბიზნესი, თავისი კომერციული ინტერესების გათვალისწინებით, დაინტერესებული არ იქნებოდა, თუმცა საზოგადოების კეთილდღეობისთვის მისი არსებობა მნიშვნელოვანია, ასეთია მაგალითად გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინება, ყველა ოჯახის ხელმისაწვდომობა ელექტროენერჯიაზე, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დაცვა ფასის მატების და სხვა ფაქტორების არსებობისას და ა.შ.¹²

შესაბამისად, ევროპული დირექტივები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მოწყვლად მომხმარებლებზე და მოუწოდებენ წევრ ქვეყნებს იზრუნონ მათ დაცვაზე და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებაზე.

საქართველომ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით აიღო ვალდებულება, განახორციელოს რეფორმა ენერგეტიკის სექტორში და მოახდინოს დირექტივების მოთხოვნების გადმოტანა ადგილობრივ კანონმდებლობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დირექტივების ერთერთი მთავარი ნაწილი არის ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრების ლიბერალიზაცია და ამ პროცესში მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა, ისევე როგორც – გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება ენერგეტიკული სიღარიბის აღმოსაფხვრელად.

ენერგეტიკულ სიღარიბეს ეხმარება გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებიც. მიზანი №1 რომელიც გულისხმობს სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრას მიუთითებს, რომ საჭიროა „მიღებულ – იქნას შესაფერისი ეროვნული ზომები, რათა 2030 წლისთვის მიღწეულ - იქნას ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებით დაფარვა“.¹³ აღნიშნული მიზნის საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა, რომელიც გადმოცემულია მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტში, ამბობს, რომ 2030 წლისთვის შინამეურნეობების თითქმის 100%-თვის ხელმისაწვდომი იქნება ელექტროენერჯია, 75% – სთვის კი – გაზი.¹⁴

მდგრადი განვითარების მიზნებში ცალკე მიზნად არის ასევე გამოყოფილი ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა (მიზანი 7). აღნიშნული მიზნის მიღწევა გულისხმობს 2030 წლისთვის თანამედროვე ენერგომომარაგებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფას, განახლებადი ენერჯის წყაროების წილის ზრდას მთლიან ენერგომომარაგებაში, ენერგოეფექტურობის გაზრდას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას სუფთა ენერჯის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და ტექნოლოგიების განახლებას თანამედროვე და მდგრადი ენერგომომსახურების მისაწოდებლად.¹⁵

¹² Rozeta Karova, Energy Community Secretariat “Understanding the Public Service Obligation in the electricity sector”.

¹³ <https://bit.ly/2Ax5JWt>

¹⁴ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტი, 2017 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით.

¹⁵ <https://bit.ly/2Ax5JWt>

საქართველოსთვის ენერგეტიკული სიღარიბე შედარებით ახალი კონცეპციაა და არ არსებობს მასთან დაკავშირებული პოლიტიკა ან საფუძვლიანი კვლევები, თუმცა არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვება იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ენერგეტიკული სიღარიბე ჩვენს ქვეყანაშიც მნიშვნელოვანი პრობლემაა. არსებული მდგომარეობა გულისხმობს შეშის არაეფექტურ ღუმელებში მოხმარების მაღალ წილს მთლიან ენერგეტიკულ მოხმარებაში რაც განსაკუთრებით მაღალია რეგიონებში. გარდა ამისა, ცალკეული კვლევები მიუთითებს, რომ ოჯახები სათანადოდ ვერ ათბობენ სახლებს მაღალი დანახარჯების გამო, რითაც საფრთხე ექმნება მათ ჯანმრთელობას. აღსანიშნავია ასევე შენობების ენერგოეფექტურობის დაბალი ხარისხი, რაც ხელს უწყობს ენერჯის ფლანგვას და გადასახდელების ზრდას. ენერგეტიკული დანახარჯების ზრდა კი, საქართველოში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ზრდის.

ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული პოლიტიკა გრძელვადიან დაგეგმვას ემყარება და ბევრი სხვადასხვა მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებას გულისხმობს. ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნით, გამოგვეკვლია, თუ რა მიდგომები არსებობს ამ კუთხით განვითარებულ ქვეყნებში და როგორია საუკეთესო პრაქტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები შეგვეთავაზებინა გადაწყვეტილების მიღებებისთვის.

წინამდებარე ანგარიში რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. პირველ ეტაპზე განვიხილავთ რა არის ენერგეტიკული სიღარიბე, რით განსხვავდება იგი ზოგადად სიღარიბისაგან და რატომ არის ცალკე სიღარიბის ფორმად აღიარებული. შემდეგ ეტაპზე მიმოვიხილავთ ევროპული დირექტივების მოთხოვნებს და ქვეყნების გამოცდილებას, როგორ ასახავენ ენერგეტიკულ სიღარიბესა და მოწყვლადი მომხმარებლების საკითხს ეროვნულ პოლიტიკაში.

ანგარიშის მომდევნო თავი ეთმობა საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზს, სადაც არსებულ კვლევებსა და ანგარიშებზე დაყრდნობით, აღწერთ საქართველოში არსებულ ზოგად სოციალურ ფონს, ენერჯის მოხმარების თავისებურებებს, შენობების ენერგოეფექტურობას და მოსახლეობის შემოსავლებსა თუ ენერგეტიკულ დანახარჯებს. საქართველოში არსებული სოციალური ფონის ანალიზი და ენერგეტიკული მოხმარების თავისებურებების მიმოხილვა ენერგეტიკული სიღარიბის შესაძლო მასშტაბების საჩვენებლად გამოიყენება, რომელიც ასევე გამყარებულია ჩვენს მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზით.

ანგარიშის ბოლოს მოყვანილია რეკომენდაციები ენერგეტიკული სიღარიბის პოლიტიკის განმარტების, დაგეგმვისა და შემდგომი ნაბიჯებისათვის.

კვლევის მიზანი და მეთოდები

წინამდებარე კვლევის მიზანია, წარმოადგინოს ფაქტობრივი მასალა, ლოგიკური ჩარჩო და რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისათვის, რომლის ამოცანაც უნდა იყოს საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბის გამოვლენა, მისი აღმოფხვრის გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა ენერგეტიკული რეფორმის საწყის ეტაპებზე.

კვლევა ემყარება არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს და ფოკუს ჯგუფებს.

კვლევის პერიოდში ჩატარდა კონსულტაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მერიის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) და ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კონსულტაციები და ინტერვიუები წარიმართა ასევე ენერგეტიკული გაერთიანების ექსპერტებთან, უკრაინაში განხორციელებული ენერგეტიკული რეფორმის მონაწილე ექსპერტთან და პოლონეთის სტრუქტურული კვლევების ინსტიტუტის მკვლევართან, რომელიც ჩართული იყო ენერგეტიკული სიღარიბის კვლევაში პოლონეთში. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებს, შერჩევის პრინციპები და დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია ფოკუს ჯგუფების ანალიზის ნაწილში.

რა არის ენერგეტიკული სიღარიბე

ლიტერატურაში ენერგეტიკული სიღარიბის ერთიანი განმარტება არ არსებობს, თუმცა ზოგადი ჩარჩოს მიხედვით იგი განისაზღვრება როგორც მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს ან ოჯახებს არა აქვთ შესაძლებლობა სათანადოდ

გაათბონ სახლი ან მიიღონ სხვა საჭირო ენერგეტიკული სერვისები ხელმისაწვდომ ფასად.¹⁶

ტერმინი ენერგეტიკული სიღარიბე ცალკეულ ნაშრომებში 1980 – იანი წლებიდან გამოიყენებოდა. 2001 წლიდან ენერგეტიკული სიღარიბის კონცეფციამ ევროკავშირის ოფიციალურ დოკუმენტაციაში გადაინაცვლა, 2007 წლიდან კი ევროკავშირის მესამე ენერგეტიკულ პაკეტში ჰპოვა ასახვა.

ენერგეტიკული სიღარიბის ცალკე საკითხად გამოყოფა წლების განმავლობაში საკამათო იყო, ისმებოდა კითხვები, თუ რით განსხვავდება იგი ზოგადად სიღარიბისგან; 1990–იანი წლებში ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრი ამტკიცებდა, რომ ხალხი არ ლაპარაკობს ცალკე „ტანსაცმლის სიღარიბეზე“ ან „საკვების სიღარიბეზე“ ამიტომ „ენერგეტიკული სიღარიბე“ არ უნდა განხილულიყო დამოუკიდებლად.¹⁷

მოგვიანებით ენერგეტიკული სიღარიბის ცნებამ პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში მეტი ყურადღება დაიმსახურა, რაც უპირველესად განპირობებული იყო ენერგიაზე ხელმისაწვდომობის უდიდესი გავლენით ადამიანის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე.

მაგალითად, თანამედროვე ენერჯის წყაროებთან ხელმისაწვდომობის არარსებობა აიძულებს ოჯახებს გამოიყენონ შეშა და ღია ცეცხლი საჭმლის მოსამზადებლად თუ გასათბობად, რაც იწვევს ჰაერის დაბინძურებას და მასთან დაკავშირებულ სიკვდილიანობას. 2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 1.3 მილიონი ადამიანი დაიღუპა ამ მიზეზით, მათ უმრავლესობას ქალები და ბავშვები წარმოადგენენ.¹⁸ არასათანადო გათბობა და „ცივი სახლები“ ასევე იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და სიკვდილიანობას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ზამთარში სიკვდილიანობის ზრდა (Excess Winter Mortality –EWM) კლიმატზე არ არის დამოკიდებული – ცივ ქვეყნებში მეტი ადამიანი არ კვდება ამ მიზეზით. განსაკუთრებით მძიმეა არასაკმარისი გათბობის შედეგები ბავშვებსა და მოხუცებზე. გარდა ფიზიკური ჯანმრთელობისა, შეფასებულია ასევე ენერგეტიკული სიღარიბის გავლენა მენტალურ მდგომარეობაზე, მიჩნეულია, რომ გაყინულ სახლებში ცხოვრება დაკავშირებულია დეპრესიასთან, გაღიზიანებასთან, სოციალურ იზოლაციასთან, დაბალ თვითშეფასებასთან და ა.შ.. შეფასებულია ასევე ნეგატიური არაპირდაპირი ეფექტები და გავლენა დასაქმებასა და სხვა ეკონომიკურ პარამეტრებზე.¹⁹

ენერგიაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ხშირად არის გამოწვეული სოციალური ფონითა და შემოსავლის დაბალი დონით, თუმცა ასევე შეიძლება, ადამიანს არ ჰქონდეს წვდომა ენერჯის თანამედროვე წყაროებზე, ან უჭირდეს ენერგეტიკული ხარჯების გადახდა და შეზღუდული ჰქონდეს ენერგეტიკული სერვისების გამოყენება და ამავდროს არ ითვლებოდა ღარიბად. ამდენად, **ენერგეტიკული სიღარიბის ცნება მნიშვნელოვანია ადამიანთა იმ ჯგუფებსა და კატეგორიებზე კონცენტრირებისთვის, რომლებსაც შეზღუდული აქვთ ენერჯის გამოყენება, მიუხედავად იმისა, ითვლებიან თუ არა ღარიბად ან სოციალურად დაუცველებად სიღარიბის ზოგადი განმარტების მიხედვით.**²⁰

ენერგეტიკულ და ზოგად სიღარიბეს შორის განსხვავებას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ენერგეტიკული უზრუნველყოფა, შემოსავლებთან ერთად, დამოკიდებულია საცხოვრებელი შენობის ტიპზე, ენერგეტიკული მოწყობილობის ენერგოეფექტურობაზე და ა.შ. რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ენერგეტიკული სიღარიბის შერბილების პოლიტიკაში. მაგალითად, 2012 წელს, ბრიტანეთში ჩატარებულმა მიმოხილვამ ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ზოგადი სიღარიბის და ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობა საკმაოდ განსხვავდებოდა რაც ძირითადად გამოწვეული იყო შენობების დაბალი ენერგოეფექტურობით. ნაკლებად ენერგოეფექტური სახლების გამო, მსგავსი შემოსავლების მქონე მოსახლეობიდან ზოგს ნაკლები თანხის გადახდა უწევდა გათბობისთვის და ზოგს კი მეტის, რაც, საბოლოო ჯამში, მოსახლეობას კიდევ უფრო აღარიბებდა. მართალია, შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა შეიძლება თავად იყოს შემოსავლების დაბალი დონის შედეგი და ამ შემთხვევაში ენერგეტიკული სიღარიბე ზოგადი სიღარიბის ერთერთი გამოვლინებაა, თუმცა, ევროპის პარლამენტის დონეზე აღიარებულია, რომ უფრო ეფექტური და პრაქტიკულია აღნიშნულ საკითხთან გამკლავება ერთიანი ევროპული ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ვიდრე სოციალური პოლიტიკის ქვეშ, რაც უმეტესად წევრი ქვეყნების ეროვნული კომპეტენციის საკითხია.²¹

აღსანიშნავია, რომ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ენერგეტიკული სიღარიბე განსხვავებულად აღიქმება. განვითარებად ქვეყნებში აქცენტი კეთდება ელექტროენერჯისა თუ ბუნებრივი აირის ტექნიკურ ხელმისაწვდომობაზე, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ამ კუთხით ტექნიკური პრობლემები არ არსებობს, უფრო აქტუალურია ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხი. მაგალითად, თუ აფრიკის ქვეყნებში ენერგეტიკული სიღარიბე განპირობებულია ელექტროენერჯის არარსებობით, ევროკავშირის ქვეყნებში ენერგეტიკული სიღარიბე დაკავშირებულია მოსახლეობის

¹⁶ INSIGHT_E – Energy poverty and vulnerable consumers in the energy sector across the EU: Analysis of policies and measures, May 2015

¹⁷ Campbell, 1993, p. 58

¹⁸ Stefn Bouzarovski “Energy Poverty” 2018

¹⁹ European Union, Energy Poverty Handbook

²⁰ Trinomics “Selecting Indicators for Measuring Energy Poverty”, May 2016

²¹ European Parliament, Energy Poverty, Protecting Vulnerable Consumers, 2016

მიერ ენერგეტიკული სერვისების საფასურის გადახდის უუნარობასთან.

ენერგეტიკულ სიღარიბეზე მოქმედი ფაქტორები

ანალიზისთვის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს ენერგეტიკულ სიღარიბეზე,²² ეს ფაქტორებია:

სოციალურ – პოლიტიკური სისტემები – წარსულში თუ დღეს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რაც გავლენას ახდენს ენერგეტიკული ბაზრების განვითარებაზე, მართვის ინსტიტუციურ სტრუქტურაზე, გათბობის სისტემების მოწყობაზე, სამშენებლო სექტორის მდგომარეობასა თუ ენერჯის მიწოდებაზე. ამ კომპონენტის გავლენა განსაკუთრებით ჩანს ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებში სადაც გეგმიურმა ეკონომიკამ გავლენა მოახდინა შენობების ენერგოეფექტურობაზე, ენერგეტიკულ ბაზრებზე, გათბობის ინფრასტრუქტურაზე, პოლიტიკის ჩარჩოზე და ა.შ.

ენერგეტიკული ბაზრები – ეს კომპონენტი ეხება ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურას და ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციაზე, არსებობს თუ არა კონკურენცია ბაზარზე და აქვთ თუ არა მომხმარებლებს შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი სხვადასხვა მომწოდებელს შორის მათთვის მისაღები ფასებისა და პირობების გათვალისწინებით.

ბუნებრივი სისტემები – კლიმატი – კლიმატის ფაქტორი გავლენას ახდენს ენერჯის მოთხოვნაზე, უფრო კონკრეტულად კი გათბობისა და გაგრილებისთვის მოხმარებული ენერჯის რაოდენობაზე.

მაკროეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის შემოსავლები – ქვეყნების ეკონომიკურ განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შემოსავლების დონეს, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს ენერგეტიკული დანახარჯების წილს, საცხოვრებლის ტიპებს, ზომას და ენერგოეფექტურობას, ეს კი, გავლენას ახდენს მოხმარებული ენერჯის რაოდენობაზე და, შესაბამისად, დანახარჯებზე. ამიტომ, შემოსავლების დონე ენერგეტიკული სიღარიბის ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

პოლიტიკის ჩარჩო – პოლიტიკის ჩარჩო გულისხმობს არსებულ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია მოწყვლადი მომხმარებლების დაცვის და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისკენ.

ამდენად, ენერგეტიკულ სიღარიბეზე გავლენა აქვს როგორც ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, ასევე – სოციო – ეკონომიკურ ფაქტორებსა და არსებულ პოლიტიკას. შესაბამისად, ენერგეტიკული სიღარიბის განმარტებები, საზომი ინდიკატორები თუ დონე, დამოკიდებულია კომპლექსურ გარემოებაზე.

ენერგეტიკული სიღარიბის გენდერული ასპექტები

ენერგეტიკული სიღარიბე ხშირად გენდერულ კონტექსტშიც განიხილება. შეფასებულია, რომ იმ 1.3. მილიარდ ადამიანს შორის, რომლებიც ენერგეტიკული სიღარიბის გავლენით გამოწვეული დაავადებებით გარდაიცვალა, 70% ქალია, მათი უმეტესობა კი მოდის განვითარებად ქვეყნებში, სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ქალებზე. ქალები ენერგეტიკული სიღარიბის გავლენას უფრო ხშირად განიცდიან არა იმიტომ, რომ კაცებისგან განსხვავებული ენერგეტიკული საჭიროებები აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, ენერჯიაზე ხელმისაწვდომობის და გადაწყვეტილების მიღების განსხვავებული ხარისხი აქვთ.

ენერგეტიკული სიღარიბის გენდერთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტი აქვს: უპირველესად, აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში ოჯახებში სახლის მოვლისა და საკვების მომზადების ფუნქცია უმეტესად ქალებს აკისრიათ. საკვების მომზადება ძირითადად შეშის გამოყენებით არაეფექტურ ღუმელებში, ან ღია ცეცხლზე ხდება, რის გამოც ქალების ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად უარესდება. შეშის წვისას წარმოქმნილი კვამლი აზიანებს როგორც სასუნთქ სისტემას, ისე, მხედველობას. UNDP-ის მიხედვით, ცუდი ვენტილაციის მქონე ღუმელებს ისეთივე დამაზიანებელი ეფექტი აქვთ ჯანმრთელობაზე, როგორც დღეში ორი კოლოფი სიგარეტის მოწევა.²³

განვითარებად ქვეყნებში ასევე გასათვალისწინებელია შეშის მოგროვებისთვის საჭირო დრო და მასთან დაკავშირებულ საფრთხეები. ბევრ ქვეყანაში შეშის მოგროვებაც ძირითადად ქალებს და ბავშვებს აკისრიათ, რაშიც დღეში რამდენიმე საათი იხარჯება. ეს კი ქალების ტვირთს დამატებით ზრდის, ამცირებს რა სხვა საოჯახო

²² Trinomics “Selecting Indicators for Measuring Energy Poverty”, May 2016

²³ UNDP press release, 10 April 2002

საქმეებისთვის აუცილებელ დროს. თუმცა როდესაც ოჯახში ენერჯის მოხმარების ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება, წამყვანი როლი არა ქალებს, არამედ კაცებს აქვთ. ძირითადად კაცები წყვეტენ, შეიძინონ თუ არა გაუმჯობესებული ტექნიკა, დაათბუნონ სახლი და ა.შ.²⁴

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული სიღარიბის გენდერული ასპექტები მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში არ არის გამოხატული. ევროკავშირში გენდერული თემატიკა განიხილება ეკონომიკური, ბიოლოგიურ/ფსიქოლოგიური და სოციალ-კულტურული მიმართულებებით, რაც ამავედროულად, ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკური ასპექტი დაკავშირებულია ენერგეტიკული სიღარიბის ფინანსურ კომპონენტთან და შემოსავლებთან, რაც გულისხმობს ქალებსა და კაცებს შორის არათანაბარ ანაზღაურებას. შემოსავლების უთანაბრობა განსაკუთრებულად აისახება მარტოხელა ქალებზე, რომელთა პროცენტული წილი მარტოხელა კაცებთან შედარებით მაღალია. ევროკავშირში ქალების 18% მარტო ცხოვრობს, ეს მაჩვენებელი კაცების შემთხვევაში 13% – ია. დაბალი შემოსავლები ენერგეტიკული სიღარიბის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორია, შესაბამისად ქალები, რომლებსაც კაცებთან შედარებით დაბალი შემოსავალი აქვთ, უფრო მეტად არიან ენერგეტიკული სიღარიბის რისკ ჯგუფში.

ენერგეტიკული სიღარიბის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ ღია ცეცხლის გამოყენებით გამოწვეული დაავადებები და ცივი სახლებში ცხოვრებით განპირობებული ფსიქიკური პრობლემები. შეშის გამოყენებას საჭმლის მოსამზადებლად, მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად ბულგარეთში ენერჯიაზე ფასების ზრდის პარალელურად იზრდება შეშის გამოყენების მაჩვენებელი. ამ შემთხვევაშიც საკვებს ძირითადად ქალები ამზადებენ და მათი ჯანმრთელობას უფრო მეტი საფრთხე ემუქრება.

2016 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ენერჯიაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომელითაც მოუწოდა ევროკავშირს, რომ გაითვალისწინონ გენდერული ასპექტი და ქალების განსხვავებული მდგომარეობა ენერგეტიკული პოლიტიკების შემუშავებისას. ამისთვის კი აუცილებელია შესაბამისი მონაცემების არსებობა, რადგან მონაცემების გარეშე, არ არსებობს პრობლემის ხილვადობა და საკითხისადმი ინტერესიც დაბალია. შესაბამისად, ევროკავშირში იდგმება ნაბიჯები, რომ გაუმჯობესდეს სტატისტიკური მონაცემები და ენერგეტიკული სიღარიბის კვლევისას ცალკე იყოს გამოყოფილი გენდერული ნიშნით განსხვავებული მონაცემები, რაც შემდგომი გამოყენებული იქნება შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვასა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებაში.²⁵

ენერგეტიკული სიღარიბე – ევროპული

კანონმდებლობა და ქვეყნების გამოცდილება

ენერგეტიკული სიღარიბე შედარებით ახალი კონცეფციაა ევროკავშირისთვის. არ არსებობს ერთიანი განმარტება და მიდგომა, რომელსაც ყველა წევრი ქვეყანა გამოიყენებდა, თუმცა, ევროკომისია თავის დოკუმენტებში მიუთითებს, რომ ერთიანი განმარტების არარსებობა არ უნდა იყოს ბარიერი ქვეყნებისათვის, რომ ეროვნულ დონეზე განახორციელონ ენერგეტიკული სიღარიბის შემარბილებელი ღონისძიებები.²⁶ ენერგეტიკული სიღარიბე ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ცალკეული კვლევები მიუთითებს, რომ ევროკავშირის მასშტაბით 50 დან 125 მილიონამდე ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა, ადეკვატურად გაათბოს საცხოვრებელი სახლი ან გადაიხადოს ენერგეტიკული გადასახდელი.²⁷

ევროკავშირის ენერგეტიკული სიღარიბის საკითხი მე-3 ენერგეტიკულ პაკეტში შემოაქვს (2009 წ) და ავალდებულებს წევრ ქვეყნებს იზრუნონ მის აღმოფხვრაზე ამისათვის კი, პირველ რიგში საჭიროა, განსაზღვრონ ენერგეტიკული ბაზრების მოწყვლადი მომხმარებლები და შეიმუშაონ მათი დაცვის ღონისძიებები. უფრო კონკრეტულად, დირექტივებში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრების შესახებ ნათქვამია, რომ, ენერგეტიკული სიღარიბე წევრ ქვეყნებში მზარდ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ეროვნული სამოქმედო გეგმები და სხვა დოკუმენტები აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, „წევრმა ქვეყნებმა უნდა გაატარონ სათანადო ღონისძიებები საბოლოო მომხმარებლის დასაცავად და, განსაკუთრებით, მოწყვლადი მომხმარებლის დასაცავად, ამ მიზნით ყველა ქვეყანამ უნდა განმარტოს მოწყვლადი მომხმარებლის არსი, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ენერგეტიკულ სიღარიბეს...“.²⁸

ენერგეტიკული სიღარიბე ასევე ნახსენებია დირექტივებში შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (EPBD) და

²⁶ European Commission - “An Energy Policy for Consumers” (EC, 2010)

²⁷ European Parliament – “Energy Poverty ,Protecting Vulnerable Consumers”, May 2016

²⁸ 2009/73/EC (50), 2009/72/EC (53)

ენერგოეფექტურობის შესახებ (EED). EPBD-ის მიხედვით, “წევრმა ქვეყნებმა კომისიას უნდა წარუდგინონ იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა მიზანია საბაზრო ბარიერების შემცირება და ინვესტიციების წახალისება შენობების ენერგოეფექტურობისათვის, რასაც წვლილი შეაქვს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებაში“ (2010/31/EU),²⁹ EED კი ამბობს, რომ „წევრმა ქვეყნებმა უნდა შექმნან ენერგოეფექტურობის სავალდებულო სქემები. სქემები შეიძლება მოიცავდეს მოთხოვნებს სოციალური მიზნებით, მათ შორის, მოთხოვნებს, რომ ენერგოეფექტურობის ღონისძიებები უპირველესად განხორციელდეს ოჯახებში, რომლებიც ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ არიან ან სოციალურ საცხოვრისებში“ (2012/27/EU).³⁰

ენერგეტიკული სიღარიბე ასევე ხაზგასმულია „ენერგეტიკული კავშირის“ (Energy Union) სტრატეგიაში, რაც ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1) ენერგეტიკული უსაფრთხოება 2) შიდა ენერგეტიკული ბაზრები 3) ენერგოეფექტურობა 4) ეკონომიკის დეკარბონიზაცია და 5) კვლევა და ინოვაცია. ხუთივე მიმართულება გარკვეულ კონტექსტში მოიცავს ენერგოეფექტურობას და ეხება ენერგეტიკული სიღარიბის საკითხს, „ენერგეტიკული კავშირის“ სტრატეგია ამბობს, რომ ენერგეტიკული სიღარიბის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა ღონისძიების კომბინაციით, ძირითადად, სოციალურ სფეროში, და მოითხოვს ადგილობრივ, ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე კოორდინაციას.³¹

ევროპული დირექტივები ადგენს ზოგად ჩარჩოს, რაც, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, ქვეყნებმა თვითონ უნდა დააკონკრეტონ, თუმცა ევროკავშირი ეხმარება წევრ ქვეყნებს კონკრეტული რეგულაციების დანერგვაში და უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

ენერგეტიკული სიღარიბის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოწყვლადი მომხმარებლების საკითხი, რაზე მუშაობაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს. მაგალითად, 2011 წელს ევროკომისიამ შექმნა მოწყვლადი მომხმარებლების სამუშაო ჯგუფი (VCSWG), რომლის მიზანია, განსაზღვროს მოწყვლადობის შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, შესთავაზოს რეკომენდაცია ქვეყნებს როგორ დაადგინონ ენერგეტიკულ სექტორში მოწყვლადი მომხმარებლები, გააცნოს მათ სხვა ქვეყნების გამოცდილება და ამ გზით დაეხმაროს, რომ შეამცირონ მოწყვლადი მომხმარებლების რაოდენობა და ენერგეტიკული სიღარიბე (VCSWG 2013). სამუშაო ჯგუფი შედგება მოქალაქეების, არასამთავრობო სექტორის, მარეგულირებელი ორგანოების, საჯარო სექტორის და ინდუსტრიების წამომადგენლებისგან.

ვინ არიან მოწყვლადი მომხმარებლები?

ლიტერატურაში მოწყვლადობა განიხილება, როგორც მომხმარებლის კეთილდღეობაზე შესაძლო ნეგატიური ეფექტის წინასწარი შეფასება. ეს არის უფრო რისკების შეფასება, ვიდრე უარყოფითი შედეგის ასახვა. შეიძლება განისაზღვროს მოწყვლადობის ორი ფართო კატეგორია: 1) მოწყვლადობა, რომელიც დაკავშირებულია პირად, პერსონალურ მახასიათებლებთან და 2) მოწყვლადობა რომელიც დაკავშირებულია იმ გარემოსთან, რომელშიც მომხმარებლებს უწევთ ყოფნა. ეს ორი კატეგორია აერთიანებს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების ქონა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ენერგეტიკული ბაზრების მახასიათებლები, ინფორმაციის არქონა, ზოგადი სოციალური ფონი თუ დემოგრაფიული მახასიათებლები და ა.შ.

განმარტებების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს, რომ მოწყვლადობა არ არის სტატიკური მდგომარეობა და მომხმარებლები შეიძლება მოწყვლადობის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადადიოდნენ, ან მოწყვლადები იყვნენ გარემოს კონკრეტული ასპექტისადმი, რომლის ცვლილების შედეგად მათი სტატუსიც შეიძლება შეიცვალოს. ამიტომ მოწყვლადობა განიხილება როგორც მრავალგანზომილებიანი და სხვადასხვა სპექტრის მქონე, ვიდრე სწორხაზოვანი მიდგომა.³²

ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობას, დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, უკვე შემუშავებული აქვთ ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრებისათვის მოწყვლადი მომხმარებლების დეფინიცია. დეფინიციების ძირითადი ნაწილი ეფუძნება სოციალურ მახასიათებლებს. წევრი ქვეყნების თითქმის 40%-ში მოწყვლადობა დაკავშირებულია სოციალურ დაუცველობასთან. მაგალითად, გერმანიაში მოწყვლადი მომხმარებლები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დაცვას ელექტროენერჯის და გაზის ბაზრებზე, არიან სოციალური დაცვის სისტემაში რეგისტრირებული პირები. ლიეტუვაშიც ის პირები, ვინც იღებენ სოციალურ დახმარებას ერთიანდებიან მოწყვლადი მომხმარებლების კატეგორიაში. ასევე ბულგარეთის, კვიპროსის, დანიის, ფინეთის, ხორვატიის, პოლონეთის და ა.შ. შემთხვევაში.

განმარტებების მეორე კატეგორია აქცენტს აკეთებს ენერგეტიკულ დანახარჯებზე და შემოსავლის დონეზე. მაღალი

²⁹ 2010/31/EU (20)

³⁰ 2012/27/EU (53)

³¹ European council for Energy Efficient Economy

³² Consumer vulnerability across key markets in the European Union, London Economics, VVA Consulting and Ipsos Mori consortium, January 2016

დანახარჯების და დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობა მოწყვლადი მომხმარებლების კატეგორიაში ერთიანდება (იტალია, საფრანგეთი, შვედეთი). მაგალითად, შვედეთში მოწყვლადი მომხმარებლები არიან ის მომხმარებლები, რომლებსაც მუდმივად არა აქვთ შესაძლებლობა გადაიხადონ არაკომერციული მიზნებისთვის გამოყენებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გადასახელები.

ზოგიერთ ქვეყანაში (ჩეხეთი, პოლანდია, სლოვაკეთი) მოწყვლადობა დაკავშირებულია ჯანმრთელობის და შეზღუდული შესაძლებლობების პრობლემასთან. მაგალითად, ჩეხეთში არსებობს „დაცული მომხმარებლების“ კატეგორია და ეს არის საავადმყოფოები და ავადმყოფები, რომლებიც სიცოცხლის მხარდამჭერ აპარატურაზე არიან შეერთებული.

ქვეყნების უფრო დიდი ჯგუფი კი განმარტებაში აერთიანებს უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს, რომელიც მოიცავს შემოსავალს, ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას (ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, საბერძნეთი, აქვე შედის დიდი ბრიტანეთი). მაგალითად, ესპანეთში მოწყვლადი მომხმარებლის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ოჯახის ზომა, ოჯახის წევრების სამუშაო სტატუსი, ასაკი, მოხმარებული ენერჯის რაოდენობა, შემოსავლის დონე და ა.შ.

საქართველოსთან მიმართებით, საინტერესოა ენერგეტიკული გაერთიანების წევრი და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, თუმცა ისწრაფვიან ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანებისკენ და ამისათვის ახორციელებენ რეფორმებს ენერგეტიკის სექტორში ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში.

ერთერთი საინტერესო ქვეყანა ამ კუთხით არის უკრაინა სადაც 2014-2016 წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად საყოველთაო სუბსიდია მოიხსნა და ტარიფები მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაზრდილი ფასებისგან დაცვისათვის, მოსახლეობას მთავრობამ სუბსიდირების ახალი სქემა შესთავაზა, რომელიც ადმინისტრირების კუთხით არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

რეფორმამდე გაზის სამომხმარებლო ფასი უკრაინაში ერთერთი ყველაზე დაბალი იყო ევროპის მასშტაბით, მაშინ როცა თვითონ ქვეყანას ამ გაზის მიწოდება ძალიან ძვირი უჯდებოდა. საშუალოდ, ოჯახი იმპორტირებული გაზის ფასის მხოლოდ 20% იხდიდა, დანარჩენი კი სუბსიდირებული იყო მთავრობის მიერ. შედეგად, მდიდარი მოსახლეობა მეტ სარგებელს იღებდა ვიდრე ღარიბი, რადგან მეტს მოიხმარდა. არსებობდა ასევე პრობლემები მიწოდებული ენერჯის ხარისხთან დაკავშირებით, ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი ენერგოეფექტურობაზე და ა.შ.

2016 წელს გაზის ფასი გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა მიწოდების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მიწოდების ხარისხის ამაღლება. ამავდროულად, განისაზღვრა სოციალური დაცვის სქემები დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის. დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა 2017 წელს 1 მილიონიდან 6.5 მილიონამდე გაიზარდა, რაც უკრაინის მოსახლეობის (ოჯახების) თითქმის ნახევარს შეადგენს.

სოციალური დახმარების მიღების კრიტერიუმები განსაზღვრულია კანონმდებლობით და ძირითადად დამოკიდებულია ოჯახის შემოსავალზე. რეფორმის საწყის ეტაპზე განისაზღვრა მოხმარებული ენერჯის, წყალმომარაგების და დასუფთავების მინიმალური გადასახდელის პრინციპი რაც დაუკავშირდა ოჯახის შემოსავალს. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, რაც უფრო დაბალია ოჯახის შემოსავალი, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მის მიერ გადახდილი კომუნალური გადასახდელების წილი მთლიან შემოსავლებში. მაგალითად, ოჯახი, რომლის შემოსავალიც პირობითად არის 250 ერთეული, კომუნალურ გადასახდელებზე არ უნდა ხარჯავდეს შემოსავლის 1%-ზე მეტს. თუ შემოსავალია 2000 ერთეულია – უნდა დახარჯოს 9%-მდე და ა.შ. პროცენტული მაჩვენებელი იზრდება შემოსავლის ზრდის პროპორციულად. თუკი ოჯახის რეალური გადასახდელი აღემატება ამ მინიმალურ გადასახდელ ზღვარს, სხვაობას ფარავს სახელმწიფო.

თუმცა მთავრობა ადგენს ზედა ზღვარსაც, რომლის მიღმაც სახელმწიფო უკვე აღარ აფინანსებს კომუნალურ სერვისებზე გადასახდელებს. ეს ზედა ზღვარი დაკავშირებულია ენერჯის მოხმარების ყოველთვიურ სოციალურ ნორმებთან. 2018 წლისთვის ნორმები გამკაცრდა და განისაზღვრა საცხოვრებელი ფართის მიხედვით ბუნებრივი აირისთვის 4.5 მ³ ერთ მ² ფართობზე (ნაცვლად 2016-2017 წლებში არსებული 5.5 მ³ - სა). მსგავსი ნორმები განისაზღვრა ელექტროენერჯის მოხმარებაზეც. მაგალითად, სტანდარტული ნორმა არის ოჯახზე 70 კილოვატ საათი და დამატებით 30 კილოვატ საათი ოჯახის თითო წევრზე. მაგრამ არაუმეტეს 190 კილოვატ საათისა თვეში. ხოლო ოჯახებისთვის, რომლებიც არ მარაგდებიან ცხელი წყლითა და გაზით, თვეში განსაზღვრულია 100 კვტ. სთ, ოჯახის თითოეულ წევრზე დამატებით 30 კილოვატ საათი, მაგრამ არაუმეტეს 220 კილოვატ საათისა.³³

სუბსიდიის მისაღებად ოჯახმა უნდა წარადგინოს განაცხადი და დეკლარაცია. სიმარტივისათვის, მთავრობამ შეიმუშავა ერთგვერდიანი ფორმები, რომელიც უნდა შეივსოს. წინა პერიოდისგან განსხვავებით, სუბსიდია გაიცემა 12 თვეზე, და არა მხოლოდ ზამთრის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა პერიოდულად იხვეწება, არსებობს ადმინისტრირების მნიშვნელოვანი გამოწვევები. კერძოდ, გართულებულია ოჯახის შემოსავლის გადამოწმება. კვლევების მიხედვით, უკრაინაში შემოსავლების 30-40% არაოფიციალურია, ამიტომ აპლიკაციაში მითითებული ინფორმაციის გადამოწმება პრობლემურია. არის გარკვეული

³³ <https://bit.ly/2QcAiu9> / <https://teplo.gov.ua/#subsidiu>

ცვლილებებიც: მაგალითად, გამკაცრდა შემოსავლების დადასტურების პროცედურა და პირობები. ახალი რეგულაციების მიხედვით, სუბსიდირება უქმდება თუ საცხოვრებელი ბინა აღემატება 120 კვადრატულ მეტრს, ხოლო კერძო სახლის შემთხვევაში ეს ნორმა 200 კვადრატული მეტრით განისაზღვრა. სუბსიდია არ გაიცემა გაქირავებულ ბინაზე და ა.შ. თუმცა საბოლოო ჯამში, ოჯახის მიერ წარდგენილი დეკლარაციისა და შემოსავლის ფორმის გადამოწმება უკრაინის მთავრობისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.³⁴


უკრაინაში ენერგეტიკული სუბსიდირების სისტემა მოწყვლადი მომხმარებლების დახმარებას ემსახურება; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირი არ შემოიფარგლება მხოლოდ მოწყვლადი მომხმარებლების (ელექტროენერჯის და გაზის ბაზრების რეგულირებული ნაწილის) საკითხით. **მოწყვლადი მომხმარებლების დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმები არის მოკლევადიანი, ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებული საკითხები კი მოითხოვს გრძელვადიან ხედვას და სტრატეგიებს, რომლებიც დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის გარდა ფოკუსირებულ-ია საბინაო სექტორის ენერგოეფექტურობაზე, ენერგეტიკული ბაზრების სტრუქტურაზე და ა.შ.**

2018 წლის 29 იანვარს ევროკომისიამ შექმნა ახალი ონლაინ პლატფორმა, EU Energy Poverty Observatory,³⁵ რომლის მიზანია ევროკავშირის მასშტაბით ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარება. პლატფორმა სთავაზობს სახელმძღვანელოს პოლიტიკის შემქმნელებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მეცნიერულ კვლევებსა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით. კომისია მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გაზიარება შესაძლებლობას მისცემს ქვეყნებს, მიიღონ ენერგეტიკული სიღარიბის საერთო დეფინიცია, რის გარეშეც პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა შეუძლებელია.³⁶

როგორც აღვნიშნეთ, საერთო დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, ცალკეული წევრი ქვეყნები ეროვნულ დონეზე განმარტავენ ენერგეტიკულ სიღარიბეს. ამათგან, ნაწილი ინტეგრირებულია სახელმწიფო პოლიტიკაში ან აქვს ოფიციალური სტატუსი, ნაწილი კი არა. მაგალითად, ირლანდიას მიღებული აქვს ოფიციალური დეფინიცია რომლის მიხედვითაც, ენერგეტიკული სიღარიბე არის მდგომარეობა, როდესაც ოჯახს არ შეუძლია მიიღოს ენერგეტიკული სერვისების საჭირო დონე (გათბობა, განათება და ა.შ.) იმის გამო, რომ სერვისებისთვის საჭირო ფულად რესურსებზე ხელი არ მიუწვდება. იგულისხმება, რომ ენერგეტიკულ სერვისებზე ხარჯავს განკარგვადი შემოსავლის 10%-ზე მეტს.³⁷ სხვა ქვეყნებშიც, ენერგეტიკული სიღარიბის განსაზღვრის პარამეტრად შემოსავლის დონე, დანახარჯები მოხმარებულ ენერგიაზე და მიღებული ენერგეტიკული სერვისები მოიაზრება, თუმცა ზღვარის დადგენა ცალკეული პარამეტრებისთვის შეიძლება განსხვავებული იყოს.

მაგალითად, პოლონეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 12% ენერგეტიკულად ღარიბია. საინტერესოა, რომ ენერგეტიკულად ღარიბი და ზოგადად ღარიბი მოსახლეობის წილები განსხვავდება. მაგალითად, მოსახლეობის 6% ენერგეტიკულად ღარიბია, თუმცა არ ითვლება ღარიბად დადგენილი სტანდარტების მიხედვით. ანუ პოლონეთში ოჯახების 6% (2.5 მილიონი ადამიანი) არსებული სტანდარტის მიხედვით, არ ითვლება დაბალი შემოსავლის მქონედ სანამ ენერგეტიკულ გადასახდელებს გადაიხდის, გადახდის შემდეგ კი უთანაბრდებიან შემოსავლის მხრივ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას. აღნიშნული ურთიერთმიმართება ენერგეტიკულ სიღარიბესა და ზოგადად სიღარიბეს შორის მოცემულია გრაფიკზე

სურ 1: ენერგეტიკული სიღარიბე და ზოგადი სიღარიბე³⁸



³⁴ <http://pubdocs.worldbank.org/en/721741520534548015/SSLF18-Economic-Shocks-Ukraine.pdf>

³⁵ <https://www.energy-poverty.eu/>

³⁶ <https://euobserver.com/energy/140758>

³⁷ INSIGHT_E, May 2015

³⁸ IBS, How to reduce energy poverty in Poland, 2016

ამდენად, ენერგეტიკული სიღარიბე ბევრად კომპლექსური საკითხია, ვიდრე მხოლოდ მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა და, შესაბამისად, მრავალმხრივ მიდგომებს მოითხოვს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწყვლადი მომხმარებლების საკითხი ენერგეტიკული სიღარიბის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.


საქართველოში არსებული ვითარება

საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში ენერგეტიკული სიღარიბის ცნება ჯერჯერობით ფართოდ არ გამოიყენება, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევები და ანალიზიც ნაკლებია. საწყის ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ იმ ზოგადი პარამეტრების მიმოხილვა, რომლებიც, როგორც ევროპული გამოცდილებით არის დადგენილი, პირდაპირ კავშირშია ენერგეტიკულ სიღარიბესთან. ესენია: 1) ენერჯის ტექნიკური ხელმისაწვდომობა და მოხმარება 2) საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობა, 3) ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი და მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობა, გადაიხადონ ენერგეტიკული ხარჯები.

ენერჯის ხელმისაწვდომობა და მოხმარების თავისებურებები

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 99% – ს აქვს წვდომა ელექტროენერჯიაზე, ხოლო 68% – ს – ბუნებრივ გაზზე.³⁹ რეგიონების გაზიფიცირება გრძელდება მთავრობის მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.⁴⁰


სურ. 2 ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ გაზზე ტექნიკური ხელმისაწვდომობა საქართველოში



გათბობის, ცხელ – წყალმომარაგებისა თუ საჭმლის მოსამზადებლად მოსახლეობა ძირითადად იყენებს ბუნებრივ აირს, შეშას და ელექტროენერჯიას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) შინამეურნეობაში ენერგორესურსების მოხმარების კვლევის 2017 წლის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში შინამეურნეობებმა მოიხმარეს 797,8 მლნ. მ³ ბუნებრივი გაზი, 2376,9 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია და 2099,9ათასი მ³ – შეშა. პროცენტულად რომ შევაჯამოთ, მთლიან მოხმარებულ ენერჯიაში ბუნებრივი გაზის წილი შეადგენს 51.8 %-ს, ხოლო შეშა – 29. 9% – ს ხოლო ელექტროენერჯია – 16.4 %, . შეშის მოხმარების წილი მაღალია რეგიონებში და მთლიანი მოხმარების 82% – ს შეადგენს.⁴¹

³⁹ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი, 2018 წ. 27 მარტის მდგომარეობით
⁴⁰ გაზიფიცირების გეგმა <http://www.energy.gov.ge/minenergy.php?id=52&lang=geo>
⁴¹ საქსტატი, შინამეურნეობაში ენერგეტიკული რესურსების მოხმარების კვლევა, 2017

სურ. 3. ენერჯის მოხმარება შინამეურნეობებში



მოსახლეობაში ენერჯია ძირითადად გამოიყენება გათბობის, საჭმლის მომზადებისა, განათებისა და ცხელწყალმომარაგებისათვის.

გათბობა – საქართველოში გათბობისათვის ინდივიდუალური ცენტრალური სისტემა ან სხვა ინდივიდუალური საშუალებები გამოიყენება. ცენტრალური სისტემისათვის ბუნებრივი აირი (და იშვიათად შეშა) მოიხმარება, სხვა სისტემისათვის კი ბუნებრივი გაზი, ელექტროენერჯია, შეშა, სასოფლო – სამეურნეო ნარჩენები და მყარი ან თხევადი საწვავი.


საქსტატის მიხედვით, ბუნებრივ გაზზე მომუშავე გათბობის ინდივიდუალურ ცენტრალურ სისტემას იყენებს შინამეურნეობების 10,5%. აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია საქალაქო დასახლებაში (17,1%), ხოლო სასოფლო დასახლებაში 1,6%-ის ფარგლებშია. საცხოვრისების უდიდეს ნაწილში (88,3%) გათბობისთვის გამოიყენება გათბობის ინდივიდუალური საშუალებები (ელექტროენერჯია, ბუნებრივი გაზი, შეშა და სხვა). გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებში მოხმარებული ენერჯორესურსებიდან შინამეურნეობების 44,5% იყენებს ბუნებრივ გაზს, 45,8% – შეშას და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებს, ხოლო 6,4% – ელექტროენერჯიას.

ცხრილი 1. გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებში გამოყენებული ენერჯორესურსები

პროცენტი	სულ	ქალაქად	სოფლად
	Total	Urban	Rural
გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებში გამოყენებული ენერჯორესურსები			
ბუნებრივი გაზი	44.5	70.7	15.1
ქვანახშირი	0.2	0.2	0.1
შეშა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები	45.8	17.0	78.3
ელექტროენერჯია	6.4	10.5	1.8
ცხოველური ნარჩენები	0.7	0.1	1.3
ხე – ტყის ნარჩენები	2.4	1.5	3.4
სულ	100.0	100.0	100.0

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ცივ ამინდში საცხოვრებლის საერთო ფართობის მცირე ნაწილს ათბობს. ფართობის იმ ნაწილიდან, რომელიც თბება, უდიდესი წილი (42,1%) მოდის 20 მ² ან ნაკლებ ფართობზე, რაც შედარებით მაღალია (50,5%) სასოფლო დასახლებაში. რაც შეეხება საქალაქო დასახლებას – უმეტეს შემთხვევაში (41,2%) თბება 21 – 49 მ² ფართობი, ხოლო 35,7%-ის შემთხვევაში – 20 მ² ან ნაკლები ფართობი. საცხოვრებლის საერთო ფართობი უმეტეს შემთხვევაში 51 მ² – ს აღემატება. ოჯახების 42,1 % ცხოვრობს 51 – 100 მ² საერთო ფართობის მქონე საცხოვრისში, 39,0% – 101 მ² და მეტი ფართობის საცხოვრისში, 12,7% ცხოვრობს 31 – 50 მ² ფართობის საცხოვრისში, ხოლო დარჩენილი 6,2% – 30მ² – ზე ნაკლები ფართობის მქონე საცხოვრისში.⁴²

სურ. 4 საცხოვრისის სტრუქტურა გათბობით უზრუნველყოფილი ფართობის მიხედვით მ²



გათბობისაგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები ენერჯია იხარჯება გაგრილებაზე. კონდიციონერების სისტემით აღჭურვილია საცხოვრისების საერთო რაოდენობის 9,1%, აქედან 21 – 49 მ² ფართობის გაგრილებას ახდენს შინამეურნეობების 4,7%, ხოლო 100 მ² და მეტი ფართობის გაგრილებას – 0,4%. გაგრილების საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატება დღეში 5 საათს.⁴³

საჭმლის მომზადება – საჭმლის მომზადება იყოფა ორ ნაწილად. საჭმლის ქურაზე მომზადებისათვის შინამეურნეობების ნახევარზე მეტი (52,8%) იყენებს ბუნებრივ გაზს (ქალაქად – 77,8%, ხოლო სოფლად – 27,8%), 24,6% – შეშას და სასოფლო – სამეურნეო ნარჩენებს, 16,7% – იყენებს თხევად გაზს, ხოლო ელექტროენერჯიას იყენებს შინამეურნეობების 5,7%. რაც შეეხება საჭმლის ღუმელში მომზადებას, სურათი ამ შემთხვევაში განსხვავებულია, გამოყენებული ენერგორესურსების 43,0% მოდის ბუნებრივ გაზზე, 33,7% – შეშაზე და სასოფლო – სამეურნეო ნარჩენებზე. არსებითი წილით არის წარმოდგენილი აგრეთვე ელექტროენერჯია (14,9%).

ცხელი წყალი – საქსტატის მიხედვით, მოსახლეობის უმეტესობა (65,1%) წყლის გასათბობად იყენებს ინდივიდუალურ სისტემას, როგორცაა წყალგამაცხელებელი ქვაბი, ხოლო დაახლოებით 35% სარგებლობს ცხელი წყლის მიწოდების სხვა საშუალებებით (გაზქურა, ელექტრო ღუმელი, შეშა, ელექტრო ჩაიდანის, ქვანახშირის ღუმელი, მზე და ა.შ.). აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ მოსახლეობა ერთდროულად იყენებს როგორც წყალგამაცხელებელ ქვაბებს, ისე ინდივიდუალურ საშუალებებს.⁴⁴

როგორც შინამეურნეობების მიერ ენერჯიის მოხმარების მონაცემებს ანალიზიდან იკვეთება, შეშის წილი გათბობასა და საჭმლის მომზადებაში არის მაღალი და ოჯახების თითქმის ნახევარი დამოკიდებულია შეშაზე, რაც ენერგეტიკული სიღარიბის მნიშვნელოვან მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუფთა ენერჯიის წყაროების გამოყენება არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, როდესაც ენერგეტიკულ სიღარიბეზეა საუბარი.

⁴² საქსტატი, შინამეურნეობაში ენერგეტიკული რესურსების მოხმარების კვლევა, 2017

⁴³ საქსტატი


⁴⁴ საქსტატი

თანხა შინამეურნეობებში

სუფთა ენერჯიის წყაროების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ენერგეტიკული სიღარიბის კვლევისას წამყვანი ადგილი უჭირავს ენერჯიაზე დანახარჯების წილს ოჯახის შემოსავლებში.

შინამეურნეობების გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო ერთ წლის განმავლობაში საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის მოსახლეობამ ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი გაზის გარდა 158,9 მლნ. ლარის ღირებულების ენერჯორესურსი შეძინა. აქედან 109,8 მლნ. ლარი დახარჯულია შუშის შექენაზე, 45,0 მლნ. ლარი – თხევადი გაზის შექენაზე, 2,7 მლნ. ლარი – სასოფლო – სამეურნეო ნარჩენების შექენაზე.

სურ. 5. ენერჯორესურსების შექენაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა



აღსანიშნავია, რომ ოჯახებმა ასევე 6,3 მლნ. ღირებულების ენერჯორესურსი მიიღეს საჩუქრის სახით (შემოწირულობა, მეზობლების დახმარება და ა.შ.), რომლის უდიდესი ნაწილი (93,3%) მოდის შეშაზე, ხოლო დანარჩენი 6,3% უმეტეს შემთხვევაში ხე – ტყის, სასოფლო – სამეურნეო და ცხოველურ ნარჩენებზე ნაწილდება. გარდა ამისა, ქვეყანაში განახლებადი ენერჯორესურსების არსებობა შინამეურნეობებს საშუალებას აძლევს გარკვეული სახეობის ენერჯორესურსი მიიღოს საკუთარი ძალებით. მაგალითად, წლის განმავლობაში მათ მოიპოვეს 15407,4 ტონა ცხოველური ნარჩენები, 3108,7 ტონა ხე – ტყის ნარჩენები, 453,0 ათასი მ³ შეშა, 236,8 ტონა სასოფლო – სამეურნეო ნარჩენები და დაახლოებით 1 ტონა ხის ნახშირი.

ამ ხარჯებს ასევე ემატება ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი აირის ტარიფით განსაზღვრული თანხის გადახდა. ელექტროენერჯიაზე ტარიფი საფეხურების მიხედვით მერყეობს 14 დან 23 თეთრამდე, ხოლო ბუნებრივი გაზის ფასი არის თბილისში 46 თეთრი, ხოლო რეგიონებში 57 თეთრი.

ენერგეტიკული დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ოჯახებისა და სეზონების მიხედვით. მაგალითად, Winrok International Georgia-ს კვლევის მიხედვით, თბილისში ზაფხულის თვეებში ბუნებრივი აირის გადასახდელი არის დაახლოებით 20 ლარი, ხოლო ზამთარში 95 ლარი. ელექტროენერჯია კი ზაფხულში – 28 ლარი, ხოლო ზამთარში – 48 ლარი. ამასთან, გათბობა ხშირ შემთხვევაში 24 საათს განმავლობაში ჩართული არ არის. დეტალური მონაცემები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.⁴⁵

⁴⁵ Winrok International Georgia “Knowledge, Attitude and Behavior Baseline Survey”, 2015

ცხრილი 2. დანახარჯები ენერჯის სხვადასხვა წყაროს მიხედვით – თბილისი

ელექტროენერჯია GEL	თანხა თვის განმავლობაში ზაფხულში – თბილი სეზონი	28.06
	თანხა თვის განმავლობაში ზამთარში – ცივი სეზონი	44.08
	წლიური თანხა	475.03
ბუნებრივი აირი GEL	თანხა თვის განმავლობაში ზაფხულში – თბილი სეზონი	20.95
	თანხა თვის განმავლობაში ზამთარში – ცივი სეზონი	95.18
	წლიური თანხა	688.02
Bottled gas/LPG წლიური მოხმარება ლიტრებში		11.50
შემის მოხმარება	წლიური მოხმარება M ³	7.00
	წლიური დანახარჯები GEL	350.00

რეგიონებშიც ზამთარში გადასახდელის წილი ზაფხულთან შედარებით მაღალია. ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მოხმარებასთან ერთად მაღალია შემის მოხმარებაც. მაგალითად, ქ. ზუგდიდისათვის მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება.

ცხრილი 3. ხარჯები ენერჯის სხვადასხვა წყაროს მიხედვით – ზუგდიდი


		ქალაქი	სოფელი
ელექტროენერჯია GEL	თანხა თვის განმავლობაში ზაფხულში – თბილი სეზონი	24	22
	თანხა თვის განმავლობაში ზამთარში – ცივი სეზონი	32	21
	წლიური თანხა	333	251
ბუნებრივი აირი GEL	თანხა თვის განმავლობაში ზაფხულში – თბილი სეზონი	13	17
	თანხა თვის განმავლობაში ზამთარში – ცივი სეზონი	43	26
	წლიური თანხა	335	300
Bottled gas/LPG წლიური მოხმარება ლიტრებში		83	88
შემის მოხმარება	წლიური მოხმარება M ³	8	12
	წლიური დანახარჯები GEL	364	447

ამასთან, მოსახლეობა საცხოვრებლის მხოლოდ მესამედს ათბობს. გათბობა დღის განმავლობაში სრულად ჩართული არ არის.⁴⁶

შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები

საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე 272.7 ლარს შეადგენდა, ხოლო შინამეურნეობაზე – 954.8 ლარს. აღნიშნული მაჩვენებლები ბოლო წლების განმავლობაში ბრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

სურ. 6 საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე და შინამეურნეობაზე



ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლების მაჩვენებლები შედარებით მაღალია ქალაქის დასახლებაში (307.2 ლარი), ხოლო შედარებით დაბალი – სასოფლო დასახლებაში (225,4 ლარი).

ჯამურად ⁴⁷ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობა 2017 წელს 1016.0 მლნ ლარით განისაზღვრა. შემოსავლების უდიდესი ნაწილი (92.6%) წარმოდგენილია ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერების სახით, ხოლო 7.4% მოდის არაფულად შემოსავლებზე.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ტრანსფერების თითქმის ნახევარი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მნიშვნელოვანი წილით (18%) არის ასევე წარმოდგენილი პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები; თვითდასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის ფულადი შემოსავლების 11%, საჩუქრად მიღებულ ფულზე – 11%, ხოლო დანარჩენი სხვა კატეგორიის შემოსავლებზე ნაწილდება.


ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერების სტრუქტურას 2017 წლის მონაცემების მიხედვით:

⁴⁶ Winrok International Georgia “Knowledge, Attitude and Behavior Baseline Survey”, 2015

⁴⁷ გამოკვლევის შედეგები ეფუძნება შინამეურნეობათა ყოველკვარტალურ გამოკვლევას, რომლის მიხედვითაც ორსაფეხურიანი შემთხვევითი სტრატეგიული შერჩევით მეთოდის გამოყენებით გამოიკითხება დაახლოებით 3500 შინამეურნეობა.

სურ. 7 მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა 2017 წელს

მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა 2017 წელს




შემოსავლების საერთო მოცულობიდან 65% მოდის საქალაქო, ხოლო 35% სასოფლო დასახლებაზე.⁴⁸

რაც შეეხება ხარჯებს, მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა 2017 წელს 1163,0 მლნ ლარს შეადგენდა. ხარჯი ერთ სულზე 312,2 ლარს შეადგენს, ხოლო ერთ შინამეურნეობაზე – 1093 ლარს.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურას, შინამეურნეობათა 2017 წლის გამოკვლევის მიხედვით:⁴⁹

სურ.8 მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა

მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა 2017 წელს



⁴⁸ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=181&lang=geo


⁴⁹ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=184&lang=geo

სიღარიბის მაჩვენებლები

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის შეფასებისთვის არის სიღარიბე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აბსოლუტური სიღარიბე, ფარდობითი სიღარიბე და ჯინის ინდექსი.

საქართველოში 2017 წლის მონაცემებით, აბსოლუტურმა სიღარიბემ 21.9 პროცენტი შეადგინა. ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლებს 2004 – 2017 წლებში:

სურ. 10 აბსოლუტური სიღარიბის დონე საქართველოში



აბსოლუტურ სიღარიბესთან ერთად საინტერესოა ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელიც. ფარდობითი სიღარიბის დასადგენად საქსტატი ანგარიშობს მედიანურ მოხმარებას (დაახლოებით 270 ლარი), შემდეგ იღებს მის 60% – ს (დაახლოებით 165 ლარი), რომლის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილიც წარმოადგენს ფარდობით სიღარიბეს, ხოლო მედიანური მოხმარების 40% – ს (დაახლოებით 108 ლარი), ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი ნიშნავს უკიდურეს სიღარიბეს. მედიანური მოხმარების 60 – ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილმა 2017 წელს 22.3% შეადგინა, ხოლო 40% – ს ქვეშ მყოფი მოსახლეობის წილმა – 8.5%.


სიღარიბის ერთ – ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს მიეკუთვნება ასევე ჯინის კოეფიციენტი (ინდექსი), რომელიც შემოსავლებს შორის უთანაბრობას ზომავს. ჯინის კოეფიციენტი 0 დან 1 მდე იზომება, მასში ციფრი 0 აღნიშნავს ყველაზე თანასწორს, 1 (ან 100) კი – უთანასწოროს. 2017 წელს ჯინის კოეფიციენტმა საქართველოში სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით შეადგინა 0.40, ხოლო 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 0.39 – ს შეადგენდა, რაც მიანიშნებს მოსახლეობაში არსებული უთანაბრობის უმნიშვნელო ზრდაზე.⁵¹

ქვეყანაში არსებული უთანაბრობა და სოციალური ფონი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს კომუნალურ გადასახდელებზეც. კავკასიის ბარომეტრი 2017 – ის მიხედვით, მოსახლეობის თითქმის 40% კომუნალური გადასახდელების გადასახდელად ფულს სესხულობს (8% – ყოველთვიურად, 6% – ყოველი მეორე თვე, 24% – ნაკლებად ხშირად).⁵²

⁵¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

⁵² CRRC - კავკასიის ბარომეტრი, 2017 <http://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/UTILDBT/>

სურ. 11 კომუნალური დანახარჯების გადასახდელად ფულის სესხების სიხშირე (%)




აღნიშნული ტენდენცია მეტნაკლებად ცვალებადია წლების მიხედვით.⁵³ 2015 წლამდე კავკასიის ბარომეტრი იკვლევდა ფინანსური შეზღუდვების გამო მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის დაზოგვის მაჩვენებელსაც, 2015 წელს მოსახლეობის 50% ამბობდა, რომ ისინი არ მოიხმარენ საჭირო რაოდენობის ელექტროენერჯის ზედმეტი გადასახდელების თავიდან ასარიდებლად.⁵⁴

სურ. 12 ზღუდავს თუ არა მოსახლეობა ელექტროენერჯის მოხმარებას

LIMELEC: ზღუდავს თუ არა შინამეურნეობა ელექტროენერჯის მოხმარებას? (%)

სიხშირეები დათვლილია 'არ მიესადაგება' პასუხის ვარიანტის გარეშე



⁵³ <http://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/UTILDBT/>


⁵⁴ <http://caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/LIMELEC/>

აღსანიშნავია, რომ ფულის სესხება არ ეხება მხოლოდ კომუნალურ გადასახდელებს, მაგალითისთვის, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება საკვებთან მიმართებით, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 50% – ს უწევს თანხის სესხება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პრობლემას არ წარმოადგენს მხოლოდ ენერგეტიკული გადასახდელები და ზოგადად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები და ხარჯები ერთმანეთს არ შეესაბამება, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგეტიკული სიღარიბე მხოლოდ ფულად მაჩვენებლებში არ გამოიხატება, რადგან მასზე გავლენა აქვს სუფთა ენერგიაზე ხელმისაწვდომობას, შენობების ენერგოეფექტურობას და ა.შ.⁵⁵

შენობების ენერგოეფექტურობა

ენერგიის მოხმარებაზე დიდ გავლენას ახდენს საცხოვრებელი შენობების ტიპი და მათი ენერგოეფექტურობა. საქსტატის მიხედვით, საქართველოში საცხოვრისების უდიდესი ნაწილი (76,7%) აშენებულია 1951 – 1990 წლებში. საქალაქო ტიპის დასახლებებში აღნიშნულ პერიოდში აშენდა მთლიანი საცხოვრისების 77,9%, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებში – 74,9%. მეორე ადგილს იკავებს 1950 წლამდე აშენებული საცხოვრისები, რომელთა წილიც დაახლოებით 12,0% – ის ფარგლებშია, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებაში. 2011 წლის შემდგომ აშენებული სახლები უმნიშვნელო წილით არის წარმოდგენილი და შეადგენს დაახლოებით 2,0% – ს.

სურ 13. საცხოვრისის მშენებლობის დასრულების წელი



შენობებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ენერგოეფექტურობის არარსებობა ან დაბალი დონეა. 1960 იანი წლებიდან ქვეყანაში დაიწყო 5 – სართულიანი მრავალბინიანი კორპუსების ე.წ. „ხრუშჩოვების“ ინტენსიური მშენებლობა. მათი საინჟინრო და სამშენებლო კრიტერიუმები იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკიდან გამომდინარეობდა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცხოვრების პირობების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. „ხრუშჩოვების“ სტანდარტული ბინები დაყოფილია „დროებითი“ ტიპის საცხოვრებლად, რომლის ექსპლუატაციის ვადა 25 წელს შეადგენს და „მუდმივი“ ტიპის ბინებად. „დროებითი“ ტიპის „ხრუშჩოვების“ უმრავლესობა 50 წლის წინ აშენდა. შენობის თითოეული ტიპი დაპროექტებული იყო სხვადასხვა სამშენებლო მასალითა და 7 – ბალიანი მიწისძვრის გამძლეობით. სახლები თავდაპირველად ჩვეულებრივი აგურით შენდებოდა, რომელიც შემდგომ დიდი სამშენებლო ბლოკებითა და პანელებით ჩაანაცვლეს. მოგვიანებით, იმავე პროექტით 8 – სართულიანი კორპუსების მშენებლობა დაიწყო. აღნიშნულ პერიოდში აგებული შენობების თერმული წინააღობა დაბალი იყო, რადგან კომფორტისა და სანიტარულ – ჰიგიენური კრიტერიუმები მინიმალური იყო. მათი სითბური წინააღობის კოეფიციენტი სავალდებულო სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც იმ პერიოდის სამშენებლო რეგლამენტის მიხედვით არ აღემატებოდა $R=0.575 \text{ m}^2 \cdot \text{C/W}$.^{56, 57}

⁵⁵ საქსტატი, შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარება, 2017

⁵⁶ $\text{m}^2 \cdot \text{C/W}$ არის თბური წინააღობის საზომი ერთეული. ეს სიდიდე დამოკიდებულია კლიმატურ ზონაზე.

⁵⁷ დაბალმისიანი განვითარების სტრატეგია საქართველოსთვის, აგვისტო 2017 (სამუშაო ვერსია)

კერძო სახლების დიდი ნაწილი, სადაც ერთი ან ორი ოჯახი ცხოვრობს, ასევე საბჭოთა პერიოდშია აგებული და უმეტესად მშენებლობის იმ დროს გავრცელებულ პრაქტიკას შეესაბამება. მათ ძირითადად აშენებდნენ აგურით ან ცემენტის ბლოკებით. კედლების სითბური წინაღობის კოეფიციენტი ძირითადად სავალდებულო კოეფიციენტის დონეზეა ($R=0.575 \text{ m}^2 \cdot \text{C/W}$), რაც შენობის გათბობისთვის აქაც ზედმეტი სითბოს მიწოდების საჭიროების მაჩვენებელია.⁵⁸ დღესდღეობით აღნიშნული ნორმები საქართველოში ისევ ძალაშია.⁵⁹

რაც შეეხება ახალ აშენებულ შენობებს, მშენებლობები მიმდინარეობს ქაოსურად, ამიტომ ძნელია ითქვას, არის თუ არა ისინი შესაბამისობაში ენერგოეფექტურობის მოთხოვნებთან.

საერთო ჯამში, ქვეყნის მასშტაბით, შენობები მოიხმარენ მთელი ენერჯის დაახლოებით 30% - ს (14 - 15 ტვტს). როგორც წესი, ძველ შენობებში გათბობის ენერჯიაზე მოთხოვნა ნაკლებია, ვიდრე ახალ აშენებულებში, ვინაიდან ისინი ნაკლებად თბებიან ან ნაწილობრივ გათბობის გარეშე არიან დარჩენილი. ახალი შენობების სპეციფიკური ენერგომომხმარება უფრო მაღალია გარე კედლების ცუდი თერმული თვისებების და შენობების გარსში ფანჯრების მაღალი წილის გამო. აღნიშნული სურათი განსხვავებულია ევროპულ ქვეყნებში, სადაც ახალი შენობების ენერგოეფექტურობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ძველი საცხოვრებელი ფონდის.⁶⁰

ტარიფები და ენერგეტიკული სუბსიდიები

საქართველოში

საქართველოში საყოფაცხოვრებო სექტორს ბუნებრივი გაზი და ნაწილობრივ ელექტროენერჯია, შეღავათიან ფასად მიეწოდება. ბუნებრივი გაზის მოწოდება დაყოფილია ე.წ. სოციალურ სეგმენტად (მოსახლეობა და თბოსადგურები) და კომერციულ სეგმენტად. კომერციული სექტორის მოთხოვნის უზრუნველყოფას ახდენს აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარი“ კომერციულ მომხმარებელთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში, ხოლო ე.წ. სოციალური სეგმენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება საქართველოს მთავრობასა და „სოკარს“ შორის გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულების ფარგლებში, რაც საყოფაცხოვრებო სექტორისათვის ბუნებრივი გაზის საბაზროზე დაბალ ფასად მიწოდებას გულისხმობს.

ე.წ. სოციალური გაზის ძირითად წყაროს წარმოადგენს შაჰ - დენიზის კონსორციუმთან გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულებები და შაჰ - დენიზის საბადოდან მომავალი დამატებითი და ოფციური გაზი.⁶¹ სამხრეთკავკასიური მილსადენით გაზის ტრანზიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული შაჰდენიზის საბადოდან მომავალი დამატებითი და ოფციური გაზი საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციას (GOGC) ეკუთვნის. 2009 წელს აზერბაიჯანულ ნავთობკომპანია „სოკართან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით GOGC ამ „სატრანზიტო“ გაზს მთლიანად გადასცემს შპს „სოკარ გაზ იმპორტ - ექსპორტ“ - ს, რომელიც „სოკარ ჯორჯია გაზის“ და მისი შვილობილი გამანაწილებელ / მიმწოდებელი კომპანიების მეშვეობით ან/და სხვა მიმწოდებელი კომპანიების გავლით ამ გაზს აწვდის ბუნებრივი გაზის ე.წ. „სოციალურ“ სეგმენტს - მოსახლეობას და თბოელექტროსადგურებს.

„სოციალური“ სეგმენტი გაზს საბაზროზე დაბალ ფასად იღებს. 2015 წლის მონაცემებით, სოციალური გაზის ფასი შეადგენს 120 აშშ დოლარს 1000 მ³ - ზე, ხოლო თბოსადგურებისთვის 143 აშშ დოლარს 1000 მ³-ზე. მაშინ როცა კომერციული სეგმენტისთვის გაზის ფასი არის საშუალოდ 260 აშშ დოლარის ფარგლებში 1000 მ³ - ზე.⁶²

თბოსადგურებისთვის მიწოდებული გაზი ელექტროენერჯის საწარმოებლად გამოიყენება, შესაბამისად, გაზის ფასს გავლენა აქვს ელექტროენერჯის ტარიფზეც.

ელექტროენერჯიაზე ტარიფი საფეხურების მიხედვით მერყეობს 14 დან 23 თეთრამდე, ხოლო ბუნებრივი გაზის ფასი არის თბილისში 46 თეთრი, ხოლო რეგიონებში 57 თეთრი.

⁵⁸ ევროპაში მინიმალური სავალდებულო მაჩვენებელი განსხვავდება კლიმატური პირობების მიხედვით. მაგალითად, ყველაზე დაბალი მოთხოვნაა ქალაქ სპლიტში (ხორვატია): კედლისათვის იგი შეადგენს 0.83 m²·C/W, ხოლო სახურავისათვის 1.33 m²·C/W. მოცემული მაჩვენებლები ასევე განსხვავებულია სახურავის გადახურვის მასალის ფერის მიხედვით.

⁵⁹ დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია საქართველოსთვის, აგვისტო 2017 (სამუშაო ვერსია)

⁶⁰ საბინაო სექტორის შეფასება საქართველოში, VTT 2016

⁶¹ „ოფციური“ გაზის - საქართველოს სატრანზიტო გადასახადის სახით, შეუძლია მიიღოს აზერბაიჯანიდან თურქეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5% ან აიღოს შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი თანხა გაზის ტრანზიტისათვის „დამატებითი გაზი“ - საქართველოს შეუძლია შაჰ დენიზის საერთაშორისო კონსორციუმიდან, სპეციალურ ფასად, 55 დოლარად (პროცენტული ნაზრდით) ყოველი გატარებული 1000 მ³ - სათვის, იყიდოს „დამატებითი“ გაზი არა უმეტეს 500 მ³-სა

⁶² <http://factcheck.ge/wp-content/uploads/2016/01/PDF1.pdf>

გარდა აღნიშნული ფაქტებისა, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. მაგალითად, 2015 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს შეღავათებს. კერძოდ 2017 წლის 1 იანვრიდან საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ. ელექტროენერჯის საფასურისა. 2017 წლის განმავლობაში, ზემოაღნიშნული კანონის ფარგლებში, შეღავათით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა საშუალოდ **61,000 აბონენტი** თვეში, ხოლო შეღავათით უზრუნველყოფისთვის გაწეულმა ხარჯმა – **6,627,788 ლარი**. 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული მიმართულებით იგეგმება სუბსიდიის გაცემა **12 მლნ ლარის ოდენობით**.

ზამთრის პერიოდში გაზი უფასოდ მიწოდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობა-საც. 2017 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო **6,7 მლნ ლარი**, ხოლო 2018 (პროგრამული კოდი: 24 11) წელს ამავე პროგრამის ფარგლებში ანალოგიური ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 8 მლნ ლარის ათვისება.

ასევე, 2016 – 2017 წლის ზამთრის პერიოდში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობის გათვალისწინებით უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში დახმარება გაეწია 11,894 ბენეფიციარს (თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით), რა მიზნითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი-იქნა **2,378,800 ლარი**. ამავე მიზნობრიობით 2017 – 2018 წლის ზამთრის პერიოდზე გამოყოფილია 2,435,600 ლარი, 12,178 ბენეფიციარის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული სუბსიდიების სქემები ერთი შეხედვით ზრდის მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ენერგეტიკულ რესურსებზე, თუმცა აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეებიც, მაგალითად, „სოციალური“ გაზის შემთხვევაში იაფი ენერჯით მსხვილი მომხმარებლები უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე სოციალურად ხელმოკლე მომხმარებლები, რადგან ისინი, მდიდრებთან შედარებით, ბევრად ნაკლებ ბუნებრივ აირს მოიხმარენ.

აღსანიშნავია სვანეთს (მესტია) მაგალითიც, სადაც ელექტროენერჯის ღირებულების გადაუხდელობა აუარესებს მომსახურების ხარისხს. ქსელის გაძლიერება ვერ ხერხდება, რადგან სადისტრიბუციო კომპანია ვერ იღებს თანხას, რისი გადახდის ვალდებულებაც მოსახლეობას აქვს. გაუმართავი ინფრასტრუქტურა და უხარისხო ენერჯის მიწოდება მნიშვნელოვანი პრობლემაა აფხაზეთშიც.

ზოგადად, სუბსიდიების სქემები იწვევს ენერჯის გაზრდილ, არაეფექტურ მოხმარებას.⁶³ საქართველოში არსებული ზოგიერთი სუბსიდიების სქემა არ არის დაკავშირებული არც ენერგეტიკულ სიღარიბესთან და არც მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებთან, ამიტომ დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ასევე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ **ფულადი სოციალური დახმარების პროგრამასა** (საარსებო შემწეობა) და **საყოფაცხოვრებო სუბსიდიასთან**.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია ლატაკი ოჯახების სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების-ათვის. აღნიშნული ოჯახების იდენტიფიცირება ხდება სპეციალური შეფასების სისტემით, რომლის მეთოდოლოგიაც დამტკიცებულია მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის № 758 დადგენილებით და მასში დეტალურად არის აღწერილი ოჯახებისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების წესი და პროცედურები.⁶⁴

სოციალურად დაუცველის სტატუსი ენიჭება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს სპეციალური სარეიტინგო ქულის მიხედვით. რეგისტრაციის მსურველი ან რეგისტრირებული ოჯახების კეთილდღეობის დონის შესაფასებლად გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი. ოჯახის კეთილდღეობის ინდექსი გამოითვლება იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით.

მეთოდოლოგიის მიხედვით, ოჯახის კეთილდღეობის ინდექსი არის ოჯახის სამომხმარებლო ინდექსის შეფარდება საჭიროების ინდექსთან. რაც უფრო ნაკლებია კეთილდღეობის ინდექსი, მით უფრო დაბალია შინამეურნეობის კეთილდღეობის დონე. ოჯახის სამომხმარებლო ინდექსი სპეციალური ფორმულის საშუალებით გამოითვლება, რომელიც ბევრ სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს, მათ შორის: შემოსავლების ინდექსი, დემოგრაფიული და ტერიტორიული ინდექსი, განათლების ინდექსი, ძირითადი საცხოვრებლის მდგომარეობის ინდექსი, კომუნალური ხარჯების ინდექსი და ა.შ. ასევე სპეციალური ფორმულით ითვლება ოჯახის საჭიროების ინდექსი.

დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ, ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის სარგებელზე (ფულადი სოციალური დახმარება, და სხვა).

⁶³ WEG, 2016

⁶⁴ http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/125.pdf

- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001 – ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001 – ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.⁶⁵

2017 წლის მონაცემებით, მონაცემთა ბაზაში სულ რეგისტრირებულია 325 590 ოჯახი, რომელთაგან საარსებო შემწეობის მიმღებია 131 500 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი მთლიანი მოსახლეობის 12% – ია.⁶⁶

აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა არ მოიცავს მხოლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებს და მოწყვლადი მომხმარებლებიც მასში ერთმნიშვნელოვნად განმარტებული არ არის. აღნიშნულ ბაზაში სამინისტრო ასევე არეგისტრირებს ოჯახებს, რომლებიც მაგალითად, შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის პროგრამის ბენეფიციარები არიან. ბაზაში დარეგისტრირებულია ნებისმიერი ოჯახი, რომელმაც განცხადებით მიმართა სამინისტროს და რომლის კეთილდღეობის ინდექსიც გამოთვლილია ზემოთ აღწერილი ფორმულის მიხედვით. სია ახდენს მოსახლეობის რანჟინგს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით და რამე სახის ბენეფიციტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებულია ოჯახისათვის მინიჭებულ ქულაზე. ამ მიდგომით, ფულადი შემწეობის გარდა, ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, შესაბამისი ქულების მიხედვით, სარგებლობენ სხვადასხვა დახმარებით. მაგალითად, შეიძლება არ ჰქონდეთ ფულადი დამხმარება, მაგრამ ჰქონდეთ გაუმჯობესებული საყოველთაო დაზღვევის პაკეტი, გარკვეული შეღავათები ბაღებსა და სკოლებში ბავშვების რეგისტრაციისთვის და ა.შ. სიას იყენებენ მუნიციპალიტეტებიც დამატებით რამე სახის ადგილობრივი დახმარების ან შეღავათის განსაზღვრისათვის.

შეღავათებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ასევე, რომ 2015 წლიდან, მას შემდეგ რაც ელექტროენერჯის ტარიფი გაიზარდა, ჯანდაცვის სამინისტრო ასუბსიდირებს 70 000 ქულაზე ნაკლები ოჯახების ელექტროენერჯის მოხმარებას. უფრო კონკრეტულად, ჯანდაცვის სამინისტრო, გაზრდილი ტარიფის საკომპენსაციოდ, ოჯახებს ურიცხავს 100 კვტ. სთ ელექტროენერჯის ღირებულებას. აღნიშნულ თანხა ირიცხება სადისტრიბუციო კომპანიის, ენერჯო პრო ჯორჯიას, ბალანსზე. ამ პროგრამის ფარგლებში 2017 წელს დახმარებით ყოველთვიურად სარგებლობდა საშუალოდ 64,600 ოჯახი, ხოლო გამოყოფილმა თანხამ შეადგინა **2,953,566 ლარი**. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება 2018 წელსაც.

იმავე პრინციპით, თბილისის მოსახლეობას ასუბსიდირებს თბილისის მერია. თბილისის მერიის პროგრამა – **კომუნალური სუბსიდირება** ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერჯის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადზე სუბსიდიის დარიცხვას ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში, თებერვალსა და მარტში. 2018 წლისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 – ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 106 ლარით, ხოლო სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000 – ზე და არ აღემატება 200 000 – ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 20 ლარით.⁶⁷ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილია სუბსიდირება 8 560,0 ათასი ლარით. (თბილისის ბიუჯეტი – კომუნალური სუბსიდირება კოდი 06 02 01)⁶⁸ აღნიშნული ქვე – პროგრამის ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში დაინახა **7,324,233 ლარი** და შემოდგომა – ზამთრის თვეებში (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი) სუბსიდიით სარგებლობდა თვეში დაახლოებით **47,000 ბენეფიციარი**, ხოლო 2018 წლის განმავლობაში აღნიშნული ქვე – პროგრამის ფარგლებში იგეგმება სუბსიდიის გაცემა **8,560,000 ლარის** ოდენობით.

სულ, 2017 წელს სხვადასხვა კატეგორიის 189,000 – ზე მეტმა აბონენტმა მიიღო 26 მლნ ლარის კომუნალური შეღავათი (სუბსიდია), ხოლო 2018 წელს ანალოგიური მიზნით გათვალისწინებულია სუბსიდიის გაცემა 33 მლნ ლარზე მეტი ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან ასევე იგეგმება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ელექტროენერჯის ვაუჩერით. დახმარება გაცემა 4 და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში. აღნიშნული პროგრამაც დაკავშირებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზასთან. დახმარებას მიიღებს მრავალშვილიანი ოჯახი,

⁶⁵ http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=35&lang_id=GEO

⁶⁶ http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1243

⁶⁷ <http://www.tbilisi.gov.ge/page/3216>

⁶⁸ <http://tbsakrebulo.gov.ge/uploads/biujeti/biujeti%202018.pdf>

რომელის სარეიტინგო ქულაც არის 300 000 ზე ნაკლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუბსიდია გაიცემა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თუმცა აღნიშნული კვლევა არ მოიცავს თბილისის გარდა სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გაცემულ კომუნალურ დახმარებებს.

სოციალური დახმარების კიდევ ერთი ფორმაა **საყოფაცხოვრებო სუბსიდია** რომელიც კანონის მიხედვით, განკუთვნილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო – კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის კატეგორიები მოიცავს სამხედრო ძალების ვეტერანებს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისათვის პენსიის მიმღებ ოჯახებს, 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს და ა.შ სულ 14 კატეგორიას. თანხის რაოდენობა თითოეული კატეგორიის მიხედვით განსხვავებულია. სულ სუბსიდიის მიმღები 26 000-ზე მეტი ადამიანი.⁶⁹ აღნიშნული სუბსიდია მოქალაქეებს მიეწოდებათ პენსიაზე დანამატის სახით, თუმცა ეს არ არის ზრდადი კატეგორია, ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრო მას ნაკლებად მნიშვნელოვნად განიხილავს.


ენერგეტიკული სიღარიბის გენდერული

ასპექტები საქართველოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგეტიკული სიღარიბე როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში უფრო მძიმედ ქალებზე აისახება. გავლენა განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ ქალებზე, რომლებიც ოჯახებში ბავშვების მოვლასა და საკვების მომზადებაზე არიან პასუხისმგებლები და ამისათვის შეშას ან ღია ცეცხლს იყენებენ და რომელთა ეკონომიკური აქტივობა და შემოსავალი კაცებისაზე დაბალია.

საქართველო სწორედ ამ ტიპის ქვეყანას მიეკუთვნება. ზოგადი სურათის დასანახად საინტერესოა, რომ გენდერული როლები ქალებსა და კაცებს შორის იმდაგვარად არის გადანაწილებული, რომ საოჯახო საქმეები, მოვლა და საკვების მომზადება ქალების ფუნქციაა. კვლევების მიხედვით, საჭმლის მომზადება, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა, ბავშვის მოვლა, სახლის დალაგება, სარეცხის გარეცხვა და ა.შ. ქალის მოვალეობას წარმოადგენს.⁷⁰

სურ. 14 საოჯახო საქმეების სქესის ნიშნით განაწილება⁷¹



⁶⁹ http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1241

⁷⁰ UNDP – საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, 2013

⁷¹ ი. კაჭკაჭიშვილი, ხ. ნადარაია „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ თბილისი 2014


როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან გამოჩნდა, საქართველოში ოჯახების თითქმის ნახევარი იყენებს შეშას გათბობისა თუ საჭმლის მომზადებისათვის. ამასთან, საოჯახო საქმეები (საჭმლის მომზადება) ძირითადად ქალების ფუნქციაა. შესაბამისად, შეშის არაჯანსაღი მოხმარება ქალებზე უფრო მეტად აისახება, ვიდრე კაცებზე, რადგან ქალებს ღია ცეცხლთან ან არაფექტურ ღუმელებთან უფრო ხშირი კონტაქტი აქვთ და შვილებისა თუ მოხუცების მოვლის გამო სახლში უფრო დიდ დროს ატარებენ, ვიდრე კაცები. მსოფლიო ბანკის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში შეშის მოხმარების გამო შიდა ჰაერის დაბინძურება 30 – ვერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ დონეს.⁷² შიდა ჰაერის დაბინძურება კი მიიჩნევა ისეთი დაავადებების გამომწვევად, როგორებიცაა გულსისხლძარღვთა დაავადებები, ასთმა, თვალის დაავადებები (განსაკუთრებით კატარაქტა) ახალშობილის დაბალი წონა და პერინატალური სიკვდილიანობა, ანემია და ა.შ. (World Bank, 2012).

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სქესის მიხედვით დიფერენცირებული დეტალური სტატისტიკა დაავადებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ამიტომ ძნელია პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა ენერგეტიკულ სიღარიბესა და ქალებში გავრცელებულ დაავადებებს შორის, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაჯანსაღი საწვავის გამოყენების ეფექტი და ამით გამოწვეული ტვირთი ქალებზე უფრო აისახება, ვიდრე კაცებზე.

ენერგეტიკული სიღარიბის ფინანსურ ასპექტებზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას, აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოში ქალების ანაზღაურება კაცებისაზე ნაკლებია. 2016 წლის მონაცემებით, ქალების საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 731.2 ლარი შეადგინა, ხოლო კაცების ხელფასი 1116.6 ლარს უტოლდება.⁷³ თუკი გავითვალისწინებთ, რომ დაბალი შემოსავლები ენერგეტიკული სიღარიბის ერთერთი ძირითადი ფაქტორია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაკლები შემოსავლის გამო ქალები უფრო მეტად არიან მოწყვლადი ამ ასპექტისადმი. მართალია არ არსებობს სტატისტიკა კონკრეტულად ენერგეტიკული სიღარიბის კუთხით, თუმცა ზოგადად სიღარიბეს რაც შეეხება, ქალები უფრო მეტად არიან ღარიბები საქართველოში, ვიდრე კაცები. როგორც ქვემოც მოცემულ გრაფიკზე ჩანს, საარსებო შემწეობის მიმღებები ქალები უფრო ხშირად არიან ვიდრე – კაცები.

სურ. 15 საარსებო შემწეობის მიმღებების განაწილება სქესის მიხედვით


საარსებო შემწეობის მიმღები, ათასი



გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, კაცებთან შედარებით, დაბალია. რაც ქმნის წინაპირობას, რომ ქალთა პრობლემები ნაკლებად იყოს ასახული და გათვალისწინებული ცალკეული საკითხების ანალიზისას. UNDP – ის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობას სჯერა, რომ პოლიტიკა კაცის საქმე უფროა, ხოლო ქალებს ამ სფეროში მხოლოდ შეზღუდული როლი უნდა ჰქონდეთ.⁷⁴ 2016 წლის მონაცემებით, 2010 წელთან შედარებით ქალი დეპუტატების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად, 9 – დან 24 – მდე გაიზარდა, ხოლო დეპუტატ კაცთა რიცხოვნობა შემცირდა

⁷² World Bank – Georgia country environmental analysis, 2015
⁷³ UNDP – ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში, 2017
⁷⁴ UNDP, 2013

სურ. 16 საარსებო შემწეობის მიმღებების განაწილება სქესის მიხედვით



ენერგეტიკული საკითხების უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის, აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკის არსებობა, ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკული სიღარიბის კვლევისას მონაცემების შეგროვება მოხდეს ქალებისა და კაცებისათვის ცალ – ცალკე და დეტალიზებულად, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

რეფორმა ენერგეტიკის სექტორში

ევროკავშირის კანონმდებლობა, რომლის დანერგვაც ევალემა საქართველოს, ასოცირების ხელშეკრულების და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში, ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას დაეხმაროს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და იზრუნოს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებაზე. დირექტივის მიხედვით, ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესში, სახელმწიფომ შესაძლოა შეიმუშაოს სოციალური დაცვის მექანიზმები გარკვეული მომხმარებლებისათვის⁷⁶ (მოწყვლადი მომხმარებლების⁷⁷ ჩათვლით). ამავდროულად, სოციალური დაცვის მექანიზმები უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და მაქსიმალურად გამჭვირვალე, რათა ხელი არ შეუშალოს ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესს.

2018 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დახმარებით შეიმუშავა კანონპროექტი ენერგეტიკის შესახებ, რომელიც უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ენერგეტიკულ სექტორში ყველა შესაბამისი მხარის უფლებებისა და ინტერესების, მათ შორის მოწყვლადი მომხმარებლების დაცვას; „**მოწყვლადი მომხმარებელი**“ გულისხმობს მომხმარებელს, რომელიც მისი სოციალური სტატუსის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საქართველოს კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მიერ ცნობილია მოწყვლად მომხმარებლად შესაბამისი სამართლებრივი აქტების თანახმად და რომელსაც კანონის დებულებების შესაბამისად განსაკუთრებული პირობებით მიენიჭა სისტემით სარგებლობის და/ან ელექტროენერჯით ან ბუნებრივი გაზით მომარაგების უფლება;

მოწყვლადი მომხმარებლის საკითხი უნდა განსაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად. სტატუსის განსაზღვრასთან ერთად, სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოციალურად მოწყვლადი მომხმარებლების მოპყრობის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მოწყვლადი მომხმარებლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას ბუნებრივ გამზა და ელექტროენერჯიანად.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ პროგრამით მოსარგებლე მოწყვლადი მომხმარებლების განმარტება უნდა შეიზ-

⁷⁵ საქსტატი, ქალი და კაცი საქართველოში

⁷⁶ მუხლი 3, დირექტივა 2009/72/EC და 2009/73/EC

⁷⁷ მოწყვლადი მომხმარებლები დაკავშირებულია იმ მომხმარებლებთან, რომლებიც საჭიროებენ სოციალური დაცვის მექანიზმებს სახელმწიფოსგან, დირექტივა 2009/72/EC (პარაგრაფი (53)) და დირექტივა (2009/73/EC, პარაგრაფი (50))

ლუდოს ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლებით, რომლებიც იყენებენ ელექტროენერგიას და/ან ბუნებრივ გაზს საკუთარი მუდმივი საცხოვრებლისათვის მისაწოდებლად; ამასთან, უნდა არსებობდეს მითითება ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარების მაქსიმალური ღონის შესახებ, სემონურობის გათვალისწინებით;

დეტალური მიდგომა მოწყვლადი მომხმარებლების სტატუსთან და მათ დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით უნდა განსაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან კოორდინაციით.⁷⁸

კანონპროექტი ასევე ამბობს, რომ საჭიროა „ეროვნული ენერგეტიკული გეგმების ფორმულირება მოწყვლადი მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიისა და გაზის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად ან ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაში დახმარება **ენერგეტიკული სიღარიბის შესამცირებლად** სადაც ეს იდენტიფიცირებული იქნება“. ენერგეტიკული სიღარიბის იდენტიფიცირება და კვლევა რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებას მოითხოვს. ზემოთ მოყვანილ ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, საინტერესოა ჩვენ მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზი, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის გამოკვეთის შესაძლებლობას ძლევს.

ენერგეტიკული სიღარიბის შეფასების

ლოგიკური ჩარჩო საქართველოსთვის

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

კვლევის დიზაინი და მიზანი

WEG – ის მიერ დაგეგმილი კვლევის დიზაინისა და ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში ძირითადი უპირატესობა ენერგიის მოხმარების და ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საჭიროებების და ნიუანსების გამოვლენას მიენიჭა. ენერგეტიკული სიღარიბის პოლიტიკის განსაზღვრის რეკომენდაციების შემუშავებისთვის, მართებულად მივიჩნიეთ საზოგადოების იმ ჯგუფებთან შეხვედრა, რომელიც სოციალ – ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, შეზღუდვები არიან ენერგეტიკული საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მიზანი იყო ენერგიის ტექნიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობისა და ენერგეტიკული საჭიროებების კვლევა სოციალურად დაუცველი (მოწყვლადი) მომხმარებლებისა და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის. ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ენერგეტიკული სიღარიბე და მისი ეფექტები განსაკუთრებული სიმწვავეით სწორედ ამ ჯგუფში ვლინდება.

მართალია, ჩვენს შემთხვევაში, კვლევა არ არის წარმომადგენლობითი და არ შეიძლება მისი შედეგების განზოგადება მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა არსებული ფაქტობრივი მონაცემების აღწერისა და ანალიზის ფონზე, ასევე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მიგვეღო უფრო დეტალური ინფორმაცია ენერგეტიკულ სიღარიბეზე მოქმედი ფაქტორების და მათი სავარაუდო გავლენების შესახებ და ეს ემპირიული მონაცემები გაგვეთვალისწინებინა საბოლოო რეკომენდაციების შემუშავებაში

კვლევის ზოგადი მიზანი შეიძლება ჩაიშალოს შემდეგ ქვე – მიზნებად:

- ზოგადი ენერგეტიკული ცნობიერების კვლევა
- ენერგიის მოხმარების თავისებურებების კვლევა
- ცნობიერების ღონის დადგენა ენერგოეფექტურობასა და ენერგიის დაზოგვასთან დაკავშირებით
- მოწყვლადი მომხმარებლებისათვის, არსებული დახმარების სქემების ეფექტურობის შეფასება და მეტად ხელსაყრელი სქემის შესახებ რეკომენდაციის შეთავაზება
- საქართველოსთვის ენერგეტიკული სიღარიბის განმარტების კრიტერიუმის შემუშავება.

⁷⁸ საქართველოს კანონი ენერგეტიკის შესახებ, პროექტი, 2018

ფოკუს ჯგუფის ტექნიკური დახასიათება

კვლევის ფარგლებში დაგეგმილი 2 ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ზოგადი სტანდარტების და ნორმების დაცვით. შერჩეული კითხვების ერთობლიობა და შინაარსობრივი მხარე ორივე ჯგუფში მსგავსი მეთოდით იქნა გამოყენებული, თუმცა რესპონდენტთა სპეციფიკიდან გამომდინარე, კითხვარები ოდნავ განსხვავდებოდა.

მოდერატორმა ორივე ჯგუფის მონაწილეებს გააცნო შეხვედრის მიზანი, განუმარტა მათი შეხედულებებისა და შეფასებების გამოყენების მეთოდი, მნიშვნელობა და კონფიდენციალურობის დაცვის გარანტია. ჯგუფის ყველა წევრი დათანხმდა შეხვედრის აუდიო – ვიდეო ჩაწერას.

პირველი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ქ. თბილისში 2018 წლის 27 ივლისს, მასში მონაწილეობა მიიღო სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე 12 – მა რესპონდენტმა (2 კაცი, 10 ქალი). შეხვედრა ჩატარდა თბილისში ორგანიზაცია „მსოფლიო გამოსვლილება საქართველოსთვის“ ოფისში. ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა – 2:30 სთ.

მეორე ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ქ. თელავში, 2018 წლის 13 სექტემბერს, მონაწილეობა მიიღო საშუალო შემოსავლის მქონე 11 – მა რესპონდენტმა (5 კაცი, 6 ქალი). რესპონდენტთა უმრავლესობა იყო ქ. თელავის მოსახლე, ხოლო 4 მონაწილე თელავის რაიონის ახლომდებარე დასახლებას წარმოადგენდა. შეხვედრა ჩატარდა ქ. თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. შეხვედრის ხანგრძლივობა 1:45 სთ.

შერჩევა

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შერჩევა, ორივე შემთხვევაში, განხორციელდა ე.წ. თოვლის გუნდის მეთოდით. რესპონდენტთა შერჩევის ეს მეთოდი ორივე შემთხვევაში გამართლებული იყო, რადგან კვლევის ფარგლებში გვინტერესებდა ერთი და იმავე სტატუსის მქონე და ამავედროულად განსხვავებული დემოგრაფიული მაჩვენებლების მქონე ადამიანების შეფასებები, დამოკიდებულებები და მათ მიერ გაკეთებული არჩევანი მოცემულ გარემოში.

ვინაიდან პირველ ფოკუს ჯგუფში, მონაწილეები იყვნენ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები, პირველადი შერჩევა მოხდა პარტნიორი ორგანიზაციის დახმარებით, რომელმაც გადმოგვცა ბენეფიციარების სია. პირველადი შერჩევის შედეგად დაკავშირება მოხდა რამდენიმე პირთან, ხოლო მათი მეშვეობით – ჯგუფის სხვა წევრებთან. შერჩეული მონაწილეების უმრავლესობა (95%) პირველად იღებდა მონაწილეობას ფოკუს ჯგუფში.

მეორე ჯგუფის რესპონდენტთა შერჩევა ჩვენს მიერ წინასწარი შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განახორციელა პარტნიორ ორგანიზაციის ადგილობრივმა კოორდინატორმა თელავის მუნიციპალიტეტში.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დათანხმება ფოკუს ჯგუფში მონაწილეობაზე მარტივი აღმოჩნდა როგორც თბილისში, ასევე – რეგიონში. თბილისის ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა დასწრების მაჩვენებელი მაღალი იყო, თუმცა მონაწილეობაზე დაგვთანხმდა მეტი ქალი ვიდრე კაცი, შესაბამისად, რთული იყო გენდერული ბალანსის დაცვა. რაც შეეხება რეგიონის ფოკუს – ჯგუფს, გენდერული ბალანსის დაცვა შედარებით მარტივი აღმოჩნდა.

რესპონდენტთა ზოგადი დახასიათება ორივე ჯგუფისთვის

ფოკუს ჯგუფი 1 – ქ. თბილისი

პირველი ფოკუს ჯგუფი, რომელიც ქ. თბილისში ჩატარდა შედგებოდა მოწყვლადი მომხმარებლებისგან – მოწყვლადი ამ შემთხვევაში გულისხმობს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წარმომადგენლებს, რომლებიც არიან ქ. თბილისის მერიის კომუნალური სუბსიდიის ბენეფიციარები – კომუნალური ვაუჩერების მიმღებები. 2018 წლისთვის, კომუნალური ვაუჩერების მიმღებები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 – ს.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 30 დან 70 წლამდე 12 – მა რესპონდენტმა. მონაწილეებიდან 2 იყო პენსიონერი, 4 მრავალშვილიანი, მათი უმრავლესობა ფოკუს ჯგუფის ჩატარების დროისათვის იყო უმუშევარი. რესპონდენტთა უმრავლესობა (12/8) იყო დაოჯახებული, მათგან 5 მრავალშვილიანი ან ოჯახის წევრთა რაოდენობა აღემატებოდა 5 – ს.

ფოკუს ჯგუფი 2 – ქ. თელავი

მეორე ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ქალაქ თელავში და მასში მონაწილეობა მიიღო თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 11 – მა რესპონდენტმა. მონაწილეთაგან 6 იყო ქალი, ხოლო 5 კაცი, 1 სტუდენტი, 1 პენსიონერი, დანარჩენი კი

30 – დან 60 წლამდე ასაკის დასაქმებული ადამიანი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა იყო დაოჯახებული. ოჯახების უმეტესობაში ოჯახის წევრთა რაოდენობა მერყეობდა 4 – დან 6 – მდე, ერთ შემთხვევაში კი ოჯახის წევრების რაოდენობა აღემატებოდა 7 – ს. მონაწილეთაგან 5 შემთხვევაში ოჯახის შემოსავალი იყო 300 დან 500 ლარამდე დანარჩენ შემთხვევაში კი უფრო მაღალი. მონაწილეთაგან მხოლოდ ერთისთვის აღემატებოდა თვიური შემოსავალი 1500 ლარს.

კითხვარი

ფოკუს ჯგუფის ინსტრუმენტად მოდერატორი შედგენილ კითხვარს იყენებდა, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებით ზოგად და კონკრეტულ შეკითხვებს მოიცავდა. კითხვების მეშვეობით საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო სამიზნე ჯგუფის ენერგეტიკული ცნობიერების, ზოგადი წარმოდგენების, მათი გამოცდილებების და ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა. ეს ეტაპი მონაწილეებს როგორც საერთო ენის პოვნაში ასევე მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფაში დაეხმარა. კითხვარის შემდგომი ბლოკების მიზანი კი გამოკვეთილ სირთულეებზე ჩაღრმავება, რესპონდენტების ეკონომიკურ მდგომარეობას, ყოველდღიურ პრაქტიკებს და ენერჯო მოხმარებას შორის კავშირების პოვნა იყო: შედგენილი კითხვარი ორივე ფოკუს ჯგუფისთვის გამოიყენებოდა, თუმცა, განსხვავდებოდა ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მონაწილეები 5 თემატური ბლოკის გარშემო პასუხობდნენ შეკითხვებს:

1. ზოგადი განმარტებები და დამოკიდებულებები

ამოცანა – დადგინდეს, რამდენად მაღალია მონაწილეების ცნობიერების დონე ენერჯის, მისი მოხმარებას და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური თუ ტექნიკურ საკითხების მიმართ? რამდენად შეუძლიათ მონაწილეებს რაციონალური მსჯელობა ამ საკითხებთან მიმართებით. ამ ბლოკში კითხვები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, თუ ზოგადად, რა არის ენერჯია, რა ტიპის ენერჯის სახეობები და წყაროები არსებობს, რისთვის გამოიყენება, რა ერთეულებში იზომება და ა.შ.

2. სიღარიბე და მისი ასახვა ენერჯის მოხმარებაზე

ამოცანა – დადგინდეს კავშირი ენერგეტიკულ სიღარიბესა და ზოგად სიღარიბეს შორის, როგორ ასხვავებენ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამ ორ საკითხს და ასხვავებენ თუ არა საერთოდ? ენერგეტიკული გადასახდელების გადახდა უფრო უჭირთ თუ სხვა ხარჯები, არის თუ არა გამოკვეთილი განსხვავება ამ კუთხით? ამ ბლოკში დასმული შეკითხვები ეხებოდა ხარჯების გადანაწილებას კვებას, თავის მოვლას, ტრანსპორტს, განათლებას და სხვა საჭიროებებს შორის. ამ ბლოკში მონაწილეებს ასევე ვეკითხებოდით, შემოსავლის მცირედით გაზრდის (მაგალითად 100 ლარით) ან შემცირების შემთხვევაში, რა ხარჯებს გაზრდიდნენ ან შეამცირებდნენ.

3. ენერჯომოხმარება

ამოცანა – დეტალური ინფორმაციის მიღება ენერგეტიკულ მოხმარებასთან დაკავშირებით ენერჯის სხვადასხვა წყაროს მიხედვით. ენერჯის მოხმარებელი დანადგარებისა თავისებურებების ცოდნა და ცნობიერების დონე ამ მიმართულებით. აღნიშნულ ეტაპზე კითხვები შეეხებოდა ენერჯის რა წყაროს მოიხმარენ და რა რაოდენობით, რამდენს იხდიან ზამთარში ან ზაფხულში ენერჯოსერვისებისთვის, რითი ათბობენ ან აგრილებენ სახლს, გათიშვით თუ არა ელექტროენერჯია ან გაზი გადაუხდელობის გამო, რამდენად ეხმარებათ ელექტროენერჯის საფეხურებიანი ტარიფი და ა.შ.

4. ენერჯოეფექტურობა და ენერჯოდაზოგვა

ამოცანა – დადგინდეს ენერჯის დაზოგვის რა ღონისძიებებს მიმართავს მოსახლეობა და როგორია ცნობიერების დონე ენერჯოეფექტურობასთან და ენერჯის დაზოგვასთან დაკავშირებით. ამ ბლოკში დასმული კითხვების მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რა ტიპის ნათურები აქვთ, როგორ ზოგავენ ენერჯიას გათბობაში, განათებაში, საჭმლის მომზადებაში, უზრუნიათ თუ არა სახლის დათბუნებაზე და რა მეთოდებით, აქვთ თუ არა ინფორმაცია ენერჯოეფექტურობის ღონისძიებების შესახებ და გრძნობენ თუ არა მეტი ინფორმაციის საჭიროებას ამ მიმართულებით.

5. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება

ამოცანა – მოწყვლადი მომხმარებლების შემთხვევაში, გამოიკვეთოს არსებული დახმარების სქემების ეფექტურობა და გამოიკვეთოს ხარვეზები, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის კი დადგინდეს მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. დასკვნით ეტაპზე მონაწილეებს ვთავაზობდით წინასწარ შემუშავებულ ალტერნატივებს და ვეკითხებოდით მათ საგარეო გავლენას, მაგალითად, მოწყვლადი მომხმარებლების შემთხვევაში კითხვა იყო, თუ რამდენად მისაღები იქნებოდა მათთვის ვაუჩერების სისტემის მოდიფიკაცია, დახმარების სხვა პროგრამების შეთავაზების ეფექტი როგორი იქნებოდა (ნათურების შეცვლა ეფექტური ნათურებით, სახლის დათბუნება და ა.შ.) რეგიონში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში ასევე ვკითხეთ, ურჩევნიათ თუ არა ზაფხულის და ზამთრის განსხვავებული მომხმარების გამო გადასახდელი თანხა გადანაწილდეს მთელ წელზე, გამოიყენებდნენ თუ არა დაბალპროცენტიან სესხს სახლის დასათბუნებლად და ა.შ.

შედეგების ანალიზი

ზოგადი განმარტებები და დამოკიდებულებები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა იცინან, რა არის ენერჯია, რისთვის გამოიყენება და რა დანიშნულება აქვს. ენერჯია მათთვის ასოცირდება მოქმედებასთან, ძალასთან, აუცილებელ საჭიროებასთან, რომლის გარეშე ცხოვრებაც თანამედროვე სამყაროში წარმოდგენილია. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ენერჯია აუცილებელია როგორც ელემენტარული პირობების დასაკმაყოფილებლად (გათბობა, სახლის განათება, საკვების მომზადება) ასევე დამატებითი საჭიროებებისთვის (საყოფაცხოვრებო ტექნიკა, განათლების მიღების წყაროებთან წვდომა, ინფორმაციასთან წვდომა) და სოციალური ინტეგრაციის განხორციელებისთვის (ინტერნეტი, კომპიუტერები, ტელევიზორი). „ენერჯიის მოხმარება ასოცირდება: კომუნიკაციასთან, სიმყუდროვესა და სისუფთავესთან“ ამბობს ერთ – ერთი წევრი.

მონაწილეები ერკვევიან ენერჯიის სხვადასხვა წყაროს არსებობაში და მიუთითებენ, რომ არსებობს მზის, ქარის, წყლის, ბიომასის, გეოთერმული ენერჯია. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთაგან უმრავლესობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ენერჯიის განახლებადი წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებით, მიაჩნიათ, რომ, მაგალითად, მზის ენერჯიის გამოყენება ხელმისაწვდომია მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებსა და მდიდარ ოჯახებში. ერთერთი მონაწილის მიხედვით, კი „ყველაზე სუფთა, ჯანმრთელი, ჯანსაღი არის შეშა“. ამის საპირისპიროდ, თელავის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები კარგად არიან ინფორმირებულები განახლებადი ენერჯიის ზოგიერთი სახეობის შესახებ და გამოხატავენ ინტერესს სამომავლოდ უფრო ხშირად გადავიდნენ მის გამოყენებაზე. მიაჩნიათ, რომ სწორი ინვესტიციის შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში ეს შესაძლებელია.

მონაწილეთა უმრავლესობამ იცის, რა ერთეულებში იზომება ენერჯია და ინფორმირებულები რამდენია ელექტროენერჯიისა და გაზის ტარიფი საქართველოში. კარგად ერკვევიან ელექტროენერჯიის საფეხურებრივ ტარიფსა და მის მახასიათებლებში.

ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა და მისი გავლენა ენერჯიის მოხმარებაზე

ზოგადი ცოდნისა და შეხედულებების დადგენის შემდეგ, ჩვენი მიზანი იყო გავვერკვია, როგორია ხარჯების გადანაწილება ოჯახში და შემოსავლის რა ნაწილი იხარჯება კომუნალურ გადასახდელებზე. როგორც მოწყვლადი მომხმარებლების, ისე რეგიონში მცხოვრები რესპონდენტებისთვის, კომუნალური გადასახდელები მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველაზე პრობლემური საკითხი არ არის. მოწყვლადი მომხმარებლები უპირველესად ყურადღებას ამახვილებენ საკვებზე, მედიკამენტებსა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობაზე და ამის შემდეგ ელექტროენერჯიისა და გაზის საფასურზე. ერთერთი მონაწილის მიხედვით, „ელექტროენერჯია საჭიროა და გაზიც საჭიროა, მაგრამ ადამიანმა შეიძლება გაძლოს ამის გარეშე, მაგრამ ჯანმრთელობას ვერ უშველი, დენსაც მოიკლებ და გაზსაც.“ სხვა მონაწილისთვის კი ელექტროენერჯია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მას იყენებს როგორც საჭმლის მომზადებისთვის ისე, სხვა საჭიროებებისთვის და, შესაბამისად, ვერ მოიკლებს. თუმცა, მონაწილეთა უმრავლესებისთვის, ყველაზე დიდი ტვირთი მაინც საკვებზე და მედიკამენტებზე მოდის. მათთვის აქტუალურია ტრანსპორტის საკითხიც, როგორც ერთერთი რესპონდენტი ამბობს „4 – 5 წელია ალბათ მარშუტკით არ მიმგზავრია, ჩვენ გვაქვს სოციალური ბარათი 10 თეთრიანი, ჩემს თავს ვერ ვაძლევ უფლებას ჩავჯდე „მარშუტკაში“, განახევრებული ფასია ჩვენთვის მაგრამ მაინც, 80 თეთრზე აღარ არის ლაპარაკი. განახევრებული რაცაა იმასაც ვერ ვიხდი, ვმგზავრობ მეტროთი, ან ავტობუსით“.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხშირად გათიშვით ელექტროენერჯია გადაუხდელობის გამო. ერთერთ მრავალშვილიან რესპონდენტს ფოკუს ჯგუფის ჩატარების პერიოდისთვისაც გათიშული ჰქონდა ელექტროენერჯია.

რაც შეეხება თელავის ფოკუს ჯგუფს, რესპონდენტთა უმრავლესობა საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას

ახასიათებს როგორც „საშუალო შემოსავლის“ მქონეს. აღნიშნავენ, რომ ზოგადად, რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს უფრო დაბალი ხელფასები აქვთ, ვიდრე ქალაქში მცხოვრებლებს, თუმცა საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას აფასებენ, როგორც დამაკმაყოფილებელს. რესპონდენტთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება, ნაწილობრივ, მათ სახლებში არსებული ტექნიკის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და მათი რაოდენობის გამოკვეთით არის შესაძლებელი. მონაწილეთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ სახლში აქვთ 1 – ზე მეტი კომპიუტერი, კონდიციონერი და ტელევიზორი, ყველა მონაწილეს აქვს მაცივარი, სარეცხი მანქანა და სხვა ყოველდღიური საჭიროების ნივთები.

რეგიონში მცხოვრები რესპონდენტების შემოსავლის განაწილება განსხვავდება სოციალურად დაუცველთა ჯგუფისგან: თუ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირების შემოსავალი სრულად ხმარდება კვებას, სამედიცინო მომსახურებას, ოჯახის წევრთა განათლებას და ენერგეტიკულ გადასახდელებს, თელავის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა ზაფხულში ოჯახის შემოსავლის მხოლოდ 5 – 10% – ს ხარჯავს კომუნალურ გადასახადებში, ეს მაჩვენებელი, ზოგ შემთხვევაში, 20% – მდე იზრდება ზამთარში. განსხვავებით პირველი ჯგუფისგან, თელავში მცხოვრები რესპონდენტები აღნიშნავენ რომ კვების, სამედიცინო მომსახურების და განათლების გარდა, ხარჯები აქვთ ისეთი საჭიროებების დაფარვაში, როგორც არის ინტერნეტი, ტექნიკის განახლება და ახლის შეძენა, ავტომანქანის შეკეთება და სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა და ა.შ.

კითხვაზე, თუ მცირედით გაეზრდებოდათ შემოსავალი, რაში გამოიყენებდნენ, სოციალურად დაუცველი რესპონდენტებიდან არც ერთს არ დაუსახელებია ენერგეტიკული სერვისები. რაც მიუთითებს, რომ ენერგეტიკული საჭიროებების დაკმაყოფილება მათთვის ყველაზე პრიორიტეტული არ არის, რადგან სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებებიც აქვთ. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს ზამთრის პერიოდში, თბილისის მერიის მიერ მათთვის გამოყოფილი ელექტროენერჯის ვაუჩერიც, რომელიც 5 თვის მანძილზე ელექტროენერჯის თანხის ოჯახების უმეტესობისთვის სრულად ფარავს (ვაუჩერის მოცულობა არის 106 ლარი თვეში).

რაც შეეხება თელავის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს, ძირითადად შემადგენლობამ თანხას პირადი ხარჯებისთვის და ბანკის გადასახადებში გამოიყენება დაასახელა, თუმცა – ჯგუფის ნაწილმა გამოხატა სურვილი და მზაობა, შემოსავლის ოდნავი გაზრდის შემთხვევაში, თანხა ენერჯის დაზოგვაზე გამოიყენოს და განახორცილოს ამ კუთხით ინვესტიცია, მაგალითისთვის შეიძინოს მზის წყლის გამაცხელებელი.

რეგიონში მცხოვრები რესპონდენტებიც მიუთითებენ, რომ კომუნალური გადასახდელები არ არის მათი ხარჯების დიდი ნაწილი. მხოლოდ უმცირესობამ აღნიშნა, რომ დასჭირვებით თანხის სესხება ენერგეტიკული გადასახდელების გადასახდელად, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში კი, გადაუხდელობის გამო, გათიშვით ელექტროენერჯია ან ბუნებრივი გაზი, გათიშვის პერიოდი კი არ ყოფილა არც ერთ შემთხვევაში ერთ კვირაზე მეტი.

შემოსავლის შემცირების შემთხვევაში, ორივე ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ ხარჯების გადანაწილება რადიკალურად არ შეიცვლებოდა, დაზოგვის მიზნით შეამცირებდნენ პირად ხარჯებს და ვერ მოაკლებდნენ კომუნალურ გადასახადებს.

ენერჯის მოხმარება და მასთან დაკავშირებული თავისებურებები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ენერჯია ძირითადად გამოიყენება გათბობის, განათების, საჭმლის მომზადებისა და ცხელი წყლისთვის. რესპონდენტების უმეტესობა გათბობისთვის იყენებს გაზს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი წილი თბება ელექტროენერჯით და შეშით. თბილისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისთვის, ელექტროენერჯის მოხმარება ზამთარსა და ზაფხულში თითქმის თანაბრად ხდება. ზამთარში გათბობისათვის უმეტესად გაზი გამოიყენება, თუმცა იმ ოჯახებსაც, ვისაც ბუნებრივი აირი არ აქვთ, უწევთ ელექტრო გამათბობლებით გათბვნენ. მათი თქმით, ზამთარში თუ 100 ლარს მოიხმარენ, ზაფხულში ცდილობენ 50 ლარს არ გადააჭარბონ. თუმცა, როგორც ერთერთი მონაწილე აღნიშნავს, „მე პირადად ზაფხულში ელექტროენერჯის უფრო მეტი ხარჯი მაქვს ვიდრე ზამთარში. ზამთარში გაზის გამათბობელს ვიყენებთ, ძალიან თბილი ოთხებია, 30 ლარი შეიძლება არ გადავიხადო. ზაფხულში კი დენზე ვარ დამოკიდებული, დენის წყლის გამათბობელი მაქვს, 5 ბავში მყავს, წინა თვეში 90 ლარი გადავიხადე მაგალითად და ეს იყო ჩემთვის კატასტროფა“. სხვა მონაწილეები ელექტროენერჯიას ზამთარსა და ზაფხულში თანაბრად მოიხმარენ, ხოლო ბუნებრივი აირის მოხმარება ზამთარში მნიშვნელოვნად იზრდება.

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საცხოვრებელ ფართს სრულად ათბობენ, რადგან უმეტესად ერთოთახიან ბინებში ცხოვრობენ. გათბობის გარდა ელექტროენერჯიას იყენებენ განათებისა და ტექნიკისთვის. მათ უმრავლესობას სახლში აქვს ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა და კომპიუტერი (ბავშებისათვის სკოლებში გადაცემული ნეტბუქები).

მონაწილეთა უმეტესობას აქვს 10 წელზე ადრე შეძენილი ტელევიზორი, ხოლო განათებისათვის იყენებენ ვარვარა ნათურებს. მათ უმეტესობას სმენია თანამედროვე, ეკონომიური ნათურების შესახებ, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყენებს მას. ზოგი რესპონდენტის თქმით ასეთი ნათურა „არის სხვანაირი გამოსხივებით და ამბობენ, რომ აჩენს სიმსივნეს“, „არ აქვს საკმარისი შუქი და არ ჰყოფნის ჩემი სარდაფის ტიპის ოთახს“, „ძვირი ღირს და მალე იწვება“. რესპონდენტებიდან რამდენიმემ განაცხადა, რომ გამოუყენებიათ ეკონომიური ნათურებიც, თუმცა რამე განსაკუთრებული სხვაობა თანხის გადახდისას არ უგრძნიათ.

ამის საპირისპიროდ, თელავში რესპონდენტების უმეტესობამ განაცხადა, რომ განათებისათვის იყენებენ ლედ ნათურებს. მათი თქმით, თანხის დაზოგვის კუთხით მნიშვნელოვანი სხვაობა აქვთ. მონაწილეთა ნაწილს აქვს ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენად მეტია ლედ ნათურების ეკონომიურობა ჩვეულებრივ, ვარვარა ნათურებთან შედარებით. „ერთბაშად ვერ გამოვცვალებ, მაგრამ 10 ნათურა უკვე მექვს დროთა განმავლობაში“; „მე ლედებზე გადასული ვარ დიდი ხანია, ჩემი შვილის წყალობით, ელექტრობაში გარკვეულია, რომ დავითვალეთ, 8 – ჯერ ნაკლებს წვავს, თუმცა გააჩნია ფირმას, ჩვენ „ლინუსებს“ ვიყენებთ“ – აღნიშნავენ მონაწილეები.

მონაწილეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ზამთარში გათბობისათვის მოხმარს შეშას, დანარჩენი ნაწილი კი – ბუნებრივ აირს. მონაწილეთა უმეტესობა ზამთარში სახლს სრულად არ ათბობს. ნაწილი ამბობს, რომ ამის საჭიროება არ აქვთ, რადგან ცხოვრობენ ორსართულიან სახლებში და ხშირ შემთხვევაში არ იყენებენ ყველა ოთახს, თუმცა ნაწილი ამბობს, რომ საკუთარი კომფორტის ხარჯზე ზოგავენ ენერჯიას და არ ათბობენ ყველა ოთახს. ხშირ შემთხვევაში არ თბება საძინებელი, ხოლო დანარჩენ ოთახებში გათბობა ერთი წყაროდან ნაწილდება. მონაწილეთაგან მხოლოდ ერთი სარგებლობა ცენტრალური გათბობით. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ: „შეზღუდვა თავისთავად არის, მაგრამ ვეგუებით იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში ძალიან ბევრი დაგვეხარჯებოდა“, „რა თქმა უნდა კარგია, რომ ყველა ოთახში თანაბარი გათბობა იყოს და გამოკეტილები არ ვიყოთ ერთად, მაგრამ ასე ჯობია გადასახადებისთვის“.

ზამთარში გათბობის წილის ზრდის გამო კომუნალური გადასახადების წილიც იზრდება, ზოგ შემთხვევაში ორმაგდება. საშუალოდ მონაწილეები ზამთარში ხარჯავენ 200 – 250 ლარას, რაც ხშირ შემთხვევაში, ორჯერ მეტია ზაფხულში გადახდილ თანხასთან შედარებით. ზამთარში გათბობისათვის უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება შეშა, შედარებით ნაკლებად კი – ბუნებრივი აირი. შეშა ჯდება 280 – 320 ლარამდე (3,5 მ³), „ჩემი მებობელი მაგალითად 3 მანქანას ყიდულობს, დიდი ოჯახი ყავს, მაგრამ საშუალოდ 2 მანქანა უნდა იგულისხმოდ ოჯახმა, ეს არის 600 ლარის ფარგლებში“ „ტალონში ვიხდით ფულს“ – აღნიშნავენ მონაწილეები.

მონაწილეთაგან მხოლოდ 2 – ს აქვს კონდიციონერი, თუმცა რესპონდენტები ბოლო წლებში ტემპერატურის მატებას უსვამენ ხაზს და კონდიციონერის საჭიროებაზე მიუთითებენ.

გათბობის შემდეგ ყველაზე დიდი თანხა იხარჯება საჭმლის მომზადებაზე, შემდეგ მოდის განათება, ცხელი წყალი და რეცხვა და სხვ.

ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვა – ცნობიერების დონე ამ მიმართულებით

ფოკუს ჯგუფზე ასევე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ენერგოეფექტურობის და ენერგო დაზოგვის საკითხების განხილვას. სოციალურად დაუცველი რესპონდენტებისათვის ენერგოეფექტურობა ძირითადად ენერჯიის მოხმარებისგან თავის შეკავებასთან ასოცირდება. ენერგო დაზოგვასთან დაკავშირებით კი მიაჩნიათ, რომ ისედაც ელემენტარულ საჭიროებებს იკმაყოფილებენ და ვერაფერს ვერ დაზოგავენ. ენერჯიის დაზოგვის მიზნით, მათთან საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა მაცივრის გამორთვა ზამთარში და ხანდახან ზაფხულშიც. ერთერთი მონაწილის თქმით, „ახლა მაცივარს არ ვრთავ, ვცდილობ იმდენი ვიყიდო, რომ არ დამჭირდეს მაცივარი. ბაზარიც ახლოსაა ჩემთან და ყოველ დღე ან ყოველ მეორე დღე ვყიდულობ ახალ საჭმელს, რომ არ შევინახო მაცივარში“. სხვა მონაწილის თქმით „ამ გაჭირვებამ ისეთი რამე მასწავლა, დაზოგვა მასწავლა ჭამის მხრივაც დაზოგვა მასწავლა, ჯანმრთელობის მხრივაც. დაბალმა ფენამ თუ ვისწავლეთ დაზოგვა, მაღალმა ფენამაც ისწავლოს და დაგვეხმაროს ჩვენ, რომ უფრო ჯურღმულისკენ კი არ წავიდეთ, წამოვიდეთ წინ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონაწილეთაგან ძალიან ცოტა იყენებს თანამედროვე, ენერგოეფექტურ ნათურებს და სახლების დათბუნების მხრივაც რამე განსაკუთრებულ ღონისძიებებს არ მიმართავენ. ამის მიზეზი ძირითადად მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა ცხოვრობს ნაქირავებ სახლში და, შესაბამისად, არ აქვთ მოტივაცია, რომ სახლის დათბუნებაზე გასწიონ დამატებითი ძალისხმევა თუ ფინანსური ხარჯები. მეორე მხრივ კი ასევე საყურადღებოა, რომ როგორც მონაწილეები აღნიშნავენ, ფულადი შემწეობის მიღებაში ერთერთი მთავარი კომპონენტია სახლის მდგომარეობის შეფასება და თუ სახლი შედარებით კეთილმოწყობილია, დახმარება არ გაიცემა. ერთერთი მონაწილის თქმით: „სახლში პარკეტი რომ გქონდეს მაგიტომაც მოგიხსნიან დახმარებას“. შესაბამისად, სახლის შეკეთების ან დათბუნების მოტივაცია მათ არ აქვთ, ისევე როგორც არ აქვთ ამის ფინანსური შესაძლებლობა.

ენერგოეფექტურობის სხვა, ნაკლებხარჯიანი ღონისძიებების შესახებ მონაწილეები ნაკლებად არიან ინფორმირებული. მათი უმეტესობა გამოთქვამს სურვილს, რომ გაეწიოთ კონსულტაცია ენერჯიის მოხმარების დაზოგვასთან დაკავშირებით. თუმცა გარკვეულწილად, სკეპტიკურად არიან განწყობილები შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირებისადმი. „რამდენი ხალხია ეს სოციალურად დაუცველები მოვა ვინმე, ამისთვის მოიცილს რომ ჩვენ ინფორმაცია მოგვაწოდოს?“ – აღნიშნავენ ერთერთი რესპონდენტი.

რაც შეეხება თელაველ რესპონდენტებს, რესპონდენტთა ნაწილი (5/11) აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მიუმართავთ დაზოგვის სხვადასხვა მეთოდისთვის, მაგალითად ზამთარში, შემთხვევაში, იგივე რესურსი

წყლის გაცხელებისთვისაც გამოყენება, მონაწილეთაგან რამდენიმე არ იყენებს ზამთარში მაცივარს, სარეცხი მანქანა ყოველთვის ირთვება მაშინ, როცა სრულად არის დატვირთული და გამოიყენება კვირაში ერთხელ ან ორჯერ.

მონაწილეების ასევე აღნიშნავენ, რომ სმენიათ ისეთი ენერგოეფექტური ღონისძიებების შესახებ, როგორცაა სახლის დათბუნება და ერკვევიან დასათბუნებელ მასალებსა და ტექნოლოგიებში, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ ღონისძიებებს სჭირდება დიდი რაოდენობით ფინანსური რესურსი, რისი გაღების შესაძლებლობაც, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ. „ორმაგ შემიწევს ალტერნატივა მოფიქრებ: აი ფანჯარაზე გავაკეთო ფიცარი, სასრიალო კარნიშები და ზედ ცელოფანს ვკიდებ რომ თან შუქი შემოვიდეს და თან დაათბოს სახლი“; „ღრიჭოებს ვავსებთ ხოლმე ზამთარში, ქაღალდის წებოვანი სკოჩით“; „სპორტული ჟინი არის უკვე ჩვენ ოჯახში, რომ აი შუქი დაგრჩა და ჩააქრე“ – აღნიშნავენ მონაწილეები.

პირველადი ინვესტიციის განხორციელება რთულია საყოფაცხოვრებო ტექნიკასთან მიმართებითაც. მონაწილეები ამბობენ, რომ აქვთ „ძველი რუსული“ ტექნიკა და სურთ მისი გამოცვლა, თუმცა ისე და ისე საკმარისი ფინანსური რესურსის არქონის გამო უარს ამბობენ ენერგოეფექტურობაში გრძელვადიან ინვესტიციაზე. მონაწილეთა მხრიდან ყურადღების ამ საკითხზე გამახვილება ნათელს ხდის მათ გაცნობიერებას ენერჯის მოხმარების საკითხებთან დაკავშირებით და ენერგო დაზოგვის სურვილს.

ენერგოეფექტურობაზე დისკუსიის და ყოველდღიური დაზოგვის პრაქტიკების გაზიარებისას, მონაწილეთა ნაწილისთვის გარკვეული ინფორმაცია ახალი და სასარგებლო აღმოჩნდა: „ჰელიო გამათბობლის შესახებ არ ვიცოდი, მაგრამ ახლა დაფიქრდი, რომ მართლა ბევრის დაზოგვა შეიძლება და იქნებ სამომავლოდ ვიყიდო“ – თქვა ერთერთმა მონაწილემ. მათთვის ასევე საინტერესო აღმოჩნდა ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ სველი შემის წვა არაეფექტურ ღუმელებში მნიშვნელოვნად ზრდის მათ ხარჯებს, რეალური შედეგი კი, გათბობის კუთხით, ნაკლები აქვს.

ზოგადად კი, მონაწილეები მიუთითებენ, რომ მათთვის ენერგოდაზოგვასთან თუ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობა არ არის ხელშემშლელი ფაქტორი. ამბობენ, რომ საკმარისი დროისა და სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ ინტერნეტის და სხვა წყაროების გამოყენებით საინტერესო, ეფექტური პრაქტიკების მოძიება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა.

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება

ყველაზე პრობლემური საკითხი ენერგეტიკასთან მიმართებით სოციალურად დაუცველებისათვის არის თბილისის მერიის მიერ გაცემული ელექტროენერჯის ვაუჩერები, რომელსაც 5 თვის განმავლობაში იღებენ და რომლის ღირებულებაც არის 106 ლარი. პრობლემა უკავშირდება ვაუჩერის თანხის მხოლოდ ელექტროენერჯიაზე მიმართვას. მონაწილეთა ნაწილი ამბობს, რომ ვაუჩერი მხოლოდ ელექტროენერჯის ღირებულებას ფარავს და გაზზე არ გამოიყენება, მაშინ, როცა ზამთარში, გათბობისათვის ძირითადად ბუნებრივ აირს იყენებენ და გადასახადიც ბუნებრივი აირის მეტი აქვთ ვიდრე ელექტროენერჯის. „პრობლემა ის არის, რომ მე მინდა, რომ ვაუჩერი იყოს ბუნებრივ აირზე, ჩემთვის უფრო მისაღებია, რადგან წელიწადში 5 თვე არი სიცხვე და მეტი იხარჯება ბუნებრივი აირის მოხმარების დროს“ – აღნიშნავს ერთერთი რესპონდენტი. „ძალიან ბევრთან არის ეს პრობლემა, ახლა როცა დენი გადავიხადე გაზი ჩამიჭრეს, ვერ შევძელი ორივეს დაფარვა“ – ამბობს სხვა მონაწილე.

მათთვის უმჯობესია, ვაუჩერის თანხა გადაეცემოდეთ ხელზე, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ იყო და თვითონ განსაზღვრონ გადაანაწილონ. „იყო ერთი პერიოდი როცა ეს თანხა გვერიცხებოდა ბარათზე, მე პირადად ვანაწილებდი. მე მგონი ყველასთვის მისაღებია ავიღოთ ეს თანხა ბარათზე და ჩვენ თვითონ გადავანაწილოთ, გვინდა გაზზე გადავიხდით, გვინდა დენზე“ – ამბობს ერთერთი მონაწილე, იმავე აზრს იზიარებს მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა „მეც ვარ მომხრე დაგვირეცხონ რაც გვეკუთვნის და მე თვითონ გავანაწილებ რას გადავიხდი, რაში რამდენს გადავიხდი და შევცდები, რომ იმ თანხის ზემოთ არ გავუშვა და მეცოს თანხა როგორც გაზზე ისე ელექტროენერჯიაზე“.

სხვა პრობლემები ვაუჩერებთან დაკავშირებით ზოგ შემთხვევაში უკავშირდება ადმინისტრირების საკითხებს, ზოგიერთი მონაწილე ვერ იღებს ვაუჩერს რადგან დროულად არ მოხდა მისი საცხოვრებელი მისამართის ასახვა მერიის მონაცემთა ბაზაში. ზოგიერთს კი არამართებულად მიაჩნია და მთავრობის მიერ თანხების მითვისებას უწოდებს იმ ფაქტს, რომ თუ 106 ლარიდან ოჯახს თვეში მხოლოდ 50 ლარს გახარჯავს, დანარჩენი თანხა მერიას ისევე უკან უბრუნდება.

რაც შეეხება თელავის ფოკუს ჯგუფს, მათთან რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა იყრის თავის, რომელიც შეიძლება ცალ ცალკე გამოიყოს.

უსაფრთხოება – მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ გაუმართავ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურასა და გადამცემ ხაზებსა თუ ბოძებზე და აღნიშნავენ, რომ ხშირად ამით საფრთხე ექმნება ადამიანების ჯანმრთელობას. „რამდენჯერმე დავინახე გაწყვეტილი სადენი გდია, გამოშვებული, დავურეკე და აბსოლუტური ნოლია რეაგირება“; „გაცვანილობა იმდენად ძველია, რომ წვიმის დროს მიწას ეხება და ვინმე რომ გავიდეს გარეთ.. ამდენი ბავშვია, დამინახავს

კიდევაც ნაპერწკლებს რომ ყრის“ – აღნიშნავენ მონაწილეები. ჯგუფის წევრებმა, დისკუსიისას უბედური შემთხვევებიც გაიხსენეს „ამ ზაფხულს დაიღუპა ადამიანი, იმიტომ, რომ ბოძი მოწყდა და დაეცა“

მიწოდების ხარისხი და უამინდობისას არსებული პრობლემები – უამინდობის დროს ელექტრო ენერჯის გათიშვა და მის მიერ გამოწვეული საფრთხეებს მოგვარება რეგიონში მაცხოვრებელი ყველა რესპონდენტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. „წვიმა, ქარი და ეგრევე ვთიშავ ტექნიკას, იმიტომ რომ არ ვარ დარწმუნებული რომ არ გადამეწვება“ „ოდნავი ქარი და ეგრევე ითიშება დენი“. მონაწილეთა თქმით, უამინდობის და სტიქიის დროს რამდენჯერმე გადამწვარა მათ სახლებში არსებული ტექნიკა, და ზარალზე პასუხს არავენ აგებს, შესაბამისად თავად იჩენენ მეტ სიფრთხილეს. მონაწილეები ასევე ხაზს უსვამენ, რომ ზამთარში არ არის „კარგი ხარისხის გაზი“

მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემა – ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ახალი გამანაწილებელი კომპანიის შემოსვლას რეგიონში თან ახლავს გარკვეული პრობლემები. ზოგიერთი მათგანი „გადასახადების საეჭვო ზრდაზე“ მიუთითებს. „ადამიანი ყოველთვის აკონტროლებს თავის დანახარჯს, მაგრამ რაც ახალი კომპანია მოვიდა მეტი მოსდის ხალხს გადასახადი... იქვე ბოძია ჩემ სახლთან, ყოველ დღე მეზობლები დგანან უყურებენ, რამდენი იწერება“ ამბობს ერთ – ერთი ჯგუფის წევრი. ამ მოსაზრებას იზიარებს ჯგუფის ყველა წევრი და ისინი აღნიშნავენ, რომ გადასახადი იმაზე საგრძნობლად მაღალია, ვიდრე ეს კომპანიის შეცვლამდე იქნებოდა. „ერთსა და იმავეს მოვიხმარ თვიდან თვემდე და ბევრად მეტი შეიძლება მომივიდეს მეორე თვეს, რანაირად?“

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა აქტიურ კომუნიკაციაშია ენერგომბუდსმენტთან, მონაწილეებმა გაიხსენეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ომბუდსმენტის დახმარებით დავა მათ სასარგებლოდ გადაწყდა, მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ერთერთ მონაწილეს ნ თვის მანძილზე ყოველთვე მოსდიოდა ქვითარი განსაზღვრული 189 ლარის ოდენობით, სხვა შემთხვევაში კი ქვითრების არევის გამო იღებდა რესპონდენტი მაღალგადასახადიან ქვითარს, ომბუდსმენტთან მიმართვის საფუძველზე მას ეს ვალი ჩამოაწერეს. „ისევ ომბუცმენი დაგვეხმარა, თორე თვეობით ვურეკავთ, ვჩივით და არავენ არის პასუხისმგებელი“ აღნიშნავენ რესპონდენტები.

მიგნებები

ფოკუს ჯგუფების ანალიზმა გამოავლინა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განსხვავებული პოლიტიკა უნდა იყოს შემუშავებული. რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება შეიძლება ცალკე გამოიყოს:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ენერგომხმარება ენერჯის წყაროების მიხედვით არაერთგვაროვანია. თუკი რეგიონების მოსახლეობაში იკვეთება ტენდენცია, რომ ზამთარში თითქმის არც ერთი ოჯახი არ იყენებს ელექტროენერჯიას სახლის გასათბობად, სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში ბუნებრივ აირთან შედარებით, უფრო ხშირად სწორედ ელექტროენერჯია გამოიყენება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ნაწილობრივ ისიც, რომ აღნიშული კატეგორია ზამთარში იღებს მხოლოდ ელექტროენერჯის ვაუჩერს და ცდილობენ მის ათვისებას, თუმცა ბევრ მათგანს ასევე არა აქვს გაზის გამათბობელი ან ცხოვრობს შენობაში, სადაც გაზი საერთოდ არ არის.
- სოციალურად დაუცველ რესპონდენტებში დაბალია ცნობიერების დონე ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში აქვთ არასწორი შეხედულება და დამოკიდებულებები, მაგალითად, მიჩნიათ, რომ დაზოგვა მდიდრების მოვალეობაა და თვითონ ისედაც ცოტას მოიხმარენ, ამიტომ სახელმწიფო მათ დაზოგვას არ უნდა სთხოვდეს. არის ასევე ინფორმაციის ნაკლებობა მაგალითად თანამედროვე ენერგოეფექტურ ნათურებთან დაკავშირებით, ამბობენ რომ აქვს ცუდი გამოსხივება, განათება, აჩენს სიმსივნეს და ა.შ. არ არიან ინფორმირებულები, რამდენი შეიძლება დაიზოგოს ამ ნათურებით. ყველაზე სუფთა და უსაფრთხო საწვავად მიიჩნევენ შეშას, არ ფლობენ ინფორმაციას არაეფექტურ ღუმელებში შეშის წვის და ღია ცეცხლის გამოყენებით ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ენერჯის დაზოგვა და მასშტაბური ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება (მაგალითად სახლების დათბუნება) ნაკლებად რელევანტურია, რადგან ძირითადად ცხოვრობენ ნაქირავებ სახლებში და არ აქვთ მოტივაცია და ფინანსური შესაძლებლობა ინვესტიცია განახორციელონ ამ მიმართულებით. ამასთან, ამბობენ რომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება იწვევს მათთვის სოციალური შემწეობის ფულადი დახმარების მოხსნას.
- რაც შეეხება რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას, ჯგუფის წევრების უმრავლესობა თანხმდება, რომ დაბალპროცენტური სესხი სახლის დათბუნებისთვის კარგი შემოთავაზება იქნებოდა, თუმცა იმის გათვალისწინებით,

რომ ბანკიდან ისედაც არაერთ სესხი აქვთ აღებული, გამოთქვამენ სურვილს მიიღონ ინფორმაცია სხვა, უფრო დაბალბიუჯეტიანი ღონისძიებების შესახებ. იგივე ეხება ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და დანადგარებში ინვესტირებას. იციან, რომ მაგალითად მზის წყალგამათბობლების შექმნის შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეუძლიათ მნიშვნელოვნად დაზოგონ მოხმარებული ელექტროენერგია, თუმცა უჭირთ პირველადი ინვესტიციის განხორციელება.

- თელავში მცხოვრები რესპონდენტების ენერგო მოხმარებაში განსხვავებულ ფაქტორად შეიძლება აღინიშნოს ის, რომ მათი სრული უმრავლესობა თიშავს ელექტრო მოწყობილობებს და ტექნიკას წვიმისა და ქარის შემთხვევაში, ვინაიდან დაურეგულირებელი დენის ძაბვა და ელექტროენერგიის გათიშვა ხშირად მათთვის ზარალით მთავრდება. მოსახლეობისთვის უსაფრთხო ენერგიის პრობლემა და ხშირი წყვეტები არის განსაკუთრებით პრობლემური. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ კახეთის რეგიონში წლების განმავლობაში ოპერირებდა გაკოტრების რეჟიმში მყოფი სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ქსელის განვითარებაში ინვესტიციას ვერ ახორციელებდა. სხვა რეგიონებში არსებული ვითარების შესახებ დასკვნების გამოსატანად, საჭიროა დამატებით კვლევები.

დასკვნა

ფოკუს ჯგუფების ჩატარებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოვლინა:

- როგორც სოციალურად დაუცველი რესპონდენტების, ისე რეგიონში მცხოვრები რესპონდენტებისათვის ენერგეტიკული დანახარჯები არ არის ყველაზე კრიტიკული საკითხი, თუმცა ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება. ენერგიაზე ხარჯი ზამთარში შემოსავლის 20% – ს 25% – ს შეადგენს იმის გათვალისწინებით, რომ ენერგიის დაზოგვა, ხშირ შემთხვევაში, პირადი კომფორტისა და კეთილდღეობის ხარჯზე ხდება. გარდა ამისა, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა მიუთითებს ზაფხულში ტემპერატურის მატებასა და კონდიციონერების საჭიროებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ენერგეტიკულ დანახარჯებს.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ენერგიის მოხმარების თავისებურებებისა და ენერგოეფექტურობის შესახებ დაბალია. მაგალითად, არ იციან ენერგოეფექტური ნათურების მახასიათებლები და ჯანმრთელობისათვის საზიანოდ მიჩნიათ, ასევე არ აქვთ ინფორმაცია, რომ მათი ფასი მნიშვნელოვნად არის შემცირებული.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ენერგოეფექტურობა ძირითადად ენერგოდაზოგვასთან ასოცირდება და მიაჩნიათ, რომ დაზოგვა მდიდრების მოვალეობაა.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სისტემა არაეფექტურია, რადგან მოიცავს მხოლოდ ელექტროენერგიის ვაუჩერს და არ ეხება გაზს. ამან შეიძლება წაახალისოს ელექტროენერგიის არაეფექტური მოხმარება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიზანშეწონილად მიიჩნევენ ვაუჩერით განსაზღვრული თანხის გადანაწილებას გაბზეც.
- რეგიონის მოსახლეობა, თბილისის მოსახლეობისგან განსხვავებით, აღნიშნავს ელექტროენერგიით მომარაგების უსაფრთხოების მნიშვნელობას. ელექტროენერგიის, გაზის და სხვა ენერგია შემცველების უსაფრთხოდ მიღება და მოხმარება უნდა იყოს მოხმარებლის განუყოფელი უფლება და ამ უფლების დარღვევა უნდა ითვლებოდეს ენერგეტიკული სიღარიბის მაჩვენებლად.

სასურველია ფოკუს ჯგუფების ჩატარება სხვა რეგიონებშიც უფრო წარმომადგენლობითი შედეგების მიღებისათვის, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზი მიუთითებს, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ენერგეტიკული დახმარების განსხვავებული პოლიტიკა უნდა იყოს შემუშავებული.

ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია ენერგეტიკული სიღარიბის ემპირიული კვლევა და ფაქტებზე დაფუძნებული ანალიზი. დღესდღეობით ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (რომელშიც საქართველოც შედის) ენერგეტიკული სიღარიბის გასაზომად შემდეგი ინდიკატორების ჯგუფები გამოიყენება:


- **ხარჯებზე დაფუძნებული შეფასება** – შინამეურნეობების მიერ ენერგიაზე გაწეული დანახარჯების შეფასება და წინასწარ განსაზღვრულ ზღვართან შედარება.
- **კონსენსუსზე დაფუძნებული მიდგომა** – გამოკითხვა, რომლის შედეგად ხდება იმ შინამეურნეობების იდენტიფიცირება, რომლებსაც უჭირთ საბაზისო ენერგო მოთხოვნების დაკმაყოფილება. გამოიყენება როგორც დამატებითი ხარისხობრივი შეფასება სხვა ინდიკატორებთან ერთად.
- **პირდაპირი გაზომვა** – შეფასება, თუ რამდენად მიიღწევა ადეკვატური ენერგოსერვისები შინამეურნეობებში. მაგალითად, რამდენად შეესაბამება გათბობის პერიოდში ოთახების შიდა ტემპერატურა არსებულ სტანდარტებს. აღნიშნული მეთოდი, ტექნიკური სირთულეების გათვალისწინებით, იშვიათად გამოიყენება და თითქმის არასდროს – ევროკავშირის ქვეყნებში.
- **შედგებზე დაფუძნებული მიდგომა** – ფასდება ენერგეტიკული სიღარიბის შედეგად გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა. მაგალითად, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი. აღნიშნული მეთოდიც იშვიათად გამოიყენება ტექნიკური შეზღუდვების გამო.

ჩამოთვლილი მეთოდებიდან, ყველაზე ხშირად გამოიყენება ხარჯებსა და კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდების კომბინაცია. მიიჩნევა, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო ზუსტად ხდება ენერგეტიკული სიღარიბის მიმართ მოწვევადი ჯგუფების იდენტიფიცირება.

ხარჯებზე დაფუძნებული შეფასება

ხარჯებზე დაფუძნებული შეფასება შედგება 4 ძირითადი ელემენტისაგან: შემოსავლების განსაზღვრა, ზღვარის დადგენა, მოსახლეობის წილისა და ენერგიაზე დანახარჯების იდენტიფიცირება (იხ. ნახაზი 1). თითოეული ელემენტის შეფასების დროს ასევე ხდება მეთოდოლოგიური გადაწყვეტილების/დაშვების მიღება ეროვნული კონტექსტიდან გამომდინარე.

სურ. 17 ხარჯებზე დაფუძნებული ინდიკატორის ელემენტების სქემა



- **შემოსავლების განსაზღვრა** – ყოველთვის გამოითვლება მხოლოდ განკარგვადი შემოსავალი, ანუ ის შემოსავალი, რომელიც ხელმისაწვდომი რჩება ყველა სავალდებულო გადასახადის გადახდის შემდეგ და რომლის დახარჯვის კონტროლიც შეუძლია ოჯახს. თუმცა, რადგან რამდენიმე ევროკავშირის ქვეყნებში საბინაო ხარჯებს (სახლის მოვლა, საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურება) ასევე აქვს სავალდებულო გადასახადების ხასიათი, იგი არ არის გათვალისწინებული განკარგვად შემოსავლებში.
- **მოსახლეობის ჯგუფის განსაზღვრა** – ამ ეტაპზე მისაღები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა განისაზღვროს, მოსახლეობის რა ნაწილის შეფასებას ვახდენთ შერჩეული ინდიკატორით/ებით. აქ შეიძლება იყოს როგორც მთლიანი მოსახლეობა, ასევე მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ან შემოსავლების მიხედვით ოჯახების ქვედა 40%. შერჩევის არეალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შედეგებზე.
- **ენერჯიაზე დანახარჯების შეფასება** – ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია განვასხვაოთ რეალური დანახარჯები და საჭირო დანახარჯები. რეალურ დანახარჯებში იგულისხმება ის დანახარჯები რაც აქვს კონკრეტულ ოჯახს, ხოლო საჭირო დანახარჯებში იგულისხმება ის დანახარჯები, რაც უნდა ჰქონოდა, რომ ჯანმრთელობისთვის და სოციალური კეთილდღეობისთვის საჭირო ენერჯიაზე მოთხოვნა სრულად დაეკმაყოფილებინა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო ენერჯიაზე დანახარჯების შეფასებისთვის გაცილებით უფრო დიდი ძალისხმევა და რესურსია საჭირო. მაგალითად, შეფასების მეთოდი შეიძლება იყოს ოჯახების ზომის, ტექნოლოგიების, შენობის პარამეტრების გათვალისწინებით შესაბამის მოდელში საჭირო დანახარჯების მოდელირება. მეორეს მხრივ, საჭირო დანახარჯების შეფასებით შესაძლებელია გამოვლინდეს ოჯახების ჯგუფი, რომლებიც განიცდიან „ფარულ“ ენერჯეტიკულ სიღარიბეს. ანუ, მათი რეალური დანახარჯები შეიძლება დაბალი იყოს იმის გამო, რომ კომფორტის და ჯანმრთელობის ხარჯზე ზღუდავენ ენერჯიის მოხმარებას.
- დანახარჯების შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია აბსოლუტური (მაგ. შემოსავლის X%) თუ ფარდობითი საზომის (მაგ. ორჯერ მეტი ვიდრე მედიანა) არჩევა. ფარდობით საზომი უფრო დინამიურია და ასახავს მოსახლეობის დანახარჯების სტრუქტურის ცვლილებებს.
- **ზღვარის დადგენა** – აღნიშნული კომპონენტების მიხედვით შეფასებული მნიშვნელობა უნდა შედარდეს წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს. ეს ზღვარი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი. ყველაზე გავრცელებული ზღვარი არის განკარგვადი შემოსავლების 10%. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ოჯახის ენერჯეტიკული დანახარჯები აღემატება განკარგვადი შემოსავლების 10% – ს, ის ითვლება ენერჯეტიკულად ღარიბ ოჯახად.


ზღვარი ასევე შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ დანახარჯების წილს განკარგვად შემოსავლებში, არამედ იმასაც, თუ რა რაოდენობის განკარგვადი შემოსავალი რჩება ენერჯეტიკული დანახარჯების გადახდის შემდეგ. რამდენიმე ქვეყანაში გამოიყენება ზღვარის ორივე ტიპი, რათა უფრო მიზანმიმართულად მოხდეს ენერჯეტიკული სიღარიბის მიმართ მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება.

როგორც ყველა რაოდენობრივ მეთოდს, აღნიშნულ ინდიკატორსაც აქვს თავისი შეზღუდვები: საბოლოო ინდიკატორი დამოკიდებულია მეთოდოლოგიურ დაშვებებზე, მგრძობიარეა ფასების მიმართ და რთულად დასათვლელია.

თუმცა იგი არის რეალურ მონაცემებზე დაფუძნებული ობიექტური საზომი და ამის გამო ფართოდ გამოიყენება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ამ ინდიკატორით ასევე შესაძლებელია შეფასდეს „poverty gap“ (სხვაობა საჭირო და რეალური დანახარჯებს შორის).

მაგალითისთვის, ნახ. 2 – 3 – ზე ნაჩვენებია ესპანეთის და იტალიის მაგალითი, სადაც დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდის ორი სხვადასხვა ვარიაციით დათვლილია ენერჯეტიკულ სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების წილი.


სურ. 18: შინამეურნეობების წილი რომელთა დანახარჯები ორჯერ მეტია ეროვნული მედიანის მნიშვნელობაზე.



ნახაზზე 1 – 5 – მდე აღნიშნულია სხვადასხვა ჯგუფები შემოსავლების მიხედვით: 1 – ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე, ხოლო 5 – ყველაზე მაღალი. ნახ. 2 – ზე დატანილია შინამეურნეობების წილი, რომელთა დანახარჯები ორჯერ მეტია ეროვნული მედიანის მნიშვნელობაზე შემოსავლების სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით. აღნიშნული ინდიკატორით ესპანეთში ყველაზე დაბალ შემოსავლების მქონე ჯგუფში 46% განიცდის ენერგეტიკულ სიღარიბეს, ხოლო იტალიაში იგივე ჯგუფში ეს მაჩვენებელი თითქმის 60% – ს აღწევს. საინტერესოა, რომ აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით შემოსავლების ყველა ჯგუფში ოჯახების გარკვეული წილი განიცდიდა ენერგეტიკულ სიღარიბეს.

შემდეგ იგივე პოპულაცია შეფასდა მეორე ინდიკატორით (იხ. ნახ. 3): შინამეურნეობების წილი რომელთა დანახარჯები ორჯერ მეტია ეროვნული მედიანის მნიშვნელობაზე და რომელთა შემოსავლები ენერგეტიკული დანახარჯების შემდეგ არის სიღარიბის ზღვარს მიღმა. ამ შემთხვევაში დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების 80% განიცდიდა ენერგეტიკულ სიღარიბეს ესპანეთში და იტალიაში. ასევე აღსანიშნავია, რომ მეორე ინდიკატორით შეფასების დროს არ გამოვლინდა ენერგეტიკულად მოწყვლადი ოჯახები 3 – 5 შემოსავლების ჯგუფებში.

სურ.19 შინამეურნეობების წილი რომელთა დანახარჯები ეროვნული მედიანის მნიშვნელობაზე ორჯერ მეტია და რომელთა შემოსავლები ენერგეტიკული დანახარჯების შემდეგ არის სიღარიბის ზღვარს მიღმა



აღნიშნული მაგალითად ნათლად აჩვენებს, თუ როგორი გავლენა აქვს ყველა მეთოდოლოგიურ დაშვებას დანახარჯებზე დაფუძნებული ინდიკატორის საბოლოო შედეგებზე.

კონსენსუსზე დაფუძნებული შეფასება

დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდისგან განსხვავებით ეს მეთოდი ეფუძნება მოსახლეობის პირდაპირ გამოკითხვას და ე.წ. „თვითშეფასებას“. ყველაზე გავრცელებული შეკითხვებია: შეგიძლიათ თუ არა რომ საკმარისად გაათბოთ თქვენი სახლი ზამთრის პერიოდში? გიჭირთ ელექტროენერჯის/გაზის საფასურის გადახდა დროულად? გაქვთ თუ არა

დავალიანება? ნესტიანდება თუ არა სახლის კედლები? და სხვა.

კონსენსუსზე დაფუძნებული ინდიკატორის გამოშვება გაცილებით უფრო მარტივია ვიდრე ხარჯებზე დაფუძნებული ინდიკატორის. მსგავსი ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელი ხდება ენერგეტიკული სიღარიბის უფრო ფართო ანალიზი, მათ შორის შინამეურნეობების გამოცდილების და ენერგეტიკული სიღარიბის გამოვლინების ანალიზი. თუმცა ამ მეთოდსაც გააჩნია გარკვეული შეზღუდვები: მეთოდი სუბიექტურ შეფასებაზე დამოკიდებული, რადგან გამოკითხვის დროს შინამეურნეობების მიერ ხდება თვითშეფასება. ასევე, საკმაოდ სუსტი დაშვებაა, რომ ყველა გამოკითხულ შინამეურნეობას ერთნაირად ესმის „საკმარისად“ ან „ადეკვატურად“ გათბობა. დავალიანებების და დროულად გადახდის ინდიკატორი დაკავშირებულია ზოგად სიღარიბესთან და სახლის ნესტიანობის შეფასება უფრო ზომავს ენერგოეფექტურობას ვიდრე ენერგეტიკულ სიღარიბეს. თუმცა ამ შეზღუდვების გათვალისწინებით, კონსენსუსზე დაფუძნებული ინდიკატორი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დამატებითი ინდიკატორი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება, რომლების „დაჭერა“ ხარჯებზე დაფუძნებული მეთოდით ვერ ხერხდება. კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდი თითქმის არასდროს არ გამოიყენება დამოუკიდებლად როგორც ენერგეტიკული სიღარიბის ერთადერთი საზომი. ის ყველაზე ხშირად თან ახლავს ხარჯებზე დაფუძნებულ მეთოდს.

მაგალითისთვის, 2012 წელს დიდ ბრიტანეთში შეადარეს დანახარჯებზე და კონსენსუსზე დაფუძნებული ინდიკატორებით მიღებული შედეგები. დანახარჯები შედარდა ოფიციალურ ზღვარს – განკარგვადი შემოსავლების 10%. შედეგად გამოვლინდა, რომ დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდის მიხედვით შინამეურნეობების 28% ხარჯავს 10%-ზე მეტს. კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდით გამოკითხულების მხოლოდ 16% – მა განაცხადა რომ უჭირთ სახლის გათბობა, ამ ჯგუფიდან მხოლოდ ნახევარი ითვლებოდა ენერგეტიკულად ღარიბად დანახარჯების ინდიკატორის მიხედვით. შესაბამისად მხოლოდ დანახარჯების მეთოდით მოწყვლადი ოჯახების 8% – ის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდებოდა.

ბელგია კიდევ ერთი ევროპული ქვეყანაა სადაც რეგულარულად ფასდება ენერგეტიკულად ღარიბი ოჯახების რაოდენობა. ბელგიაში ენერგეტიკული სიღარიბე იზომება „ენერგეტიკული სიღარიბის ბარომეტრით“, რომელიც 2009 – 2015 წლებში მოიცავდა სამ ინდიკატორს (იხ. ნახ. 4): გაზომილი ენერგეტიკული სიღარიბის ინდიკატორი, ფარული ენერგეტიკული სიღარიბის ინდიკატორი და აღქმული ენერგეტიკული სიღარიბის ინდიკატორი. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახების გარკვეული წილი ხდება სამივე ინდიკატორის თანაკვეთაზე, დანახარჯებზე და კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდების კომბინაცია ისეთი ფაქტორების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, რაც შეუძლებელია მხოლოდ რომელიმე ერთი ტიპის ინდიკატორით. თითოეული ინდიკატორი შეფასდა შემდეგნაირად:

ოჯახების წილი რომლებიც განიცდიან „გაზომილ“ ენერგეტიკულ სიღარიბეს – ამ მეთოდით შეფასდა ოჯახების ენერგეტიკული დანახარჯები და შემდგომ შედარდა ეროვნულ ზღვარს (განკარგვადი შემოსავლების 11.8%). ამ ინდიკატორის მიხედვით, ბელგიაში ოჯახების 14.5% განიცდიდა ენერგეტიკულ სიღარიბეს 2015 წელს. ცხრილი 2 – ში მოყვანილია შეფასების შედეგები.

ცხრილი 4. გაზომილი ენერგეტიკული სიღარიბის ინდიკატორის შედეგები

ოჯახების წილი	2009	2010	2011	2013	2014	2015
ბელგია	14.6 %	14.2 %	14.2 %	14.0 %	14.6 %	14.5 %
ფლემიშის რეგიონი	10.7 %	11.0 %	10.5 %	10.5 %	11.2 %	10.8 %
ბრიუსელის რეგიონი	13.9 %	13.5 %	17.6 %	15.5 %	15.0 %	12.8 %
ვალუნის რეგიონი	20.0 %	19.5 %	19.5 %	19.1 %	19.9 %	22.0 %

ფარული ენერგეტიკული სიღარიბის სიღრმე – ამ ინდიკატორით ხდება ისეთი ოჯახების იდენტიფიცირება, ვისი ენერგეტიკული დანახარჯები ბევრად დაბალია მსგავსი ზომების და პარამეტრების მქონე სხვა ოჯახების ენერგეტიკულ დანახარჯებზე. ასევე იზომება სხვაობა (ევროში) რეალურ და საჭირო დანახარჯების შორის. ცხრილი 3–ში მოყვანილია ინდიკატორის შედეგები ევროში.

ცხრილი 5 ფარული ენერგეტიკული სიღარიბის სიღრმე

ევროში თვეში (მუდმივ ფასებში):	2013	2014	2015
ბელგია	93.6	88.8	76.6
ფლემიშის რეგიონი	95.8	88.8	78.3
ბრიუსელის რეგიონი	90.3	83.7	75.1
ვალუნის რეგიონი	95.1	83.5	76.7


აღქმული ენერგეტიკული სიღარიბის ინდიკატორი – შეფასების დროს მოსახლეობას ეკითხებოდნენ: „გაქვთ თუ არა ფინანსური სირთულეები, ადეკვატურად გაათბოთ სახლი?“. 2015 წელს ბელგიაში ოჯახების 5.1% ქონდა ფინანსური სირთულე სახლის გათბობასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები მოყვანილია ცხრილი 4-ში.

ცხრილი 6 აღქმული ენერგეტიკული სიღარიბე

ენერგეტიკულად ღარიბი ოჯახების წილი	2009	2010	2011	2013	2014	2015
ბელგია	4.7 %	5.2 %	6.0 %	5.7 %	5.3 %	5.1 %
ფლემიშის რეგიონი	1.8 %	2.0 %	2.7 %	3.3 %	2.3 %	2.4 %
ბრიუსელის რეგიონი	11.1 %	12.7 %	13.2 %	10.2 %	10.8 %	8.1 %
ვალუნის რეგიონი	6.9 %	7.1 %	8.3 %	7.4 %	7.4 %	7.9 %

ნახ. 4 – ზე აღნიშნულია ამ ინდიკატორებით გაზომვის შედეგად მიღებული თანაკვეთის წერტილები. როგორც ირკვევა, თანაკვეთები საკმაოდ მცირეა (მაგ. ოჯახების მხოლოდ 1.8% შეფასდა როგორც ენერგეტიკულად ღარიბი გაზომილი და აღქმული ენერგეტიკული სიღარიბის ინდიკატორით), რაც ნიშნავს, რომ თითოეული ინდიკატორის მეშვეობით ხდება უნიკალური ოჯახების იდენტიფიცირება და ენერგეტიკული სიღარიბის უნიკალური გამომწვევი მიზეზის/ფაქტორის იდენტიფიცირება. ჯამში სამივე ინდიკატორით შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ ბელგიაში ოჯახების 21% განიცდის ენერგეტიკული სიღარიბის ამა თუ იმ ფორმას.

სურ20 ენერგეტიკული სიღარიბის ბარომეტრის მთავარი ინდიკატორები



ბელგიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება ასევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია რამდენიმე ინდიკატორის კომბინაცია, სადაც თითოეული ინდიკატორის ამოცანაა კონკრეტული უნიკალური ფაქტორის გაზომვა.

ბევრი ოჯახი, რომელიც ხარჯავს შემოსავლების 10% –ზე მეტს ენერგიაზე არ თვლის თავს ენერგეტიკულად ღარიბად და იმ ოჯახებიდან, ვინც თავს თვლის ენერგეტიკულად ღარიბად ყველა არ ხარჯავს 10% – ზე მეტს ენერგიაზე.

ეროვნული კონტექსტი

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ენერგეტიკული სიღარიბე შედარებით ახალი ცნებაა საქართველოში და ამ მიმართულებით კვლევები არ ტარდება, თუმცა შესაძლებელია არსებული ინსტრუმენტების გამოყენება და ინტეგრირება გარკვეული შეფასებების მისაღებად. ერთერთი ასეთი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული არის კავკასიის ბარომეტრი, რომელიც წარმოედგენს შინამეურნეობების რეგულარულ პირდაპირ გამოკითხვის საშუალებას სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით: ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალური საკითხები და სხვა. ბარომეტრი იმით განსხვავდება მსგავსი კვლევებისგან, რომ აქვს სისტემატური ხასიათი და დინამიკაში ანალიზის საშუალებას იძლევა. აღნიშნული პლატფორმა და შეგდების ანალიზი შეიძლება გამოყენებული იქნას ენერგეტიკული სიღარიბის სამომავლო შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული ინსტრუმენტი კარგად წარმოადგენს კონსენსუსზე დაფუძნებულ მეთოდს ენერგეტიკული სიღარიბის შეფასებისთვის.

აგრეთვე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობების კვლევა, რომელსაც საქსტატი აწარმოებს. 2017 წლიდან აღნიშნულ კვლევას დაემატა ენერგეტიკული ნაწილი. შინამეურნეობების გამოკითხვის მნიშვნელოვანი უპირატესობაც არის მისი სისტემურობა და საქსტატის ადამიანური და ფინანსური რესურსი, რაც კვლევების რეგულარულობას უზრუნველყოფს.

საქსტატის დახმარებით ასევე შესაძლებელია დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდისთვის საჭირო ნედლი მონაცემების მოპოვება (მაგ. ოჯახების შემოსავლები, დანახარჯები ენერგიაზე და სხვა). ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გააჩნია საჭირო მონაცემები მოსახლეობის სოციალურად დაუცველი სეგმენტის შესახებ. სოციალურად დაუცველი სეგმენტი კი ყველაზე მოწყვლადია ენერგეტიკული სიღარიბის მიმართ.

სამომავლო ინდიკატორების შერჩევის/შემუშავებისას მნიშვნელოვანია ევროპული და საუკეთესო პრაქტიკის

გათვალისწინება, განსაკუთრებით იმ ქვეყნების გამოცდილება სადაც ენერგეტიკული სიღარიბე რეგულარულად ფასდება და შეფასების შედეგად მუშავდება კონკრეტული მხარდაჭერი პროგრამები. ამ თვალსაზრისით საინტერესო რესურსს წარმოადგენს ევროკავშირის ენერგეტიკული სიღარიბის ობზერვატორია (EU Energy Poverty Observatory).⁷⁹ აღნიშნულ პლატფორმაზე ინტეგრირებულია სხვადასხვა ინდიკატორების ევროკავშირის წევრ ქვეყნებიდან. შესაძლებელია ანალიზის გაკეთება როგორც დინამიკაში ასევე სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკული სიღარიბის დონის შესადარებლად. საქართველოსთვის ეს რესურსი საინტერესოა პირველ რიგში გამოცდილების გაზიარების კუთხით. სამომავლოდ ინდიკატორების შერჩევასა კი სასარგებლო იქნება სხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული ინდიკატორების გაანალიზება და შემდგომში საქართველოში მიღებული შედეგების ევროპულ ქვეყნებთან შედარება.

სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო

და რეკომენდაციები

ენერგეტიკულ სიღარიბისა და მოწყვლადი მომხმარებლების საკითხის დარეგულირებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს, ამიტომ, ეს ორი კომპონენტი განსხვავებული პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს. მოწყვლადი მომხმარებლები ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ენერგეტიკული სიღარიბე არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მიზნობრივი კატეგორიით.

მოწყვლადი მომხმარებლების დახმარების საკითხი, რომელიც ხაზგასმულია ევროპულ დირექტივებში და, აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის შესახებ საქართველოს ახალი კანონის სამუშაო ვერსიაში, ეხება მხოლოდ ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრებს და შეიძლება შეფასდეს, როგორც სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოსახლეობის დახმარების მოკლევადიანი მექანიზმი.

ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი ფაქტორები კი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და შემოსავლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი არის მისი მხოლოდ ერთერთი შემადგენელი ნაწილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია სუფთა ენერჯის ტექნიკური ხელმისაწვდომობა და შენობების ენერგოეფექტურობა, სადაც ეს ენერჯია მოიხმარება. საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბის მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ:

- რეგიონებში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ვინც გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად იყენებს შემას და არაეფექტურ ღუმელებს და არასრული წვის პროდუქტებით ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს. აღნიშნული ეფექტი განსაკუთრებით მძიმედ აისახება ქალებზე, რომელთა ძირითადი საქმიანობა საკვების მომზადება და ოჯახის მოვლაა.
- რეგიონებში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ვისთანაც სათანადოდ არ არის დაცული გამანაწილებელი ქსელის უსაფრთხოება, მაღალია ენერგომომარაგების წყვეტის სიხშირე და ძაბვის ცვალებადობა და ამით გამოწვეული მატერიალური ზარალი. აღნიშნული ფაქტორი უსაფრთხო ენერჯის ხელმისაწვდომობის კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული.
- მომხმარებლები, რომლებიც სათანადოდ ვერ თბებიან ან იღებენ სხვა, საჭირო ენერგეტიკულ სერვისებს შენობების არაადაპტაციული თბური მახასიათებლების გამო და სხვა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული პოლიტიკა უნდა იყოს გრძელვადიანი, ითვალისწინებდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს და მათთვის შესაბამის სპეციფიკურ ღონისძიებებს.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს ენერგეტიკული სიღარიბის განმარტება. განმარტება უნდა იყოს პოლიტიკაზე ორიენტირებული და პრაქტიკულად გამოყენებადი. უნდა განსაზღვრავდეს მომხმარებელთა წრეს, რომელთა მიმართ შესაძლებელია და საჭიროა გატარდეს მიზანმიმართული სახელმწიფო ღონისძიებები. აღნიშნული სახელმწიფო ღონისძიებები შეიძლება გულისხმობდეს:

- სუფთა ენერჯის ტექნიკურ ხელმისაწვდომობის გაზრდას – ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობას ყველა-სათვის და გაზიფიკაციას – სადაც ეს ეკონომიკურად გამართლებულია.
- შემოსის მოხმარების დარეგულირებას და ეფექტური შემოსის ღუმელების პოპულარიზაციას და ხელმისაწვდომობის

⁷⁹ <https://www.energypoverty.eu/>

ზრდას, ღია ცეცხლის გამოყენების ჯანმრთელობაზე ნეგატიური ეფექტის შემცირებისათვის. ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს თანამედროვე ბიოსაწვავის (პელეტების, ბრიკეტების) წარმოების და ხელმისაწვდომობის ზრდას.

- ხარისხიანი და უსაფრთხო ენერჯის ხელმისაწვდომობის გაზრდას – რაც განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებში, სადაც გაუმართავი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, გადამცემი ხაზები და გამანაწილებელი ქსელები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და ასევე აზიანებს საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკას.
- ენერგოეფექტურობის ამაღლებას – ენერგოეფექტურობის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს შენობების ენერგოეფექტიანობის მასშტაბურ ღონისძიებებს, ტექნიკის განახლებას და ასევე შედარებით ნაკლები ფინანსური დანახარჯების აქტივობებს, ნათურების გამოცვლას, ქცევის შეცვლას და ა.შ.
- ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობა – ენერგოეფექტურობასთან ერთად მნიშვნელოვანია ინფორმირების ღონისძიებები როგორც ენერგოეფექტურობის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, ასევე ზოგადად საკუთარი ენერგეტიკული მოხმარების და შესაძლო ალტერნატივების შესახებ.
- ფულადი დახმარებები – მიზნობრივი სუბსიდირება, ფინანსური და სხვა ტიპის დახმარებები – ასევე შეიძლება განხილვოდეს როგორც პრობლემის შერბილების ერთერთი საშუალება, რომლის კონკრეტული ფორმა და მოცულობა უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მიდგომით.

პოლიტიკის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობებს და ამავდროულად არ იყოს რთული ადმინისტრირების კუთხით. ღონისძიებები უნდა იყოს მოქნილი და საჭიროების შემთხვევაში, ადვილად ადაპტირებადი, არ უნდა ქმნიდეს დამატებით ტვირთს და პრობლემებს სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, როგორც ეს არის მაგალითად უკრაინის შემთხვევაში, სადაც მოსახლეობის დახმარების სუბსიდირების სქემა ბევრ მნიშვნელოვან გამოწვევას აწყდებდა ადმინისტრირების და ეფექტურობის კუთხით.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ოფიციალურ დონეზე წამოწიოს ენერგეტიკული სიღარიბის ცნება და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით, ამისისათვის მიზანშეწონილია, ახალ კანონში ენერგეტიკის შესახებ გაჩნდეს ჩანაწერი ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად, კანონპროექტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს (ენერგეტიკული პოლიტიკა) დაემატოს წინადადება, რომ: ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშაოს ენერგეტიკული სიღარიბის განმარტება და დასახოს მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის სტრატეგია საქართველოში. ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის უზრუნველყოს ენერჯის უსაფრთხო, საიმედო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული მომსახურება, შესაბამისად, ენერგეტიკული სიღარიბის განმარტებისათვის შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი დეფინიცია: **„ენერგეტიკული სიღარიბის განმარტება როგორც მდგომარეობისა, როდესაც მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ელექტროენერჯია ან დაიკმაყოფილოს ძირეული ენერგეტიკული საჭიროებები უწყვეტად, უსაფრთხოდ, ხარისხიანად და ხელმისაწვდომ ფასად“.**

ზოგადი განმარტების მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია ჩატარდეს რეალური კვლევა. კვლევისათვის რეკომენდებულია დანახარჯებზე და კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდების კომბინაცია. დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა დადგინდეს კონკრეტული პარამეტრები, რაც გულისხმობს:

- დადგინდეს კრიტერიუმები, რის მიხედვითაც განისაზღვრება ენერგეტიკული გადასახდელების ფინანსური ასპექტი. საუკეთესო პრაქტიკა არის ენერგეტიკული დანახარჯების ზღვარის დადგენა მთლიან შემოსავლებში (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ზღვარი ქვეყნების უმეტესობაში არის 10% და იგი შეიძლება იცვლებოდეს) თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი არის არაფორმალური და არ არსებობს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, შეიძლება გამოყენებული იქნას განსხვავებული მიდგომა.
- განისაზღვროს, რას გულისხმობს ენერგეტიკული დანახარჯები – რეალური დანახარჯები თუ „საჭირო“ დანახარჯები (რა დანახარჯებიც ექნებოდა ოჯახს საჭირო რაოდენობით ენერჯიას რომ მოიხმარდეს და არ ზოგავდეს მას ჯანმრთელობის დაზიანების ხარჯზე).
- განისაზღვროს ენერჯის მოხმარების ნორმები – რამდენი უნდა მოიხმაროს ოჯახმა (ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას WHO სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მისაღებია 18 გრადუსი ტემპერატურა საძინებელში, 21 გრადუსი კი საერთო ოთახში)
- განისაზღვროს მოსახლეობის ჯგუფებიც, ვის მიმართაც მოხდება კვლევა – შეეხება მთლიან მოსახლეობას, თუ მხოლოდ მის ნაწილს, მაგალითად, დაბალშემოსავლიან მოსახლეობას, რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას და ა.შ.
- მიზანშეწონილია, დანახარჯებზე დაფუძნებული მეთოდით შეფასდეს:
 - ენერგეტიკული სიღარიბე მოწყვლად ჯგუფში (სოციალურად დაუცველი).
 - ენერგეტიკული სიღარიბე დაბალ შემოსავლების მქონე ჯგუფში (მაგ. ოჯახები ვისი ჯამური თვიური შემოსავალი არ აღემატება X ლარს, ან ოჯახის შემოსავალი არ უზრუნველყოფს სრულწლოვან წევრზე საარსებო

მინიმუმის შესაბამის თანხას).

- „ფარული“ ენერგეტიკული სიღარიბე – ოჯახების იდენტიფიცირება, ვისი ენერგიაზე დანახარჯები არაადეკვატურად დაბალია (მაგალითად ორჯერ დაბალია ვიდრე მედიანა მნიშვნელობა).

კონსენსუსზე დაფუძნებული მეთოდისათვის საწყის ეტაპზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეკომენდებულია არსებულ ინსტრუმენტებს (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ყოველწლიური შინამეურნეობების კვლევის კითხვარი, კავკასიის ბარომეტრი და ა.შ.) დაემატოს რამდენიმე შეკითხვა ენერგეტიკული სიღარიბის საკითხებთან დაკავშირებით და არ არის აუცილებელი ცალკე მასშტაბური კვლევის ჩატარება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კითხვების ფორმულირებას, კითხვა არ უნდა იყოს ორაბროვანი და იძლეოდეს სხვადასხვა კუთხით ინტერპრეტაციის საშუალებას. მაგალითად, შეკითხვა „შეგიძლიათ ადეკვატურად გაათბოთ სახლი?“ შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად – „შეგიძლიათ ზამთრის (გათბობის) პერიოდში თქვენთვის კომფორტული შიდა ტემპერატურის შენარჩუნება?“ ასევე, რადგან საქართველოში შენობების ენერგოეფექტიანობის დონე დაბალია, შეკითხვა უნდა დაეთმოს ენერგოეფექტიანობას, როგორც ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევ მიზეზს.

ენერგეტიკული სიღარიბის კვლევის შემდეგ უნდა შემუშავდეს მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის გრძელვადიანი პროგრამა. დახმარების ღონისძიებები დაკავშირებული უნდა იყოს ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებთან. მაგალითად, თუკი დადგინდება, რომ ენერგეტიკული სიღარიბე გამოწვეულია გადახდის ფინანსური შესაძლებლობის არქონით, შეიძლება შეთავაზებული იქნას ვაუჩერები, მაგრამ თუკი ენერგეტიკული სიღარიბის ძირითადი მიზეზია შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა და ენერჯის ფლანგვა, ამ შემთხვევაში ვაუჩერების გაცემა არ იქნება ეფექტური ღონისძიება. ამ დროს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისკენ მიზანმიმართული მექანიზმი შეიძლება იყოს მაგალითად იაფი სესხების გაცემა სახლის დათბუნებისათვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შემცირდეს ოჯახის მიერ არაეფექტური ენერგო მოხმარების მოცულობა და მასთან დაკავშირებული გადასახდელები.

რაც შეეხება სოციალურად მოწყვლადი მომხმარებლების სუბსიდირების საკითხს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ენერგეტიკული სიღარიბის ნაწილია, თუმცა ძირითადად მოკლევადიანი ფულადი დახმარების გაცემას გულისხმობს, მიზანშეწონილია შეფასებისას გამოყენებულ – იქნას სულაღობის მიხედვით ენერგეტიკული ხარჯების შეფასების OECD – ს მეთოდოლოგია რომელიც დახმარებას უფრო მიზანმიმართულს გახდის და დღეს არსებული სისტემიგან განსხვავებით, სადაც ვაუჩერის გაცემისას არ არის გათვალისწინებული ოჯახის წევრების რაოდენობა და საჭიროებები, უფრო ეფექტური იქნება.

ენერგეტიკული სუბსიდიების გაცემა შეიძლება მოხდეს როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სუბსიდიის მოცულობა წინასწარ შემუშავებულ ობიექტურ კრიტერიუმებზე იყოს დამოკიდებული და არა კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

რეკომენდებულია დღეს არსებული სუბსიდირების სქემების შესწავლა და მათი ეფექტურობის შემდგომი კვლევა. პირველ რიგში უნდა გადაიხედოს თბილისის მერიის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების არსებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ელექტროენერჯის ვაუჩერის გაცემას ზამთრის თვეებში, მიზანშეწონილია, ვაუჩერით განსაზღვრული თანხა გადანაწილდეს ბუნებრივი აირის მოხმარებაზეც, რითაც შემცირდება ელექტროენერჯის არაეფექტური მოხმარება.

საინფორმაციო კამპანია და ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ თანაბრად უნდა გაეწიოს სოციალურად მოწყვლად მომხმარებლებსა და სავარაუდო ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფ მოსახლეობას, რაც ძირითადად რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობაა. რეგიონებში მცხოვრები მომხმარებლებისათვის განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს არაეფექტური შეშის ღუმელების ჯანმრთელობისთვის საშიშრო მახასიათებლების შესახებ და განიმარტოს, რომ შეშის მოხმარება არ არის ყველა შემთხვევაში უსაფრთხო.

საინფორმაციო კამპანიაში მნიშვნელოვანია ქალების მიზნობრივი ჯგუფის გამოჩენვა, რომლებიც არიან საკვების მომზადებისა და ოჯახის მოვლის საქმიანობის ძირითადი წარმმართველები და მათზე შეშის მოხმარება განსაკუთრებულად მძიმედ აისახება. შეშის არასწორი მოხმარების შესაძლო უარყოფითი გავლენის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ენერგეტიკული სიღარიბის სხვადასხვა ასპექტის გავლენის შეფასებისას აუცილებელია ასევე სქესის მიხედვით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების არსებობა, რომ სწორად მოხდეს გენდერული საკითხების ანალიზი და შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა. განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ენერგეტიკული სიღარიბის მიმართ ქალების განსაკუთრებულად მოწყვლადობის უსვამს ხაზს, საქართველოში კი შესაბამისი სტატისტიკის არარსებობა არ უნდა გახდეს პრობლემის სწორად იდენტიფიცირების ხელშემშლელი ფაქტორი.

ენერგეტიკული სიღარიბის პირველადი კვლევა ავლენს, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ენერგეტიკული სიღარიბე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამიტომ, ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევა სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ერთერთი მთავარ მიმართულებად უნდა განისაზღვროს.

ენერგეტიკული სიღარიბე განისაზღვრება, როგორ სუფთა ენერჯის წყაროებზე ტექნიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის არარსებობა და მისი ძირითადი გამომწვევი ფაქტორები არის დაბალი შემოსავლები, მაღალი ენერგეტიკული ტარიფები და შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 99% – ს აქვს წვდომა ელექტროენერჯიაზე, ხოლო 68% – ს – ბუნებრივ გაზზე, თუმცა ოჯახების თითქმის ნახევარი გათბობასა და საჭმლის მომზადებაში დამოკიდებულია შეშაზე, შეშა კი ძირითადად გამოიყენება არაეფექტურ ღუმელებში, რის გამოც ის არ შეიძლება ჩაითვალოს სუფთა საწვავად.

კომუნალური დანახარჯების წილი საქართველოში საშუალოდ ოჯახის შემოსავლების 12% – ს შეადგენს, თუმცა ენერგეტიკული დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სეზონების მიხედვით. ზამთრის თვეებში ენერგეტიკული დანახარჯები ორჯერ და მეტჯერ აღემატება ზაფხულის თვეებში დანახარჯებს და ამასთან, ზამთარში ოჯახების უმეტესობა სახლებს სრულად არ ათბობს, შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა კი ენერჯის ფლანგვას და კომფორტის დონის კლებას განაპირობებს.

ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზი ადასტურებს არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და მიუთითებს, რომ ენერგეტიკული დანახარჯების წილი არ აღემატება 10% – ს ზაფხულის თვეებში, მაგრამ ზამთარში შემოსავლის 20% – ს 25% – ს შეადგენს. ენერჯის დაზოგვა, ხშირ შემთხვევაში, პირადი კომფორტისა და კეთილდღეობის ხარჯზე ხდება. გარდა ამისა, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა მიუთითებს ზაფხულში ტემპერატურის მატებასა და კონდიციონერების საჭიროებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ენერგეტიკულ დანახარჯებს ზაფხულშიც.

თელავის მოსახლეობა, თბილისის მოსახლეობისგან განსხვავებით, ხაზს უსვამს ელექტროენერჯით მომარაგების უსაფრთხოების მნიშვნელობას. მიუთითებენ, რომ უამინდობისას ხშირია ელექტროენერჯის წყვეტები, და ძაბვის ცვალებადობა, რის გამოც ხშირად უფუჭდებათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა. გაუმართავი ინფრასტრუქტურა, სადენები და ბოძები ხშირად საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკის სექტორში დაწყებული რეფორმა გულისხმობს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას და მოწყვლადი მომხმარებლების საკითხის დარეგულირებას.

ენერგეტიკულ სიღარიბისა და მოწყვლადი მომხმარებლების საკითხის დარეგულირება განსხვავებული მიდგომების და პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს. მოწყვლადი მომხმარებლები ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ენერგეტიკული სიღარიბე არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მიზნობრივი კატეგორიით.

მოწყვლადი მომხმარებლების დახმარების საკითხი, რომელიც ხაზგასმულია ევროპულ დირექტივებში და აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის შესახებ საქართველოს ახალი კანონის სამუშაო ვერსიაში, ეხება მხოლოდ ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრებს და შეიძლება შეფასდეს, როგორც სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოსახლეობის დახმარების მოკლევადიანი მექანიზმი.

ამისგან განსხვავებით, ენერგეტიკული სიღარიბე ენერგეტიკული პოლიტიკის საგანია, რადგან ბევრ სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს. ენერგეტიკული სიღარიბე დაკავშირებულია გეოგრაფიულ – ტერიტორიულ არეალთან (კლიმატური ზონები, სუფთა ენერჯის ხელმისაწვდომობა), გამანაწილებელი ქსელის მდგომარეობასთან (უსაფრთხოება, მიწოდების ხარისხი), საცხოვრებლის ტიპთან (არაეფექტური შენობები), შემოსავლებში ენერგეტიკული დანახარჯების წილთან ან სხვა ფაქტორებთან, რაც მოითხოვს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას.

მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრა განისაზღვროს როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანი. ამისთვის, სახელმწიფომ ოფიციალურ დონეზე უნდა წამოწიოს ენერგეტიკული სიღარიბის ცნება და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია ახალ კანონში ენერგეტიკის შესახებ გაჩნდეს ჩანაწერი ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად, კანონპროექტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს (ენერგეტიკული პოლიტიკა) დაემატოს წინადადება, რომ: **ევროპის სამინისტრომ შეიმუშაოს ენერგეტიკული სიღარიბის განმარტება და დასახოს მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის სტრატეგია საქართველოში.**

ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის უზრუნველყოს ენერჯის უსაფრთხო, საიმედო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული მომსახურება, შესაბამისად, ენერგეტიკული

სიღარიბის განმარტებისათვის შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი დეფინიცია: „**ენერგეტიკული სიღარიბის განმარტება როგორც მდგომარეობისა, როდესაც მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ელექტროენერჯია ან დაიკმაყოფილოს ძირეული ენერგეტიკული საჭიროებები უწყვეტად, უსაფრთხოდ, ხარისხიანად და ხელმისაწვდომ ფასად**“.

ენერგეტიკული სიღარიბის კვლევის შემდეგ უნდა შემუშავდეს მისი ეტაპობრივი აღმოფხვრის გრძელვადიანი პროგრამა. გრძელვადიანი პროგრამაში დახმარების ღონისძიებები დაკავშირებული უნდა იყოს ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებთან.

საინფორმაციო კამპანია და ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ თანაბრად უნდა გაეწიოს სოციალურად მოწყვლად მომხმარებლებსა და სავარაუდო ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფ მოსახლეობას, რაც ძირითადად რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობაა. რეგიონებში მცხოვრები მომხმარებლებისათვის განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს არაეფექტური შეშის ღუმელების ჯანმრთელობისთვის საზიანო მახასიათებლების შესახებ და განმარტოს, რომ შეშის მოხმარება არ არის ყველა შემთხვევაში უსაფრთხო. საინფორმაციო კამპანიაში მნიშვნელოვანია ქალების მიზნობრივი ჯგუფის გამორჩევა, რომლებიც არიან საკვების მომზადებისა და ოჯახის მოვლის საქმიანობის ძირითადი წარმმართველები და მათზე შეშის მოხმარება განსაკუთრებულად მძიმედ აისახება.

1. Stefan Bouzarovski “Energy Poverty” 2018
2. Rozeta Karova, Energy Community Secretariat “Understanding the Public Service Obligation in the electricity sector”, 2016
3. INSIGHT_E – Energy poverty and vulnerable consumers in the energy sector across the EU: Analysis of policies and measures, May 2015
4. Trinomics “Selecting Indicators for Measuring Energy Poverty”, May 2016
5. European Parliament, Energy Poverty, Protecting Vulnerable Consumers, 2016
6. Joy CLANCY et al. Gender perspective on access to energy in the EU, 2017
7. European Commission - “An Energy Policy for Consumers” (EC, 2010)
8. Harriet Thomson, Stefan Bouzarovski and Carolyn Snell. "Rethinking the measurement of energy poverty in Europe: A critical analysis of indicators and data", 2017
9. Samuel Fankhauser and Sladjana Tepic "Can poor consumers pay for energy and water? An affordability analysis for transition countries", 2005
10. Ian Hamilton "Addressing energy poverty in Europe: defining, measuring and understanding its wider impacts", 2017
11. Bart Delbeke - Universiteit Antwerpen (OASes) ; Sandrine Meyer - (CEESE) "The energy poverty barometer (Belgium)" (2009-2016)
12. Christoph Strünck Fighting Energy Poverty in Europe – Responses, Instruments, Successes, 2017
13. Rudolf Schuessler, Energy poverty indicators: Conceptual issues. Part I: The ten-percent-rule and double median/mean indicators, 2014
14. Consumer vulnerability across key markets in the European Union, London Economics, VVA Consulting and Ipsos Mori consortium, January 2016
15. IBS policy paper – how to reduce energy poverty in Poland, 2016
16. Directive 2009/73/EC - common rules for the internal market in natural gas <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:211:0094:0136:en:PDF>
17. Directive 2009/72/EC - common rules for the internal market in electricity <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32009L0072&from=EN>
18. Directive 2012/27/EU - on Energy Efficiency - <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:315:0001:0056:en:PDF>
19. Irene Gonzalez Pijuan „Gender inequality and Energy Poverty” 2018-<https://esf-cat.org/wp-content/uploads/2018/02/ESFeres17-PobresaEnergeticaIDesigualtatdeGenere-ENG.pdf>
20. Joy S Clancy Et al Finding the energy to address gender concerns in development, UK, 2003 https://www.researchgate.net/publication/237232946_The_Gender-Energy-Poverty_Nexus_Finding_the_Energy_to_Address_Gender_Concerns_in_Development
21. European Parliament “Gender Perspective on Access to Energy in the EU, 2017 [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/596816/IPOL_STU\(2017\)596816_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/596816/IPOL_STU(2017)596816_EN.pdf)
22. World Bank – Georgia country environmental analysis, 2015 <https://bit.ly/2Kq9n98>
23. Energy Poverty Observatory <https://www.energypoverty.eu/>
24. EU observer <https://euobserver.com/energy/140758>
25. World Economic Forum – Georgia <http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/economies/#economy=GEO>
26. European council for Energy Efficient Economy <https://www.eceee.org/policy-areas/energy-union/>
27. <https://bit.ly/2QcAiu9>
28. <https://teplo.gov.ua/#subsidii>
29. <http://pubdocs.worldbank.org/en/721741520534548015/SSLF18-Economic-Shocks-Ukraine.pdf>
30. Winrok International Georgia “Knowledge, Attitude and Behavior Baseline Survey”, 2015.
31. საქსტატი, შინამეურნეობაში ენერგეტიკული რესურსების მოხმარების კვლევა, 2017
32. UNDP - საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, 2013 http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

33. ი. კაჭკაჭიშვილი, ხ. ნადარაია „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ თბილისი 2014 <http://www.parliament.ge/uploads/other/75/75690.pdf>
34. UNDP - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში, 2017 <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86670.pdf>
35. საქსტატი, ქალი და კაცი საქართველოში http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/health/W&M%20in%20GEO_2017.pdf
36. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „ქალები ქართულ პოლიტიკაში“, 2017 წ <https://bit.ly/2t8IlbZ>
37. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №758 სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/125.pdf
38. CRRC - კავკასიის ბარომეტრი , 2017 <http://caucasusbarometer.org/en/cb2017ge/UTILDBT/>
39. WEG - ვინ სარგებლობს ენერგეტიკული სუბსიდიებით საქართველოში http://weg.ge/sites/default/files/energy_subsidies.pdf
40. <http://factcheck.ge/wp-content/uploads/2016/01/PDF1.pdf>
41. სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=35&lang_id=GEO
42. ქ. თბილისის მერია <http://www.tbilisi.gov.ge/page/3216>
43. ქ. თბილისის საკრებულო <http://tbsakrebulo.gov.ge/uploads/biujeti/biujeti%202018.pdf>
44. მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტი, 2017 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით.
45. საბინაო სექტორის შეფასება საქართველოში, VTT 201

